ვახტანგ ჯანკოტაძე

ხსოვნის წიგნი

(საიუბილეო)

ვახტანგ ჭანკოტაძე

წიგნი ეძღვნება აწგარდაცვლილების ხსოვნას

ცხოვრების წიგნი

ნაწილი მეათე

თბილისი
2020

„ხსოვნის წიგნის“ წინამდებარე ნაწილის მომზადება-გამოცემის პროცესში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის ავტორი უღრმეს მადლობას უხდის: აკადემიკოს ვალერი სუხიშვილს, ცნობილ პოეტს აკაკი ბიძინაშვილს, ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილს, ედვარდ პატარიძეს და თამაზ ორჯონიკიძეს.

რედაქტორი **ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **შალვა მურადაშვილი**

წიგნი გამოიცა აწგარდაცვლილთა ოჯახების წევრების, ახლობლებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით

მზადდება გამოსაცემად
XI წიგნი

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ საქართველოს ეროვნულ (ე.წ. „საჯარო“, ქ. თბილისი) და გორის ბიბლიოთეკებში და ასევე გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მავანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხვედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწგარდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუმენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მეათე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეთერთმეტე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 27-81-81, 593 62-17-56).

წინათქმა

საქართველოს ეროვნულ (საჯარო) და გორის ბიბლიოთეკების ფონდებში განთავსებულ „ხსოვნის წიგნებში“ (პირველი სამი წიგნის სახელწოდებაა „და ვანთებ სანთელს“) წარმოდგენილ ადამიანებს ვეღარ ჩავეხუტებით და ვეღარ გავამხნევებთ... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან; სათითაოდ და ცალ-ცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მადლიერებით ვიდრეკ მუხლს მათი ხსოვნის წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც გორის, გორელებისა და ქვეყნისათვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩვენთვის მდუმარე კოჰორტაა, რომელიც კვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადამიანთა კეთილდღეობის, სრულყოფისა და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

დაე. ეს მოკრძალებული წიგნი იყოს ჩვენი ყველას დიდი მადლიერების გამოხატვის მცდელობა მათ მიმართ, ვინც ბინა დაიდო სამუდამო სასუფეველში. დაე, ეს წიგნი იყოს ჩვენი მცირე წვლილი მათი ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია და მეჩვენება, რომ მაღლააწეული ჩირაღდნებით კვლავ გვინათებენ ჩაბნელებულ და ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს „ინდივიდუალურ სამყაროს“ თავისი გარეგნული იერით, გენეტიკური თავისებურებებით, ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობების გზებით, მოვლენებზე რეაგირებით, სიყვარულით, ბრძოლისუნარიანობით, ერთგულებით, პატიოსნებით, პატრიოტიზმით, იუმორის გრძნობით, წარსულისა და აწმყოს შეფასების უნარით, წარსულის გათვალისწინებით და ა.შ.

ყოველი ჩვენგანი არის ერთადერთი. გვახსოვდეს, რომ ზუსტად ჩვენნაირი არ არსებობს, არ ყოფილა და არც იქნება. სწორედ ამიტომ ღრმად მწამს, რომ იმქვეყნად წასულების ხსოვნის უკვდავყოფა არის ცოცხალთა უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი მოვალეობა.

გვფარავდეს უფლის მადლი.

„...თვითეულ ჩვენგანს ბედისწერის
აქვს საფეხური,
ის კი არ ვიცით, რა სიმაღლეს
უდგას თავდებად,
სიცოცხლე იყოს გინდ უტკბესი,
გინდ უკეთური,
სადღაც იწყება და ასევე
სადღაც მთავრდება.

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი
ჩვენი ცაშია...
ერთხელ ჩატყდება საფეხური
თუნდაც მეფური,
ყველა ჩვენგანი დღენიადაგ
იმის ცდაშია,
რაც შეიძლება მაღლა იყოს
„ის“ საფეხური.

ავტორი

აბუაშვილი მედეა

შვილთან

„...გაშლილი შუბლი –
დიდგორის ველი,
თვალები უფლის,
თუ ვაჟას შველის?!
ლამაზად მთქმელო,
სიკეთის მქნელო
და გორის მშვენო,
იმედო ჩვენო...“
ბეგლარ ნოზაძე
1999 წ.

უნივერსალური, უნიკალური, პატრიოტი, უგანათლებულესი, უკეთილშობილესი, პრინციპული, დაუღალავი, უპატიოსნესი და ა.შ. და ა.შ.

უმდიდრესი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში ასეულობით მოიძებნება პოზიტიური ხასიათის ეპითეტები, რომლებიც პირდაპირ და სრულად მოერგებოდა საოცარ გორელ ქალბატონს მედეა აბუაშვილს.

მოერგებოდა-მეთქი, ვთქვი, რამეთუ ბედის უკუღმართობამ არ დააცალა ქალბატონ მედეას ბოლომდე ამოეწურა თავისი მართლაც რომ უნიკალური შესაძლებლობები ოჯახისა და ქვეყნის უანგარო სამსახურში.

სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებამ იგი უკანასკნელ გზაზე გააცილა 2000 წლის სეტემბერში (გარდ. 5 სექტემბერს, 61 წლის ასაკში).

უამრავი ტელეგრამა თუ სატელეფონო საუბარი მოაწყდა მედეას მშობლიურ გორს. სამძიმარს გამოხატავდა მრავალი ადამიანი: პროფესორი ზანდუკელი, მინისტრი კარტოზია, პოეტი ტარიელ ჭანტურია, გურამ კლდიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ინანიშვილი, თამაზ ბიბილური, ნოდარ ტაბიძე, ისრაელიდან მიხეილ შაფთოშვილი და უამრავი სხვა მადლიერი კეთილისმსურველი და ასეულობით მედეას აღზრდილი ახალგაზრდა.

ყველა ერთხმად აღნიშნავდა იმას, რომ გორმა და სრულიად

საქართველომ დაკარგა: ღირსეული მოქალაქე, წარმატებული საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის უანგარო აღმზრდელი, ქალაქის მეისტორიე; შეუდარებელი მოქართულე და ორატორი;

ცნობილმა ჟურნალისტმა ბეგლარ ნოზაძემ (აწგარდაცვლილმა) 2000 წლის 14 ოქტომბერს მედეას გარდაცვალებას მიუძღვნა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც მომხდარი ტრაგედიის გამო, ზემოდმოხსენიებულ პიროვნებათა გარდა, თავის გულისტკივილს მწუხარებით გამოხატავდნენ: თავად ბეგლარი, ნელი ჯოჯიშვილი, მედეას ვაჟიშვილი ლევანი, კამო საბანაძე, თამარ ნინოშვილი, ლეილა კიკნაძე, მალხაზ გოჩაშვილი, ზაზა ედიშერაშვილი, გია ჩიტაშვილი, ანა სავანელი, თინა კალანდაძე, ლეილა აბაიაძე, თინა ეგნატაშვილი, მარიკა ფეიქრიშვილი, ვახტანგ კედელაშვილი და სხვები.

მედეა აბუაშვილი დაიბადა 1939 წლის 5 მაისს. დაამთავრა გორის №3 საშუალო სკოლა და ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი.

შრომითი სფერო და საზოგადოებრივი საქმიანობა: მედეა პიონერი, პიონერხელმძღვანელი, ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების გამგე, აღმასკომის წევრი-დეპუტატი, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დირექტორი და ვინ ჩამოთვლის ბოლომდე ყველა მის საქმეს და საქმიანობას?

შვილთან ერთად

მედეას მეგობრები ერთხმად აღნიშნავენ იმას, რომ იგი იყო მორალურად და ფიზიკურად ძლიერი ადამიანი. ვაჟკაცურად გადაიტანა შვილის, 18 წლის ზურაბის ტრაგიკული სიკვდილი. მედეა იყო ქართული ენის ქომაგი. ახალგაზრდობის აღზრდისა და სასიკეთო გზაზე დაყენების დიდოსტატი;

ქალბატონი მედეა თავის დასთან ლეილასთან ერთად დიდ პატივს სცემდა გორის ისტორიას და ისტორიულ პიროვნებებს, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით მშობლიური ქალაქის განვითარებაში. დები ცდილობდნენ მოსახლეობისთვის გაეცნოთ მონაცემები მათ შესახებ.

საყოველთაო აღიარებით მედეა გახლდათ ნოვატორული ნიჭით დაჯილდოებული, შეუბღალავი სინდის-ნამუსის მატარებელი და უამრავი კეთილი საქმის დამთესი პიროვნება.

არავის ეჯერებოდა ქალბატონ მედეას სიკვდილი, რომელსაც ბავშვობაში მეგობრები და ახლობლები „არწივს“ ეძახდნენ.

სამწუხაროდ, ვეღარ ნავარდობს არწივი.

მედეა აბუაშვილს უყვარდა ყველა და იგი უყვარდა ყველას.

ღვაწლმოსილმა ქალბატონმა სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრა გორის ბებერ მიწაში.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

...დედაკაცი ბურჯი არის
ჩვენი მამულის...“
(ილია ჭავჭავაძე)

გორის თეატრში

ბერიშვილი თამარი
და კიტოვანი შალვა

„...მათ ერთმანეთი უყვარდათ ძლიერ,
სულს რომ ჰბერავდნენ მომავლის ხომალდს,
უქებდნენ გარჯას, ცოდნას და იერს...
გული დასწყვიტეს მოძმეს და ქომაგს...“

თამარი

თამარ ბერიშვილი მოვლინებულ იქნა სასიკეთო საქმეების საკეთებლად და ქვეყანაზე მშვიდობის გარანტად. იგი მამაკაცური შემართებით აგვირისტებდა აუცილებელს და სასარგებლოს, რასაც კი შეიძლება მოეტანა კეთილდღეობა.

ქალბატონი თამარი დაიბადა 1926 წლის 1 მაისს ქ. გორში, დავით და ალექსანდრე (საშა) ბერიშვილების ოჯახში (დავითი გახლდათ ელექტროქსელებისა და კავშირგაბმულობის მაღალკვალიფიციური ინჟინერი. გარდ. 1933 წ. დაკრძალულია გორში. ქალბატონი ალექსანდრა (საშა) წლების განმავლობაში მუშაობდა გორის თეატრში კოსტიუმების დიზაინერად. იგი დიდოსტატურად ძერწავდა სასცენო შედევრებს ისეთი სახელოვანი რეჟისორების გვერდით, როგორებიც გახლდნენ ვასო ყუშიტაშვილი, პავლე ფრანგიშვილი და სხვა. ქალბატონი საშა გარდ. 1989 წ. დაკრძალულია გორში.

საშუალო სკოლისა (№2) და გორის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, თამარმა მუშაობა დაიწყო გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში და ერთდროულად სკოლაშიც (ისტორიის მასწავლებლად).

შალვა

თამარ ბერიშვილის ფრიად ნაყოფიერი და წარმატებული შრომითი ბიოგრაფიის ძირითადი მოვლენებისა და დაკავებული თანამდებობების მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი (1955); მეორე მდივანი (1961); საქალაქო კომიტეტის წევრი; საბჭოს დეპუტატი; აღმასკომის წევრი; საქართველოს ქალთა კომიტეტისა და მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის (1965-1978); საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ საბჭოში კომისიის პასუხისმგებელი მდივანი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ცენტრის (1990 წ.) მეცნიერ-მუშაკი და ა.შ.

ქალბატონ თამარს იცნობდნენ როგორც ენერგიულ და საოცრად პრინციპულ და აქტიურ პარტიულ-სამეურნეო მუშაკს. მის სახელთანაა დაკავშირებული: ქ. გორში, ე.წ. „ახალ ბაღში“ საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, ირაკლი თოიძის სახელობის სამხატვრო სკოლის დაარსება და მრავალი სხვა პრაქტიკული საქმე, რამაც მას მოუტანა საზოგადოების მხრიდან დიდი პატივისცემა და სიყვარული.

ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდი ქალბატონ თამარის პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობიდან. 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მღელვარებისა და ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლების დროს, ქ. გორში ძალიან დაიძაბა სიტუაცია. კბილებამდე შეიარაღებული რუსული სამხედრო შენაერთები მზად იყვნენ სისხლის დასაღვრელად. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი მივიდა რუს სამხედროებთან და დემონსტრანტებთან სიტუაციის განმუხტვის მიზნით. მდგომარეობა განიმუხტა. ქალბატონ თამარის ცნობადობამ და ავტორიტეტმა ქვეყანას ააცილა მსხვერპლი.

ქალბატონი თამარის შვილი იოსები (სოსო) იგონებს, რომ

საღამოს დედა თმებგათეთრებული დაბრუნდაო სახლში, ძლიერი განცდების ზემოქმედების შედეგადო.

წარმატებული პარტიულ-სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქალბატონ თამარს მიღებული აქვს მრავალი მადლობა, სიგელი, დიპლომი და მედალი, ასევე „საპატიო ნიშნის“ ორდენი. 1963 წელს, ქალთა მსოფლიო კონგრესის მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის მიღებული აქვს ე.წ. საკავშირო ხელისუფლების მადლობის სპეციალური სიგელი.

საოცარია ადამიანის ბედი. სანამ ჩვენ თვალს ვადევნებდით ქალბატონი თამარის მოკლე ბიოგრაფიას. ქალაქ ქუთაისში, თითქმის პარალელურ დროში დაიბადა, აღიზარდა, ისწავლა და იშრომა პიროვნებამ, რომელიც მომავალში მოირგებს ბრწყინვალე ქალბატონის, თამარის მეუღლის ჩოხას და მასთან ერთად აქტიურად ჩაერთვება საზოგადოების უკეთესი მომავლის ფრიად მრავალფეროვანი და ისტორიული მნიშვნელობის აღმშენებლობის პროცესში. ეს პიროვნება გახლდათ პირდაპირი მნიშვნელობით მშენებელ-ინჟინერი ბატონი შალვა კიტოვანი.

სახელოვანმა ინჟინერმა, თავისი ნიჭიერებისა და აქტიური ხასიათის წყალობით, მალე გააცნო თავი საზოგადოებას და საკმაოდ პატივსაცემ პიროვნებად ჩამოყალიბდა.



შალვა

შალვა კიტოვანი დაიბადა ქ. ქუთაისში 1925 წლის ქ ივლისს. დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად ეწვია თბილისს. გაიარა ეტაპები: ტექნიკური უნივერსიტეტი, ასპირანტურა, დისერტაცია, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური მოღვაწეობა და შემდეგ უკვე – აღმშენებლობა და კვლავ აღმშენებლობა: საქართველოს მშენებლობის სამინისტროში სამუშაოთა მწარმოებელი. მის სახელთანაა დაკავშირებული: წყალტუბოში სასტუმრო „თბილისი“; სანატორიუმი „მე-

შახტეთა სახლი“; სტალინის ძეგლი (ქ. გორში); გორში №9 სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი, შემდეგ მმართველი (1960-1963); გორში ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მეორე რიგი; ქალაქის ადმინისტრაციული შენობა; საცხოვრებელი სახლები; ბაკურიანში სპორტული ნაგებობები, სასტუმრო და სხვა მრავალი.

1952 წლის 2 ნოემბერს ქ. გორში, ცენტრალურ მოედანზე აღიმართა სტალინის ძეგლი (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, №262, 04.11.52). გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდა მშენებლობის ხელმძღვანელი შალვა კიტოვანი.

Открытие монумента И. В. Сталина в Гори

О большом счастье, выпавшем на долю строителей монумента, говорил начальник строительства инженер Ш. Китованн.

სამუშაო ადგილები და თანამდებობები: ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში განყოფილების გამგე; 1966-68 წლებში სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

აღვნიშნავთ ფრიად სასიამოვნო გარემოებას, კერძოდ იმას, რომ ქალბატონი თამარისა და ბატონი შალვას ოჯახში, სადაც უპირველეს პრიორიტეტებად მიჩნეული იყო განათლებულობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი – აღიზარდა ორი შვილი იოსები (სოსო) და ქეთევანი. ბატონმა იოსებმა წარმატებით გააგრძელა მამის პროფესია და მასთან ერთად საპატიო ადგილი დაიკავა „საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში“ (2017 წ.).

ქალბატონმა ქეთევანმა მთელი თავისი ცხოვრება შეგნებულად და ღრმა ცოდნით მიუძღვნა ფილოლოგიურ მეცნიერებას და წარმატებითაც.

ბრწყინვალე ოჯახის მონაგარი სიამაყით აღნიშნავს, რომ ბატო-

მარცხნიდან მეორე ქალბატონი თამარი ქ. გორის სტუმრებთან ერთად. მარჯვნიდან: გ. ჯიბლაძე, გ. ლეონიძე, მ. შოლოხოვი, ი. აბაშიძე.

ნი შალვა იყო მრავალმხრივ განათლებული პიროვნება – უკრავდა (ფორტეპიანო), მღეროდა, წერდა სათავგადასავლო მოთხრობებს და სხვა. შალვას პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული ზნეობრივი სიწმინდე და მაღალი კულტურა.

ქალბატონი თამარი გარდაიცვალა 2012 წელს.

ბატონი შალვა გარდაიცვალა 1968 წელს.

მოსიყვარულე მეუღლეები დაკრძალულნი არიან ქ. თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მათი სულები.

„...მომავლისათვის უცხოვრია
მხოლოდ იმ მაშვრალს,
თავისი დროის ხალხისათვის
ვინც შექმნა ბევრი...“
(ფრიდრიხ შილერი)

გრძელიშვილი თენგიზი

„...ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ,
არ გავივლებ გულში შურს
და მით ბედნიერი ვარ...“
(აკაკი წერეთელი)

თენგიზ გრძელიშვილი დაიბადა 1941 წლის 23 დეკემბერს. თენგიზის მამა, ივანე კონსტანტინეს ძე გრძელიშვილი (პროფესიით იურისტი) წლების განმავლობაში მუშაობდა უშიშროების სამსახურის ქ. ზესტაფონის განყოფილების უფროსად. ოჯახის დიასახლისობას ბრწყინვალედ უძღვებოდა ქალბატონი ლუბა დიმიტრის ასული ქეთიშვილი.

თენგიზი სწავლობდა გორის ვაჟთა საშუალო სკოლაში. ახლობელ-ნათესავებმა თენგიზში, ბავშვობის ასაკშივე, აღმოაჩინეს მდიდარი მუსიკალური ნიჭი და პარალელურად დაჰყავდათ შესაბამის სასწავლებელში ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნების შესასწავლად. ხანდაზმულ გორელებს ემახსოვრებათ ვიოლინოს საამოდ ჟღერადი ჰანგები გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის ორკესტრში, სადაც წლების განმავლობაში იღწვოდა ბატონი თენგიზი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თენგიზმა გაბედულად შეაღო გორის პედინსტიტუტის კარი და ბეჯითი სწავლით დაეუფლა ქიმიკოსის პროფესიას. მისი შრომითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ პედაგოგობა გორის რაიონის სოფ. უფლისციხის საშუალო სკოლაში – ასწავლიდა ქიმიას. შემდეგ იყო საქართველოს ნავთობპროდუქტების სამმართველოში განყოფილების უფროსის თანამდებობა.

თენგიზ გრძელიშვილს განსაკუთრებით უყვარდა ურთიერთობა ბავშვობის თანატოლებთან, განსაკუთრებით კი თანაკლასელებთან,

რომლებთანაც მეგობრობდა მათელი სიცოცხლის განმავლობაში. აი, მათი მცირე ჯგუფი: ომარ საძაგლიშვილი, ავთო დავითაშვილი, ლადო სიხარულიძე, ალიკა მახვილაძე, ომარ თიბილაშვილი, გოგი სააკაშვილი. ისინი ხშირად იხსენებდნენ და დღესაც საუბრობენ ბავშვობის ერთად გატარებულ წლებზე და საინტერესო საბავშვო თავგადასავლებზე.

სამწუხაროდ, თენგიზი ვეღარ გაიხსენებს ვერაფერს. იგი გარდაიცვალა 1998 წ. 4 იანვარს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს მომგონებლები და ყველა ახლო ნათესავი თუ მეგობარი და კოლეგა.

ბატონ თენგიზ გრძელიშვილს ჰყავს მეუღლე (ნანა მელაძე); შვილი ქეთევანი (მუსიკის სპეციალისტი); სიძე ამირან სოფრომაძე (ინჟინერი) და შვილიშვილები – ავთანდილ, სოფიო და ლიზი სოფრომაძეები.

მსუბუქი ყოფილიყოს თენგიზისთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მთის მიწა.

„...აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა...“

თენგიზ გრძელიშვილი (ცენტრში)
მეგობრებთან ერთად

ელანდიშვილი რამაზი

**„...ჩემო ძმაო, რა გითხრა?!
განწყობა მაქვს მწუხარის...
ოჰ, რა ადრე ჩაგვიქრა,
რამაზ, ძმობის ბუხარი...“**

მამის კალთაში

წიგნის წინათქმაში აღნიშნულია, რომ „ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს „ინდივიდუალურ სამყაროს“ თავისი გარეგნული იერით, გენეტიკური თავისებურებებით, ცხოვრების წესით...“ და ა.შ. ცნობილია ასევე ის, რომ ნებისმიერი ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში ხვდება 80 ათასამდე ადამიანს (ცხადია ზოგი ცოტა მეტს, ზოგი ცოტა ნაკლებს). საინტერესოა ის, რომ მათგან შეიძლება კარგად გვახსოვდეს 1-2%, ხოლო ბუნდოვნად (ნაწილობრივ) დაახლოებით 3-4%.

რამაზ ელანდიშვილი იყო პიროვნება, რომელსაც (თუ იცნობდა) ვერ დაივიწყებს ვერავინ და ვერასდროს მისი განსაკუთრებულად გამოკვეთილი ისეთი შინაგანი ნიშან-თვისებების გამო, როგორებიცაა მორიდებულობა და უბრალოება, ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა; საქმის სიყვარული, ღიმილდართული ყოფა, ღრმა პატრიოტული შემართება, კრეატიულობა, ურთიერთპატივისცემის გაღმერთება, გაჭირვებულის მხარში ამოდგომა და ა.შ.

თქვენი მონა-მორჩილი, მასთან პირველი შეხვედრისთანავე, მოიხიბლა მისი პიროვნებით და ძირეული ცხოვრებისეული საკითხებისადმი მისი მიდგომით. მიუხედავად ასაკში 40 წლამდე განსხვავებისა, ნაცნობობის პირველი დღიდანვე დაიწყო მეგობრული ბადის ამოქარგვა და „პირველი ვიოლინოს“ როლის განსახიერება თავის თავზე აიღო რამაზმა. მას სხვაგვარად არ შეეძლო – ასეთად იშვა, ასეთად გაიზარდა და ასეთად იცხოვრა თავისი, სამწუხაროდ, მოკლე სიცოცხლით...

რამაზ ელანდიშვილი დაიბადა შიდა ქართლის დაბა ქარელში

1971 წლის 23 ივლისს ჯანდიერ ელანდიშვილისა და ლილი ნანეტაშვილის ოჯახში.

გვახასიათებს გამოთქმა – „...მისი ბავშვობა არაფრით გამოირჩეოდა სხვათა ბავშვობისგანო“, მაგრამ როგორც რამაზის ოჯახის ახლობლები აღნიშნავენ – ბავშვონიდანვე იგრძნობოდა რამაზის ხასიათში პატრიოტული სულისკვეთებისა და კრეატიულობის მომძლავრებული განცდაო.

რამაზ ელანდიშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და მოიპოვა უმაღლესი ტექნიკური განათლების შესაბამისი სტატუსი.

შემდეგ იყო სხვადასხვა ტექნიკური პროფილის სამუშაოები, მათ შორის ტ/კ „თრიალეთში“ პროგრამისტი და სხვა. სიცოცხლის ბოლო წლებში გაიტაცა ფოტოგრაფიის ხელოვნებამ და არცთუ უშედეგოდ.

რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს დროზე და ხარისხიანად აკეთებდა, თუმცა, პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა; არნახულმა უკუღმართობამ ლახვარი ჩასცა მის უმანკო გულს და მწვავე ინსულტით ნაადრევად გაუყენა გზას მუდმივი სასუფევლისაკენ. ხუთი დღე იბრძოდნენ ექიმები მის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. იგი სულ რაღაც 49 წლის იყო. გარდაიცვალა 2020 წლის 3 მარტს.

დაკრძალულია ქარელის რაიონის სოფ. ლეთეთში.



ზემოთ აღვნიშნეთ რამაზის ხაზგასმული პატრიოტულ სულისკვეთებაზე. აი, ერთ-ერთი ეპიზოდი, რის შესახებაც გვამცნობს მისი მეგობრის, დათო აბაშიშვილის და **ქალბატონი თამარი**:

„...ჩემი ძმის დათოსი და რამაზის მეგობრობამ დიდ გამოცდას გაუძლო; დათოს გვერდით იდგა ისეთი მეგობარი, რომელსაც მონათესავე სული ჰქონდა; მათ ყველაზე დიდი რამ აერთიანებდათ – სამშობლოს სიყვარული: მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აღდგა საქართველოს დამოუკიდებლო-

ბა; ჩემი ძმა დათო საბჭოთა ჯარში მსახურობდა. რამაზი სტუ-დენტი იყო; დათო დაბრუნდა ჯარიდან, რამაზი ჩაერთო საქარ-თველოს ეროვნულ გვარდიაში. დაიწყო აფხაზეთის კომფლიქტი. დათო გაიწვიეს ჯარში, მოხვდა ფრონტის წინა ხაზზე. მალე რა-მაზიც ამოუდგა მხარში. ერთ-ერთი მძიმე შეტაკების დროს დათო მძიმედ დაიჭრა, რამაზი კი ფეხში; დაჭრილმა რამაზმა ფოფხვით და ძლიერი ტკივილის შეგრძნებით ცეცხლის ხაზს გაარიდა მეგობარი და მიიყვანა სამედიცინო პუნქტში, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. რამაზმა თბილისში დაგვირეკა და გვაცნობა ტრაგე-დიის შესახებ. ორ დღეში კი ჭრილობაშეხვეულმა ჩამოასვენა თა-ნამებრძოლი თბილისში.

როცა რამაზს შევეკითხე, რატომ მიატოვა თავისი ნაწილი და რატომ გაჰყვა დათოს სოხუმში, ასე მიპასუხა – რაღაც ცუდი წინათგრძნობა მქონდაო.

ერთი რამ ვიცი – მე რომ დღეს ძმის საფლავი მაქვს და იგი არ არის უგზო-უკვალოდ დაკარგულთა ჩამონათვალში, რაც გარკვეულ შვებას მაძლევს – არის რამაზის მონდომებისა და თავდადების შე-დეგი...“

ქალბატონი თამარი ასე ამთავრებს თავის სიტყვას: „...მინდოდა, რომ რამაზს ეცოცხლა დიდხანს; მაშინ დიდხანს იქნებოდა მასში ჩემი ძვირფასი ძმის ხსოვნაც, მაგრამ...“

მურად საზანდრიშვილი: „...ვერ გავითავისე, რომ ამქვეყნად აღარ ხარ; რთული გზა გარგუ-ნა უფალმა; კაცურად გაუძელი ყველაფერს; ვერ ვახერხებ წარ-სულ დროში შენზე ლაპარაკს. მენატრები რამო, მაგარო ბიჭო და კაცურო კაცო.“

მამუკა ნადირაძე (სკიპი): „...2008 წლის აგვისტოს ომის დროს არსად გაქცეულა (სხვა ბევრის მსგავსად), იჯდა ტელე-ვიზიაში („თრიალეთში“) და მუშაობდა. არასდროს შეურცხ-ვენია სახელი. შექმნა თბილი ოჯახი საოცარ ლელა ლობჟა-ნიძესთან ერთად. ლელა ძლივს

საყვარელ მეუღლესთან (ლელა ლობჟანიძე) ერთად

დავაბრუნეთ სამუშაოდ თავის ადგილზე ტელევიზიაში. ძალიან განიცადა მეუღლის დაკარგვა. იშვიათი პიროვნებაა ლელა. ძნელია მისი შავ სამოსში ყურება. ჩვენ ყველას გვეამაყება ის, რომ მას უსაზღვროდ უყვარდა რამაზი...“

მალხაზ ნოზაძე: „...რამაზს უდიდესი სიყვარულის უნარი ჰქონდა, იყო მთელი თავისი არსებით პატრიოტი კაცი; ამბობდა ხშირად – ჩვენს ქვეყანას მაშინ ეშველება, როცა ერთმანეთის ლანძღვა-გინებას მოვეშვებითო; თუ რაიმეს აწყენინებდნენ – მალე ივიწყებდა. არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი; რამაზი იყო ჩემი უახლოესი მეგობარი; ის ყოველთვის იქნება ჩემს გულში...“

თინა თაყაძე: „...მადლობა, რომ არსებობდი; დაგვაკლდი ყველას; მიხაროდა, როცა ამაყობდი ჩემით; სულ იმას მითითებდი – ნუ გერიდება, მკითხე, თუ რაიმე ვერ გაიგე, რაღაც არ იცი; ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ მიჭირს; მშვიდობით რამაზ...“

ლელა ლობჟანიძე: „...მადლობას გიხდი თითოეული წამისათვის; მადლობა, რომ ძალიან გიყვარდი და რომ ცხოვრების თანამგზავრად ამირჩიე; იძინე მშვიდად, ჩემო რამაზ...“

„გიმტყუნა ბედმა მუხთალმა...
ელტვოდი ყოფას ლამაზს.
ვეღარ მოგწვდება ჩემი ხმა,
ძლიერ შორსა ხარ, რამაზ...

კარიჭაშვილი იზაბელა (იზო)

შენ იყავ წყარო ანკარა და მაცოცხლებელი,
არა გწყალობდა არცა ყოფა არცა სვე-ბედი...

იზაბელა (იზო) კარიჭაშვილის შესახებ ჩანახატს დავიწყებთ ამონარიდით მისი მეგობრის ექიმ **ლალი ყურაშვილის** მოგონებიდან: „...იზაბელა კარიჭაშვილს ყველა მოიხსენიებს ასე – „ჩვენი იზო“. ჩუმი სილამაზით გამორჩეულ მანდილოსანს, მაღალი შუბლით, მეტყველი, მოციმციმე თვალებით, უდიდეს ენერგიას რომ აფრქვევენ. იზოს ღიმილი ყოვლისმთქმელი და ყოვლისმქმნელია; საოცრად სხარტი და მოქნილი, მუდამ მოძრავი, მუდამ ვიღაცაზე მზრუნველი, ყველას მფარველი „დედა ტერეზა“ – აი, ასეთია იზაბელა კარიჭაშვილი, რომლის ყოველ სიტყვას დიდი ფასი აქვს ყველასთვის, ვინც მას იცნობს. ძნელად მოიძებნება გორში ოჯახი, რომლისთვისაც იზოს სიკეთე ერთხელ მაინც არ გაეკეთებინოს. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქალბატონი ისე ჩუმად აკეთებს საქმეს, რომ თუ დავალებულმა არ თქვა, თვითონ არ ახსოვს ვის რით და როდის დაეხმარა...“

იზაბელა (იზო) კარიჭაშვილი დაიბადა ქ. გორში 1950 წლის 18 იანვარს ნიკოლოზ კარიჭაშვილისა და ნაზი მზარეულაშვილის ოჯახში. ამავე ოჯახში აღიზარდნენ იზოს და მანანა და ძმა თამაზი.

იზაბელას (იზოს) მამა ბატონი ნიკოლოზი გახლდათ საქართველოს საპატიო რკინიგზელი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს (მათ შორის ღირსების ორდენის კავალერი) მფლობელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის რკინიგზის განვითარების საქმეში (იხ. „ხსოვნის წიგნი“ №5, 2019 წ.). ბატონმა ნიკოლოზმა იმუშავა ქ. მცხეთის, ქ. კასპის, დიდუბის სადგურების უფროსად. იგი რამდენიმე წელს იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წამყვანი

სპეციალისტი. 80 წლის ასაკამდე აქტიურად მუშაობდა რკინიგზის გორისა და ვაგზლის უფროსად.

იზაბელას დედა, ქალბატონი ნაზი გახლდათ პედაგოგი (გეოგრაფია-ბიოლოგია), ხოლო შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგე სოფ. ხიდისთავის სკოლაში.

იზაბელამ (იზომ) გორის №11 ე.წ. რკინიგზის საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ივ. ჯავახიშვილის სახ.) და დაიწყო იზოს ფრიად მრავალფეროვანი და საინტერესო შრომითი და საზოგადოებრივი ბიოგრაფია: საქვაჭრობის თბილისის სამმართველო (საქონელმცოდნე); კომკავშირის კომიტეტის მდივანი; შემდეგ „საზკვების“ სფერო; თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო (უფროსი საქონელმცოდნე); გორის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი; პარტიის გორის საქალაქო კომიტეტში ვაჭრობის განყოფილების უფროსი; „გორვაჭრობის“ დირექტორის მოადგილე და ა.შ.

იზაბელა (იზო) კარიჭაშვილი გახლდათ საოცრად ენერგიული, სწრაფად მოაზროვნე და შესაშური კომუნიკაბელურობით ცნობილი პიროვნება. მის მაცქერალს დაგრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას ყველა იცნობდა და იგი ყველას სცნობდა.

უამრავი სიკეთე აჩუქა გორს და გორელებს.

მისი სიცოცხლის მთავარი არსი გახლდათ მოჰფერებოდა და მხარში ამოსდგომოდა ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა.

იზაბელა (იზო) მამაცი ადამიანიც გახლდათ და დასტურად იხსენებენ ერთ ეპიზოდს – იგი შემთხვევით შეესწრო ფაქტს (გასული საუკუნის 90-იანი წლები), როდესაც ახალგაზრდას ავტომატიანი უპირებდა მოკვლას, მაგრამ იზაბელა წინ აღუდგა, მკერდი შეუშვირა ლულას და მიაძახა: „...მე მომკალით, მაგ ბიჭს თავი დაანებეთ“-ო.

ასე გადაარჩინა იზომ მოსალოდნელი მსხვერპლი. მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ გადარჩენილი ახალგაზრდა იყო გორელი დიტო სურამელაშვილი, რომელმაც დიდი გულისტკივილით მიუსამძიმრა ოჯახს იზოს გარდაცვალება.

იზოსთვის არაფრად ითვლებოდა ის დღე, თუ ვისმეს არ დაეხმარებოდა თუნდაც მცირედით. სხვისი დახმარება მისი ჰობი გახლდათ. განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდა თაობა და დისშვილები და ძმისშვილები. მათ მოფერებაში და სიყვარულში ათენ-აღამებდა.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ძლიერ დაიძაბა პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური სიტუაცია, დაიხურა და გაუქმდა ბევრი საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ორგანიზაცია, იზომ ამ შემთხვევაშიც სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და ახლობლების დახმარებით გახსნა კვების ობიექტი და დაასაქმა უმუშევრად დარჩენილი ადამიანები. ობიექტი, რომელიც ცნობილია „კაფე 22“-ის სახელით დღესაც წარმატებით მუშაობს გორში (სტალინის ქუჩა).

იზაბელა (იზო) კარიჭაშვილის დედმამიშვილები:

მანანა – მუსიკის პედაგოგი (მუშაობდა გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლაში (ფორტეპიანო) ამჟამად პენსიონერი.

იზაბელას (იზოს) დის მანანას ოჯახი.
მარჯვნიდან პირველი იზაბელა.

ჰყავს მეუღლე ვახტანგ ყანჩაველი (მშენებელი ინჟინერი. 2000 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატი. ამჟამად სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელი. ფრიად ცნობადი და ავტორიტეტული პიროვნება).

ქალბატონ მანანას და ბატონ ვახტანგს ჰყავთ სამი შვილი: მარიკა (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მუშაობს ფინანსთა სამინისტროში. ჰყავს მეუღლე შოთა ფალიანი, შვილი ვახტანგი და რძალი ნინო რობაქიძე); თამუნა (ექიმი, მუშაობს გორში დედათა და ბავშვთა ს.ს. „იავნანაში“. მეუღლე დავით ჭიღლაძე, შპს „ქართული სახლის“ დირექტორი. შვილები ომარი და მარიამ ჭიღლაძეები); ნინო (მუსიკოსი, ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოს პედაგოგი. მეუღლე გიორგი კანდელაკი, კრივში მსოფლიო ჩემპიონი. შვილები თარაში და ნატალი).

იზაბელას (იზოს) ძმა თამაზი (მშენებელ-ინჟინერი; წლების განმავლობაში რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი. სამწუხაროდ აწგარდაცვლილი. თამაზის მეუღლე დარეჯან ქიტიაშვილი. ექიმი პედიატრი. ჰყავს შვილები ხათუნა და ვახტანგი).

იზაბელას (იზოს) დიდი ღვაწლი მიუძღვის დისა და ძმის შვილების აღზრდა-მოფერებაში. იზო მათ საკუთარ შვილებად მიიჩნევდა და ყველაფერს აკეთებდა მათ სანიმუშო მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის. განსაკუთრებული სიმპატიურობით იყო განმსჭვალული ვახტანგის მიმართ – გვარის გამგრძელებელიაო. ვახტანგი არის ბიზნესმენი. მისი მეუღლეა თინათინ (თიკო) რაზმაძე, პროფესიით ექიმი, სტომატოლოგი, ჰყავთ სამი შვილი – ანა, ნათია და მარიამი.

ხათუნა კარიჭაშვილი არის ინგლისურის სპეციალისტი, მუშაობს შემეცნებითი განათლების ცენტრის დირექტორად. მისი მეუღლეა გიორგი მჭედლიშვილი (ეკ. მეცნ. დოქტორი); ჰყავთ ორი შვილი ნინი და ლერი მჭედლიშვილები.

იზაბელას (იზოს) ასევე ძალიან უყვარდა და დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული ბიძის, მარლენ მზარეულიშვილის ოჯახისა და მისი შვილიშვილების (ნათია, ალეკო, ანუკი, მარიამი) მიმართ.

კარიჭაშვილების ოჯახის პირველი შვილიშვილი მარიკა თვალზე ცრემლმომდგარი იგონებს იზაბელას და ამბობს: „...დედის შემდეგ ჩვენთვის ყველაზე მოამაგე და საყვარელი იყო; ჩემზე (როგორც პირველ შვილიშვილზე) ამოსდიოდა მზე და მთვარე; თბილისიდან ჩემს სანახავად ერჩია ჩამოსვლა, ვიდრე თავის თანაკურსელებთან

ყოფნა და დროსტარება; ხშირად დავყავდი ექსკურსიებზე. პატარებს თავს გვევლებოდა. ბევრ რამეს გვასწავლიდა და მოითხოვდა მისი რჩევა-დარიგებების შესრულებას.

დეიდა იზო იყო ადამიანი, რომელმაც უფლის ათი მცნებით იცხოვრა. ის იყო უამრავი ადამიანის საყრდენი კედელი, ყველას თანამოაზრე და ნუგეში...“

ვამბობთ იცხოვრაო, იყოო, გააკეთაო და ა.შ. ანუ ვსაუბრობთ წარსულ დროში, რადგან სამუდამო სასუფევლისაკენ წავიდა ადამიანი, რომელიც მოვლინებული იყო სიკეთის კეთებისა და საყოველთაო აღმშენებლობისათვის, ადამიანებს შორის სიყვარულის დათესვისა და აყვავებისათვის, სხვათა მოფერებისა და უანგარო მხარში დგომისათვის, მონაგარზე დაუოკებელი ზრუნვისათვის...

დაიბადა და იცხოვრა ნათესავების, მეგობრების, მეზობლების, თანაკლასელებისა და თანაკურსელების თუ კოლეგებისა და ხიდისთაველების სიყვარულით.

ობლებზე მზრუნველი, ქვეყნის დიდი პატრიოტი; ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, გორის მართლმადიდებელთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, დედაოებისა და მამაოების მხარში მდგომი.

იზაბელა (იზო) კარიჭაშვილი გარდაიცვალა 2020 წ. 18 აპრილს. დაკრძალულია სოფელ ხიდისთავში, საგვარეულო სასაფლაოზე მშობლების გვერდით.

იზოს სიკვდილმა ყველას თავზარი დასცა. თვალცრემლიანი ადამიანები გაოგნებულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა, უამრავმა ადამიანმა გააცილა იზაბელა ბოლო გზაზე.

რამდენიმე ამონარიდი მეგობრების სამგლოვიარო სიტყვებიდან.

ლამარა ბარამიძე: „...იზო ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარი იყო. როცა ძალიან გვიჭირდა, მხარში ამოგვიდგა და მოგვცა საშუალება „წელში გავმართულიყავით“. იზაბელამ შვილიც მოგვინათლა და ამით უფრო მეტად დაგვიახლოვდა და ძვირფასი გახდა. როცა ჩემი შვილი კოტე საერთაშორისო კონკურსზე (თბილისში) უკრავდა, იზო მოლაპარაკებია ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარს და საკუთარ ოჯახში გაშლილ სუფრასთან გააქრისტიანა ჩემი შვილი. სიკეთით აღსავსე ადამიანი იყო... მისი ხსოვნა ყოველთვის იქნება ჩვენს გულებში...“

იზაბელას (იზოს) ძმის (მარცხნიდან პირველი), თამაზის ოჯახი. დგას მარჯვნიდან პირველი იზაბელა.

თანაკლასელები: „...7 მარტს ერთხელ კიდევ შეგვკრიბე შენი მეგობრები, რათა გაზაფხული მოგელოცა... როგორი გახარებული იყავი. რა ვიცოდით, რომ ეს ჩვენთვის ბოლო მოფერება იყო.

ჩვენ „დედა ტერეზას“ გეძახდით. ერთგული და საიმედო იყავი მუდამ და ყველაფერში. ობლების ქომაგი იყავი... სხვების სიხარულით ხარობდი; შენ მოიკლებდი და სხვას მისცემდი... ავადმყოფებს უანგაროდ ეხმარებოდი... დაობლებული ბავშვების უმაღლესში და შემდეგ სამუშაოზე მოწყობაც შენ თავზე აიღე... გვახსოვს, როგორ ზრუნავდი, რომ ხიდისთავისა და რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ეკლესია აშენებულიყო და მრავალი სხვა. ისიც კარგად გვახსოვს, სადგურის ტერიტორიაზე ყველასგან მიტოვებული, გაჭირვებული მოხუცი კაცი როგორ მოაწყე გორის უპატრონოთა თავშესაფარში.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს...“

„...აშოლტილ ფიჭვებს არხევს გრიგალი,
ვეება კოშკსაც ეხრება კეხი.
მაღალ მწვერვალებს უფრო ეცემა
მოულოდნელი ელვა და მეხი...“
(მიქელანჯელო ბუონაროტი. პერიფრაზი)

კბილაშვილი თამარი

არსებობს მოსაზრება, რომ ყველა ცნობილი მეცნიერული დარგისა და შესაბამისი პროფესიის მქონე სპეციალისტებს შორის უპირველეს ადგილს და უმნიშვნელოვანეს პოზიციას ანიჭებენ პედაგოგიკას და პედაგოგს, რამეთუ ამ ორი ფენომენის გარეშე (განსაკუთრებით კი პედაგოგის გარეშე) ძნელია წარმოვიდგინოთ კაცობრიობის თანამედროვე მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება ისეთი მოცემულობებით, როგორიცაა: განათლებულობა, გონებრივი და ფიზიკური სრულყოფა, პატრიოტიზმი, სიყვარული, კეთილშობილება, ერთგულება, შრომა, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურა, მეზობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობები, ყოველდღიური ცხოვრების წესი, საუბრის, მისალმებისა თუ საკვებ-სასმელის მიღების წესი და კულტურა და ა.შ. და ა.შ. – უამრავი რამ, რასაც ადამიანები იძენენ და ეუფლებიან სწავლითა და აღზრდით. ამ პროცესების სრულყოფას კი ემსახურება (მშობლების გარდა) პედაგოგიკა (როგორც მეცნიერება) და პედაგოგები (აღმზრდელ-მასწავლებლები).

სწორედ ამგვარ აღმზრდელ-მასწავლებლად იცნობდა საზოგადოება ქალბატონ თამარ კბილაშვილს, რომელმაც ათასობით ბავშვს გაუკვალა გზა და დაუსახა მიზანი უკეთესი მომავლისაკენ.

თამარ იოსების ასული კბილაშვილი დაიბადა 1928 წლის 4 ნოემბერს ქ. გორში, მუშის ოჯახში (დედა – ოლღა კბილაშვილი).

თაბარ კბილაშვილმა საწყისი ზოგადი განათლება მიიღო გორის №2 ქალთა სკოლაში. მან 1951 წელს დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ქალბატონმა თამარმა თავისი საოცრად ნაყოფიერი მოღვაწეობის თითქმის ორმოცი წელი მიუძღვნა ახალგაზრდა თაობების

სწავლა-განათლებისა და აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს. იგი ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა გორის ქალთა მე-3 და გორის მე-4 საშუალო სკოლებში, ასევე ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად.

ხანგრძლივი პედეგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მიღწეული წარმატებების გამო მიღებული აქვს სამინისტროსა და განათლების განყოფილების ათზე მეტი მადლობა და რამდენიმე საპატიო სიგელი.

ქალბატონი თამარი იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი.

ქალბატონი თამარის ახლობლები და კოლეგები მას ყოველთვის ახასიათებდნენ, როგორც მოწოდებით პედაგოგს, რომელსაც უმაღლეს დონეზე ჰქონდა აყვანილი ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულების საკითხი და რომ იგი უზომოდ იყო შეყვარებული თავის პროფესიაზე.

თამარ კბილაშვილის შესახებ მისი ყოფილი მოსწავლეების თბილი მოგონებები წარმოდგენილია ცირა მგალობლიშვილის წიგნში „ტკბილად მოსაგონარი“ (2019 წ.).

ქალბატონ თამარს ჰყავს და, პროფესიით პედაგოგი, რომელიც მუშაობდა საქალაქო საბჭოს აღმასკომში; ეკონომიკის კვლევით ცენტრში მეცნიერ-მუშაკად.

ქალბატონი თამარის მეუღლე გახლდათ საოცრად თბილი და თავმდაბალი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება ოთარ შოშიაშვილი (პროფესიით საქონელმცოდნე). მუშაობდა ე.წ. ზუსტი ხელსაწყოების ქარხანაში მთ. ბუღალტრად. ასევე გორის საკონსერვო ქარხანაში ბუღალტრად.

ქალბატონი თამარისა და ბატონ ოთარ შოშიაშვილის შვილი ლია შოშიაშვილი (ეკონომისტი) მუშაობს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში).

1995 წლის ცამეტ სექტემბერს ქ. გორმა და კერძოდ პედაგოგიურმა საზოგადოებამ განიცადა მძიმე ტკივილი – გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მომავალი თაობების აღზრდის დიდოსტატი, მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნება ქალბატონი თამარ კბილაშვილი. დაკრძალულია გორში.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

„...ხშირად ცხოვრება
სიმწარეს აფრქვევს,
შრომით და ზრუნვით
დაქანცულ გულებს...“
(ოვიდიუს ნაზონი)

კეჩხუაშვილი გაბრიელი

„მშრომელი კაცი ბურჯია ერის,
ხალხი შესაქებ სიტყვებით მღერის,
ის უკვდავია ასეულ წლებით...
შორიდან ისმის ვაჟკაცის ხმები...“

გაბრიელ ისაკის ძე კეჩხუაშვილი დაიბადა გორში 1910 წლის 20 ნოემბერს, პატივსაცემი მშობლების ისაკ კეჩხუაშვილისა და ანა დარბაიძის სტუმართმოყვარე ოჯახში.

ბავშვობიდანვე ეტყობოდა განსაკუთრებული ლტოლვა განათლებისაკენ და შრომისაკენ, რაც უდაოდ დიდი დამსახურება გახლდათ ოჯახური ტრადიციებისა.

საშუალო სკოლის დამთავრების

შემდეგ, გაბრიელი, როგორც ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდა, 1928 წელს დაინიშნა გორის რაიონის სოფ. ტირძნისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ეს უკვე იყო მისი პირველი აღიარება მნიშვნელოვანი შრომითი ბიოგრაფიის საწყის ეტაპზე.

1932 წელს გაბრიელ კეჩხუაშვილმა დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა გააგრძელა ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის მეხილეობის ე.წ. საბჭოთა მეურნეობაში, სადაც განვლო ნაყოფიერი შრომითი გზა რიგითი აგრონომის საფეხურიდან მეურნეობის დირექტორის თანამდებობამდე.

მოსიყვარულე ცოლ-ქმარი

ნიჭიერმა და აქტიურმა პარტიულ-სამეურნეო მუშაკმა განვლო ფრიად საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა. სად აღარ იმუშავა და სად აღარ გამოავლინა თავისი მონდომება და შესაძლებლობები: გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგე; აღმასკომის თავმჯდომარე; კომუნისტური პარტიის კასპის, შემდეგ კი გორის რაიკომის პირველი მდივანი; საქართველოს მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების განყოფილების გამგე; სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, შემდეგ პირველი მოადგილე; 1937 წელს ბატონი გაბრიელი ინიშნება მინისტრთა საბჭოს მრჩევლად, ხოლო სულ მალე უფროს რეფერანტად, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონი გაბრიელ კეჩხუაშვილი არაერთხელ იყო ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოში სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თუ რამდენად წარმატებული მუშაკი გახლდათ ბატონი გაბრიელი მეტყველებს მის მიერ მიღებული ჯილდოები – ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, სამი საპატიო ნიშნის ორდენი და მრავალი სხვა მედალი, სიგელი, დიპლომი და ა.შ.

ბატონი გაბრიელი ყურადღებას არ აკლებდა მისთვის ყველაზე ძვირფას სოფელ ძევერას. მას დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის კეთილმოწყობისა და შრომის ეფექტიანობის ამაღლების ისტორიულ საქმეში.

მისი ინიციატივით და უშუალო აქტიური ჩართულობით მოასფალტდა გზები, გააქტიურდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლა, სოფელში ამუშავდა სატელეფონო ქსელი და მრავალი სხვა.

როგორც მშრომელ, განათლებულ და ქვეყნის პატრიოტ კაცს შეეფერება, ბატონმა გაბრიელმა 1941 წელს შექმნა საკუთარი ოჯახი. მან მთელი თავისი სამომავლო ცხოვრება დაუკავშირა მარიამ ზედგინიძეს. ბედნიერმა ოჯახმა თავისი შრომისუნარიანობით, სტუმართმოყვარეობით და სიკეთის ქმნის მოძალებული სურვილის წყალობით, მალე მოიპოვა საზოგადოების ფართო წრის ყურადღება და პატივისცემა.

ბატონმა გაბრიელმა და ქალბატონმა მარიამმა ქვეყანას აღუზარდეს სამი შვილი – ქეთევანი, თამაზი და თინათინი.

გაბრიელ კეჩხუაშვილი გარდაიცვალა 1976 წ. 30 ნოემბერს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ძვირფასი წინაპრის ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი ექვსი შვილიშვილი და ათი შვილთაშვილი.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

„...ძლიერი კაცი შემწეს არ ელის,
საყრდენს პოულობს საკუთარ თავში...“
(ალ. გეროვი)

კილჩაუსკაიტე ნიოლე (ნინო) მაჭავარიანისა

„...ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
სად წაიყვან სადაურსა...“
(შ. რუსთაველი)

და ჩამოიყვანა საქართველოში უწმინდესმა და უძლიერესმა სიყვარულმა საქართველოს მეგობარი ქვეყნიდან, ლიტვიდან, ულამაზესი გოგონა ნიოლე, ჩვენს მშობლიურ ქ. გორში, ძირძველი გორელების, მაჭავარიანების ოჯახში. უმშვენიერესი ნიოლეს „მომტაცებელი“ და „მთავარი“ ჩამომყვანი გახლდათ ნუგზარ მაჭავარიანი, რომელმაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მრავალი ბიჭი, რომლებიც გარს ეხვეოდნენ და თავს აწონებდნენ ლიტვაში აფრენილ პეპელასავით ქალიშვილს.

დაიბადა ახალი ოჯახი და ერთმანეთზე გამორჩეულად შეყვარებულმა წყვილმა ნუგზარ მაჭავარიანმა და ნიოლე კილჩაუსკაიტემ, ორი მეგობარი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების შესაბამისად და დიდი ერთგულებით დაიწყეს კერიის საძირკვლის ჩადუღაბება და სამომავლო გეგმების ქარგვა.

ნიოლე (ნინო) კილჩაუსკაიტე დაიბადა ლიტვაში, ქ. კაუნასში 1945 წელს. მისი მამა გახლდათ იონას კილჩაუსკასი (პროფესიით აგრონომი), ხოლო დედა – ლოლია კილჩაუსკიენე (პროფესიით პედაგოგი).

ტრადიციულ ლიტვურ ოჯახში აღიზარდნენ ასევე: ალფონსასი (ინჟინერ მექანიკოსი); ლორეტა (ტექნოლოგი) და იონასი (უმცროსი) პროფესიით ინჟინერ რესტავრატორი.

სწავლა-განათლების საწყისი ეტაპი გაიარა ქ. ვილნიუსში, შემდეგ კი სწავლას მოწყურებულმა გოგონამ მიაკითხა ქ. მოსკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს და დაეუფლა კვების მრეწველობის სა-

დედაშვილი

ნიტარული ექიმის პროფესიას, რაც საკმაოდ ეფექტურად გამოიყენა შრომითი საქმიანობის ეტაპზე.

ცნობილია ის გარემოება, რომ სხვა ქვეყნის რძლობა, თუ სიძეობა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (ენის არცოდნა, ეროვნულ ტრადიციებზე მწირი ინფორმაცია, ნათესავების უცნობადობა, მეგობრების არყოლა და მრავალი სხვა), თუმცა ქალბატონი ნიოლეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საოცრად მოკლე დროში გადალახა ყველა სიძნელე, მალე „აჭიკჭიკდა“ ქართულად და სულ მცირე ხანში გახდა ქ. გორში ერთ-ერთი ცნობადი და პატივსაცემი პიროვნება.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა გორის სანეპიდსადგურში ექიმ-ბაქტერიოლოგად. უსაზღვროდ იყო შეყვარებული საქართველოზე. ამაყობდა, რომ ორ შვილს (გიორგი – ექიმი; რუსუდანი – გერმანული ენის სპეციალისტი) უზრდიდა ჩვენს ქვეყანას. აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში „ქალები მშვიდობისათვის“. მონაწილე იყო 1993 წელს ქართველ დედათა მშვიდობიანი აქციისა (აფხაზეთში მშვიდობისათვის თეთრი მანდილის მატარებლის სამშვიდობო მისიის ფარგლებში). მალე აითვისა ქართული სუფრის ტრადიციები. უყვარდა და ბრწყინვალედ გამოსდიოდა თამადობა ქალთა სალხინო თავყრილობაზე.

ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას.

ნიოლეს მეუღლე, ბატონი ნუგზარ მაჭავარიანი სიამაყით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მათი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო კეთილისმსურველთათვის (უცხოელი ვიზიტორები, ადგილობრივი მეგობარ-მეზობელ-კოლეგები თუ ლტოლვილები).

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ნიოლე ხშირად აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და ასევე

ხშირად მონაწილეობდა როგორც ქართულ, ისე ლიტვურ ტელეგადაცემებში, როგორც მშვიდობის აუცილებლობის დესპანი და დეკლამატორი.


Мы за мир, против
монстра войны! Пусть много
лет будет достигнут мир
миру культуру!
С любовью и надеждой
отражаем к вам и экзаль
тируем медлительных действий
Матери Грузии.

9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილ მრავალათასიან მსვლელობაზე დედაშვილმა ნიოლე და რუსუდან მაჭავარიანებმა მთელი დღის განმავლობაში დაუღალავად ატარეს ტრანსფარანტი ქართული და ლიტვური წარწერით „როცა შენ გაწამებენ, მე მტკივა“.

ნიოლეს ახლობლები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ მის კომუნიკაბელურობას და მაღალი პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის ერთგულებას.

ლაბორატორიაში

სამწუხაროდ, მძიმე სენმა არ მისცა საშუალება ქალბატონ ნიოლეს, რომ ბოლომდე გაეხარჯა თავისი შესაძლებლობები და გაეხარა საკუთარი მონაგარით (შვილები – გიორგი და რუსუდან მაჭავარიანები; შვილიშვილები – რუსუდანი, დელფის ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; მარიამი, მიხეილი და სოფიო – სკოლის მოსწავლეები);

უბრწყინვალესი ქალბატონი ნიოლე (ნინო) იონასის ასული კილჩაუსკაიტე მაჭავარიანისა გარდაიცვალა 2011 წლის 21 ოქტომბერს.

ნათელში იყოს მისი სული.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს გაზეთებიდან და მეგობართა მოგონებებიდან.

„...მაგალითი იყო და მაგალითად დარჩება მისი ადამიანობა, შვილების სიყვარული და აღზრდის მისეული მეთოდი, დიასახლისობა და მეუღლეობა. იგი შეყვარებული იყო საქართველოზე, ქართველებზე და ქართულ ენაზე...“ (მ. ჭარუაშვილი).

„...აქციის მონაწილეებს განზრახული აქვთ მშვიდობიანი სვლა მოაწყონ აფხაზეთისკენ. აქციაში მონაწილეობის სურვილი მრავალმა გორელმა ქალმა გამოთქვა, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო ნიოლე მაჭავარიანი...“ („გორი“, 1993 წ. №98, 23 სექტემბერი).

ნუგზარი და ნიოლე.
ლიტვური ჟურნალი. 2007 წ.

„...მამულის გადასარჩენად დაიძრნენ ქართველი დედები აფხაზეთისკენ. მათ შორის თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა ნიოლე მაჭავარიანი ეროვნებით ლიტველი, გორელების რძალი...“ („გორი“, №99, 1993 წ. 25 სექტემბერი).

„...მისი ერთგულება რომ გეგრძნო, ამისთვის ნიოლეს ქართულის მოსმენაც კმაროდა... იფიქრებდი – ნეტავი რამდენი ადამიანი საუბრობს ასეთი დახვეწილი, უნაკლო ქართულითო?!. ყოველივე ქართული ისე ჰქონდა შეთვისებული, შესისხლხორცებული, თითქოს დედის რძესთან ერთად შეირგოო ამ ქვეყნის მადლი, ზნეობა, ტრადიცია...“ („ხალხის გაზეთი“, №23, 2011 წ. გორისა და სრულიად საქართველოს საზოგადოების ელიტარული კოჰორტის წარმომადგენლები);

„...აჰ, ფრთხილად დადგი მიწაზე ფეხი,
რომ არ შელახო ბუნების კალთა,
რომ არ გათელო ლამაზის ნეშტი,
მშვენება მისთა მზრუნველთა თვალთა...“
(ომარ ხაიამი)

ლაბაძე ოთარი

„...ღონე ქვეყნისა –
ნიჭიერი და გამრჯე კაცია...“
(ილია ჭავჭავაძე. პერიფრაზი)

ახლობელ-ნათესავები, მეგობარ-მეზობლები თუ კოლეგები ბატონ ოთარ ლაბაძეს იხსენიებენ ისეთ პიროვნებად, რომელსაც ძალიან უყვარდა კითხვა. კითხულობდა და კითხულობდა; სულ წიგნი ეჭირა ხელშიო – სიამაყით იგონებს მისი მონაგარი.

ბანალურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბევრის წაკითხვა საწინდარია განათლებულობის დონის გაზრდისა, ხოლო სწორედ რომ განათლებული ადამიანები განაპირობებენ საზოგადოების განვითარებას და ქვეყნის აღორძინება-წინსვლას.

ოთარ ლაბაძე გახლდათ გორის ინტელიგენციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი კურთხეული მამულის წარმატებებში.

ბატონი ოთარ ლაბაძე დაიბადა 1929 წ. 10 მაისს ქ. გორში, ზაქარია ლაბაძისა და ელენე ესიაშვილის ოჯახში. ამ ოჯახში აღიზარდა კიდევ სამი ვაჟი.

ოთარიმ გორის №3 საშუალო სკოლა დაამთავრა მაშინ, როდესაც წინ იყო მეორე მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებისა და ქვეყნის სწრაფი აღორძინების ისტორიული ეტაპი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ დასახა გრანდიოზული პროექტების განხორციელების მასშტაბური პროექტები, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა მრავალპროფილიანი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებას და შესაბამისად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმასვლის უზრუნველყოფას.

მოწოდება ასე ჟღერდა: კადრები, კადრები და კადრები.

ოთარ ლაბაძემ ჯერ დაამთავრა გორის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ყოველივე ამით

არ დაკმაყოფილდა ოთარი და საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში დაეუფლა მებაღე-მევენახეობის სპეციალობას. უნივერსალური ცოდნით შეიარაღებული ოთარ ლაბაძე აქტიურად ჩაება შრომის ფერხულში და არაერთ წარმატებასაც მიაღწია, მათ შორის საზოგადოებრივი საქმიანობის პროფილითაც.

სხვადასხვა წლებში ოთარ ლაბაძის მიერ განვლილი შრომითი და სხვა სახის მოღვაწეობის ეტაპების მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ე.წ. „ყამირი მიწების“ ათვისების გრანდიოზული პროექტის ერთ-ერთი წევრი (კომკავშირის კომიტეტის მდივანი); საორგანიზაციო განყოფილების გამგე; გორის რ-ის სოფ. ვარიანის მეურნეობის დირექტორი; გორის ექსპერიმენტალური მეურნეობა; და ა.შ.

წარმატებული პარტიულ-სამეურნეო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები, სიგელები, დიპლომები თუ პრემიები.

ოთარის მეუღლე ქალბატონი ნათელა გახლდათ მედიცინის მუშაკი და ასევე წარმატებული დიასახლისი.

უგანათლებულესი და აქტიური შრომით გამორჩეული კაცი, ოთარ ლაბაძე გარდაიცვალა 2013 წელს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.

ძვირფასი წინაპრის ხსოვნა მუდმივად დარჩება მისი ახლობელ-ნათესავების გულებში.

შვილები – ელენე და ავთანდილ ლაბაძეები.

შვილიშვილები – ზურაბ და გიორგი პატარიძეები და ოთიკო ლაბაძე (გარდ. 2017 წ.).

შვილთაშვილები – ნიკა, დავით, ედვარდ, ელენე და ანა პატარიძეები და მარიამ ლაბაძე.

სიძე – ედვარდ პატარიძე.

რძალი – მარინე საური.



ოთარ ლაბაძე შვილიშვილთან (ოთიკო) და შვილთაშვილთან (მარიამი) ერთად

„...თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა ფრიად მარგე...“
(ილია ჭავავაძე)

მახარაშვილი გიორგი

მეუღლესთან და შვილთან ერთად

ადამიანებს (განსაკუთრებით ქართველებს), როდესაც სურთ აღმატებულ ფორმაში ისაუბრონ ამა თუ იმ პიროვნებაზე მრავალ ეპითეტს შორის განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ სიტყვების ისეთ კომბინაციას, როგორიცაა კაცური კაცი.

გიორგი მახარაშვილი გახლდათ მართლაც რომ კაცური კაცი სიტყვების ამ ტანდემის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით.

ვიცნობდი რა პირადად, თავს უფლებას ვაძლევ მისი დახასიათებისთვის გამოვიყენო სიტყვები: მორიდებული, თავმდაბალი, პატიოსანი, ერთგული, მომსმენი, მხარში ამომდგომი, განათლებული, დაუზარებელი, გამზიარებელი, მეგობრულ-მეზობლური, ქართული სუფრის მოყვარული, სტუმართმოყვარე და ა.შ. და ა.შ.

გიორგი მახარაშვილი დაიბადა ქ. გორში 1926 წლის 30 მაისს ზაქარია მახარაშვილისა (ხელოსანი) და ეკატერინე ჭელიძის (დიასახლისი) ოჯახში. ამავე ოჯახში აღიზარდნენ გიორგის დები მარო და თინათინი და ძმა ტარიელი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან უმაღლესი განათლების მიზნით მიაკითხა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს და დაეუფლა ისტორიკოსის პროფესიას.

სულ მოკლე ხანში გიორგი ჩამოყალიბდა წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად. ხელმძღვანელობა ხშირად უცვლიდა სამუშაო ადგილს. მისი ცოდნისა და გამოცდილების თუ მაღალი პასუხისმგებლობის გამო აგზავნიდნენ იმ ობიექტებზე, სადაც განსაკუთრებით იყო საჭირო გამოცდილი და გამრჯე კაცი.

იყო გორის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი;

„კინოგაქირავების“ ორგანიზაციის დირექტორი; უნივერმაღის დირექტორის მოადგილე; გორის „რაიკავშირის თავმჯდომარე; სოფელ სკრის ხილსაცავის, გვირაბ-მაცივრის დირექტორი და სხვა.

გიორგი მახარაშვილმა თავისი ცხოვრება დიდი სიყვარულით და მოფერებით დაუკავშირა უმშვენიერეს ქალიშვილს ნარგიზა ტლაშაძეს (ტყუპისცალს), რომელიც პროფესიით გახლდათ ფიზიკა-მათემატიკოსი (მუშაობდა პედაგოგად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. გარდაიცვალა 2016 წელს).

ნარგიზა და ლამარა

გიორგიმ და ნარგიზამ სამშობლოს აღუზარდეს ორი შვილი – თამაზი და ლალი.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენს შორის აღარ არის არც გიორგი, არც მისი მეუღლე ნარგიზა და აღარც ნარგიზას ტყუპისცალი ლამარა.

გიორგი მახარაშვილი გარდაიცვალა 1998 წლის ივლისში. დაკრძალულია გორში, კვერნაქის მთაზე. ნათელში იყოს მისი სული.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ახლობელ-ნათესავები, შვილები და შვილიშვილები (გიორგი და ზურაბ მახარაშვილები და სოფიო და თამარ ქოიავები) არასდროს დაივიწყებენ უძვირფასეს წინაპრებს.

„...სიტყვით და საქმით იცნობა კაცი,
ვისაც ღირსების უნდა ჩვენება.
სულში ჩახედავს მსაჯული მკაცრი –
კაცის სულშია მისი მშვენება...“
(მირზა შაფი)

მებადური ანზორი

**„...ყოველის წამღები დრო თავის სვლაში
ცვლის საგნის ფორმას, ბედს და ბუნებას...“
(პლატონი)**

ყოველი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები, რითაც იგი განსხვავდება სხვებისგან და რითიც მას აფასებენ, რითიც ახსოვთ და არ (ვერ) ივიწყებენ.

დააკვირდით ფოტოს და დამიჯერეთ მის კოლეგას (ერთად ვმუშაობდით თითქმის 25 წელი), რომ ასეთი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე მუდმივად.

ანზორი იყო საოცრად შრომისმოყვარე და მიზანსწრაფული. ერთი წუთითაც კი ვერ ნახავდით უსაქმოდ მდგომს სამსახურის დერეფნებში ე.წ. „ბირჟებზე“. მუდმივად წერდა, აწესრიგებდა, კითხულობდა წიგნებს და დღითიდღე წინ მიიწევდა მეცნიერების ურთულეს კიბეზე.

ანზორის შრომისმოყვარეობას დაამატეთ აქტიურობა, პრინციპულობა, პატიოსნება, ერთგულება და დახვეწილი კომუნიკაბელურობა და მივიღებთ იმ კეთილშობილ და სიკეთს მკეთებელ (მშენებელ) პიროვნებას, ვისაც ანზორ მებადურის სახელ-გვარით იცნობდა საზოგადოების ფართო წრე.

ანზორ მებადური დაიბადა გორის რაიონის სოფელ შინდისში 1934 წლის 30 მაისს სიმონ მებადურისა და ქრისტინე ყიფშიძის ოჯახში.

ანზორის მშობლები ადგილობრივი კოლმეურნეობის აქტიური წევრები იყვნენ.

ოჯახში აღიზარდნენ ასევე ანზორის და ციური და ძმა ნუგზარი (პედაგოგები. ამჟამად პენსიონერები).



ანზორი (ჩამომჯდარი) მარჯვნიდან პირველი კოლეგებთან ერთად

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ანზორ მებადურმა ისწავლა ჯერ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის სპეციალობით, ხოლო შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ავტომატიკა-ტელემექანიკის პროფილით.

მთელი მისი ნაყოფიერი შრომითი კარიერა ეკუთვნის გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტს („ნიიავტომატპრომი“), სადაც იმუშავა დაწესებულების დახურვამდე. მოღვაწეობა დაიწყო რიგითი ინჟინერის თანმდებობით და დაამთავრა განყოფილების ხელმძღვანელობით.

მის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიღებული ჰქონდა უამრავი მადლობა, სიგელი, დიპლომი, პრემია და ა.შ.

აქვს სამეცნიერო შრომები და გამოგონებები.

ანზორ მებადურმა შექმნა საოცრად მტკიცე და თბილი ოჯახი, რომლის დიასახლისიც, ქალბატონი ნელი გამოირჩევა ენერგიულობით, სტუმართმოყვარეობით, მეზობლებთან კეთილშობილური დამოკიდებულებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყოა – ოჯახზე და მონაგარზე განსაკუთრებული ზრუნვით.

ქალბატონმა ნელიმ უდიდესი ძალისხმევითა და განსაკუთრებული რუდუნებით აღზარდა ოთხი შვილი: ნინო (დიასახლისი), ზაზა (მშენებელ-ინჟინერი, ცხოვრობს თბილისში), ზურაბი (ცხოვრობს რუსეთში, ქ. პენზაში; ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს) და კობა (ეკონომისტი, სამართალმცოდნე; აქვს ბიზნესი გორში).

ანზორის მეუღლე ქალბატონი ნელი იხსენებს ერთ საინტერესო

პეიზოდს: „...პირველი შვილი რომ შეგვეძინა, ანზორი იყო მივლინებაში შავი ზღვის პირეთის ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში. თანამშრომელმა გოგონებმა მიურბენინეს გორიდან გაგზავნილი ტელეგრამა და აცნობეს, რომ მას შეეძინა შვილი. გოგონებს ეგონათ, რომ ანზორი 2-3 დღით მაინც წავა სახლში და ჩვენს ნებაზე „ვიგრიალებთო“, მაგრამ ანზორს მკაცრად უთქვამს – ტყუილად ნუ ცუნცრუკებთ სიხარულით, არავინ აქედან ფეხს არ მოიცვლის მანამ, სანამ სამუშაოს არ დავამთავრებთ ბოლომდეო...“

ასეთი გახლდათ ანზორ მებადური.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი დაიხურა. ანზორი დარჩა უფუნქციოდ. ეკონომიკა სულს ღაფავდა. გაჭირდა ცხოვრება. ანზორი წავიდა სოფელში და შეეჭიდა მძიმე სამუშაოს. ამბობდა – ლობიოს და კარტოფილს მაინც მოვიყვან და ცოლ-შვილს არ ვაშიმშილებო. სთქვა და შეასრულა, როგორც სჩვეოდა.

ანზორ მებადურის უმშვენიერესი მეუღლე, ქალბატონი ნელი ხაზგასმული სიამაყით აღნიშნავს, რომ ანზორი იყო იდეალური მეუღლე, მამა და მეგობარი და რომ ძალიან უყვარდა სტუმრები. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობები ჰქონდაო კოლეგებთან გივი იასამნიძესა და სულიკო ივანაძესთანო (ფოტოზე – დგანან ფეხზე. მარცხნივ სულიკო).

სამწუხაროდ, დღეს აღარცერთია ცოცხალი.

ანზორ მებადური გარდაიცვალა 2007 წლის 16 ივნისს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.

ანზორ მებადურს და ქალბატონ ნელის ჰყავთ ხუთი შვილიშვილი. იმედია, ისინი არასოდეს დაივიწყებენ საყვარელ პაპას.

ნათელში იყოს ანზორ მებადურის სული.

„...შენ იცოცხლე კაცთმოყვარის მრწამსით,
ერთგულება გენთო უქრობ სანთლად,
სამხწუხაროდ – ანზორ შენი წასვლით
დაგვიმძიმე საცხოვრისო კალთა...“

მწითურიძე ნიკოლოზი

„...დაე, მიმატოვოს სხვა ყველაფერმა,
ოღონდ ვაჟკაცობა დარჩეს ჩემთან...“
(იოჰან გოტლიბ ფიხტე)

იგი დამსახურებული სიამაყის გრძნობით მტკიცედ დააბიჯებდა ქ. გორის ქუჩებში და მუდამ მზადყოფნაში იყო ეკეთებინა სიკეთე.

დამსახურებული-მეთქი, აღვნიშნე და სავსებით სამართლიანადაც – იგი სიყმაწვილის ასაკში უკვე იდგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და თავისი წვლილი შეჰქონდა ფაშიზმის დამარცხების ისტორიულ საქმეში.

ჭრილობების მოშუშების შემდეგ აქტიურად ჩაება სამოქალაქო ცხოვრებაში და თავისი მისაბაძი ენერგიითა და აქტიურობით მალე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ნიკოლოზ (კოლია) მწითურიძე დაიბადა 1924 წლის 14 თებერვალს ყოფილი ლენინგორის რაიონის ულამაზეს სოფელ გეზევრეთში.

მიიღო საშუალო განათლება. ოჯახში აღიზარდნენ ასევე ნიკოლოზის ერთი ძმა (გოგლა) და სამი და, რომელთაგან ერთ-ერთმა, კერძოდ მარიამმა აიღო თავის თავზე ნიკოლოზის (კოლიას) აღზრდის საქმე, ვინაიდან ბავშვები ნაადრევად დაობლდნენ.

ქართველი კაცისათვის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ტრადიციას (სიცოცხლის მთავარ მიზანს) წარმოადგენს თბილი და მოსიყვარულე ოჯახის შექმნა და სასახელო შვილების აღზრდა.

ბატონი ნიკოლოზი (კოლია) ამ საკითხშიც აღმოჩნდა მისაბაძი. მან მთელი თავისი სამომავლო ცხოვრება დაუკავშირა მომხიბვლელ და მასზედ უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, ნინო ლომიტაშვილს.

სწავლა-განათლებითა და თავდაუზოგავი შრომით ცნობილმა ოჯახმა ქვეყანას აღუზარდა ერთიმეორეზე უმჯობესი სამი შვილი – ლამარა, აკაკი და ზურაბი.

ბატონმა ნიკოლოზმა ეკონომიკური განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქვე სწავლობდა (იურიდიულ ფაკულტეტზე) ქალბატონი ნინოც, რომელმაც სწავლა გააგრძელა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქნი ნინო მუშაობდა გორის №11 საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ სკოლის დირექტორის მოადგილედაც.

წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა წარჩინებული პედაგოგის წოდება და მრავალი სიგელი, თუ დიპლომი.

ქალბატონი ნინო ძალიან უყვარდათ სკოლაში, როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებს. დღესაც სიამაყით იხსენებენ საოცრად ერუდირებულ და თავის საქმეზე შეყვარებულ პიროვნებას, რომელმაც ცხოვრების სამომავლო გზები გაუკვალა ათასობით ბავშვს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალბატონი ნინო, ისევე როგორც მისი მოსიყვარულე მეუღლე, ადრეულ ბავშვობაში დაობლდა. მისი მამა და ორი ძმა ვეღარ დაბრუნდნენ მეორე მსოფლიო ომიდან და ითვლებიან უგზო-უკვლოდ დაკარგულებად.

ბატონი ნიკოლოზი გამორჩეული გახლდათ ერთგულებით, გაჭირვებულის მხარში დგომით, ურთიერთობაში განსაკუთრებული სითბოთი და სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილით.

ნიკოლოზის მეუღლე ნინო ლომიტაშვილი.

ცნობილია ისიც, რომ ნიკოლოზ მწითურიძე გატაცებული იყო (სპეციალობის გარდა) მათემატიკით და პოეზიით. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა საყვარელ მეუღლეს.

სადაც კი იმუშავა, ყველგან კეთილი კვალი დატოვა. მისი ბოლო სამუშაო სფერო გახლდათ საზოგადოებრივი კვების („საზკვება“) არეალი. ყველგან კეთილი სიტყვებით იგონებენ საოცარ პიროვნებას, რომელმაც სამუდამოდ დაამახსოვრა თავი მადლიერ ადამიანებს.

ბატონ ნიკოლოზს და ქალბატონ ნინოს თვალზე ცრემლმომდგარნი სიამაყით იგონებენ ხუთი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ისინი, რათა დავიწყებას არ მიეცეს საყვარელი ადამიანების ცხოვრება. ისინი ამაყობენ იმით, რომ ხშირად მოუსმენიათ სხვათა სიტყვები: „...მათ სულს ვენაცვალეთ, ღმერთმა ნათელში ამყოფოსო...“

ნიკოლოზ მწითურიძე გარდაიცვალა 1989 წლის 22 ივნისს.

ნინო ლომიტაშვილი (მწითურიძისა) გარდაიცვალა 2015 წლის 27 სექტემბერს.

დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

მსუბუქი ყოფილიყოს მათთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მთის მიწა.

„...ბედნიერია, ვინც ცხოვრების სიღრმეებს ჩასწვდა,
და თავის მკვიდრთაც დაუტოვა ასეთი განცდა...“
(ფრანც გრილპარცერი. პერიფრაზი)

ოდოსაშვილი ნათელა და კვიწინაძე გრიშა

ნათელა ოდოსაშვილი თავის მომავალ მეუღლეს გრიშა კვიწინაძეს ახლობლების ქორწილში შეხვდა. როგორც იტყვიან ხოლმე – „ერთის ნახვით“ შეუყვარდათ ერთმანეთი. რაღაც უხილავმა და არნახულმა გრძნობამ შეიპყრო მათი გულები – მხოლოდ მათთვის ცნობილმა და საამომ.

ქორწილში მრავლად იყო ცეკვა, სიმღერა, მგზნებარე სადღეგრძელო და კეთილი სურვილი.

ქორწილის შემდეგ გრიშამ ისურვა, რომ ნათელა მის სოფლამდე (აღაიანამდე) ჩაეცილებინა. სასურველისგანაც მიიღო მოკრძალებული თანხმობა და გაიშალა ახალი სუფრა. საფუძველი ჩაეყარა ქართული ტრადიციების მატარებელ ოჯახს გორის რაიონის ულამაზეს სოფელ ბერშუეთში.

ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული წყვილის სასახელოდ და საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი რუდუნებით აღზარდეს სამი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი და მოუნიშნეს სამომავლი გზები.

მეუღლესთან (გრიშა) და შვილებთან ერთად.

გრიშა კვიწინაძის მამა (ილია) შეეწირა მეორე მსოფლიო ომის ბატალიებს. გრიშას დედამ სონა თაყაძემ გაიხარა შვილის გაბედნიერებით და საკუთარი ოჯახის შექმნით. არსად არ გაუშვა უმცროსი შვილი და დაიტოვა თავის გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერებით გამორჩეულ ახალაგზრდას სხვა პერსპექ-

სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

ტივებისაკენ უწევდა გული.

გრიშამ უმაღლეს დონეზე შეისწავლა სადურგლო საქმიანობა და ემსახურებოდა როგორც მშობლიური, ისე მეზობელი სოფლების მოსახლეობას.

მისი „ოქროს ხელებით“ ნაკეთები ნივთები დღესაც ამშვენებს მადლიერი ადამიანების ოჯახებს.

ნათელა ოდოსაშვილისა და გრიშა კვიწინაძის ოჯახის მეგობართა შორის გამორჩეული ადგილი ეკავა გორში მცხოვრებ გერცელ ძორელაშვილს. მისაბაძ მეგობრებად თვლიდნენ გრიშას და გერცელს. ცნობილია ასეთი ფაქტი – მძიმე ავადმყოფს, კერძოდ გერცელის მეუღლეს ქალბატონ როზას დასჭირდა სისხლი, რომელიც ყოველგვარი დაყოვნების გარეშე გაიღო ბატონმა გრიშამ (კიდევ ერთი დასტური ქართულ-ებრაული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობისა).

განუყრელი მეგობრები – გერცელი (მარცხ.) და გრიშა ისრაელში, გოდების კედელთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერცელმა მოახერხა და მიწვევით ამოგზაურა მეგობრები ისრაელში.

ნათელა ოდოსაშვილი მოულოდნელად, გულის ძლიერი უკმარისობით გარდაიცვალა 2008 წელს. გრიშა ახლა 80 წლისაა. ცხოვრობს სოფ. ბერშუეთის ცენტრში მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიის გვერდით და მზრუნველობას არ აკლებს წმინდა ადგილს.

ქალბატონო ნათელა დაკრძალულია სოფ. ბერშუეთის სასაფლაოზე და იქიდან ლოცავს შვილებსა და შვილიშვილებს.

ნათელში იყოს მისი სული.

„...თავი დაჰხროდა ბალახს, კვნესა ისმოდა ქვისა,
დარდი ჰფენია მთა-ბარს, დარდი ჩვენი და სხვისა...“

რატიშვილი თამარი და ავაზნელი შოთა

„თამამი კალმით, სიტყვით მინდა დრო-ჟამს შევება,
მომაკვდავია ფერმწერობა თქვენთან ყოვოელი!
როგორ გადმოვცე ვაზის, ვარდის ხიბლი ცხოველი?
როგორ ავსახო საკადრისად თქვენი მშვენება?!“
(რაფაელ სანტი. პერიფრაზი)

ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, სანიმუშო ოჯახის მეპატრონენი, თავისი საქმის პროფესიონალები, ყველა რომ უყვარდათ და ყველას რომ უყვარდნენ.

ამაყი გახლავართ, რომ თქვენს მონა-მორჩილს, შემიძლია მოგონებას შევასხა ფრთები და წარსულიდან გავიხსენო მათთან ურთიერთობის უბედნიერესი წუთები.

თამარ (კუკური) რატიშვილი გახლდათ უგანათლებულესი პიროვნება. მან წარმატებით გაიარა საშუალო განათლების ეტაპი და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, რაც მაქსიმალურად გამოიყენა შემდგომ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ქალბატონი თამარი (კუკური) მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა გორის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე – საამქროს უფროსად, ინჟინერ-ტექნოლოგად, წარმოების უფროსად, დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად და ა.შ.

თუ ყურადღებით დააკვირდებოდით მის ყოველდღიურ მუშაობას, აუცილებლად დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ თამარმა ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცოდა, რაც კი ესაჭიროებოდა ქარხნის წარმატებით მუშაობას.

ქალბატონი თამარი (კუკური) განსაკუთრებით დიდ ენერგიას და დროს უთმობდა ახალაგზრდებისთვის თავისი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, რაც მიაჩნდა უპირველეს მოვალეობად (უფრო მეტიც – მეც მხარში მედგა, როგორც ახალაგზრდა და ჯერ გამოუცდელ დირექტორს 1977-1978 წ.წ. და შემასწავლა წარმოების მთელი რიგი ნიუანსები).

ბატონი შოთა ავაზნელი იყო ოჯახის მეხუთე შვილი (ნაბოლარა) და როგორც ხშირად ხდება ხოლმე – სარგებლობდა გარკვეული პრივილეგიებით. ახლობელ-ნათესავები და ყოფილი მეზობლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ შოთა იყო გარეგნული სილამაზით გამორჩეული, გონიერი, ცელქი, უშიშარი, თბილი ბუნების და მხიარული გუნება-განწყობის ადამიანი.

შოთა ავაზნელმა დაამთავრა გორის №1 საშუალო სკოლა და 1945 წლის დასაწყისში, სავალდებულო სამხედრ სამსახურის სტატუსით მოხვდა ქ. რუსთავის ავიასკოლაში. შოთა ავაზნელის შესახებ იმასაც ამბობენ, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და ნებისმიერი სპეციალობის დაუფლება შეეძლოო.

შოთამ აირჩია სპორტი და ამ მიზნით დაამთავრა ფიზიკური კულტურისა და სპორტული აღზრდის ფაკულტეტი (გორის პედინსტიტუტი) და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის №1 და №4 სკოლებში.

ბატონი შოთა სპორტსმენად იყო დაბადებული (კარგად ცურავდა, საუკეთესოდ ფლობდა თხილამურებს, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს და ა.შ.) და როგორც პროფესიონალი სპორტსმენი-პედაგოგი, არ იშურებდა ძალ-ღონეს, რათა მისი აღსაზრდელები ჩამოყალიბებულიყვნენ წარმატებულ სპორტსმენებად.

აქტიური ბუნების კაცი ვერ კმაყოფილდებოდა თავისი „ვიწრო“ სპეციალობით და მოკლე დროში გააფართოვა თავისი შრომითი არეალის ფარგლები: პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სასტუმრო „ინტურისტის“ ადმინისტრატორი, სავადმყოფოს

დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში, ე.წ. „დოსააფის“ დირექტორის მოადგილე და ა.შ.

შოთა ავაზნელს, როგორც აქტიურ და გამოცდილ მუშაკს ხელმძღვანელობა აბარებდა მოსაგვარებლად შედარებით რთულ სამურნეო, სამრეწველო, თუ კულტ-საგანმანათლებლო უბანს, ობიექტს და შოთასაც არასდროს შეურცხვენია თავი.

1957 წელი აღმოჩნდა ქალბატონი თამარის (კუკურის) და შოთას სამომავლო ცხოვრების გზების გადაჯდობის წელი და მათაც დიდი სიყვარულით და რუდუნებით შექმნეს საკუთარი მყუდრო, ტკბილი და თბილი, შრომისმოყვარე და თითით საჩვენებელი ოჯახი, რომელშიც პრიორიტეტული მცნებები გახლდათ: ერთგულება, პატიოსნება, განათლება, შრომა, სტუმართმოყვარეობა და პატრიოტიზმი.

ამ პრინციპებით იცხოვრეს და იღვაწეს, ამ პრინციპების სადარაჯოზე გაჭაღარავდნენ და ამ პრინციპების გამგრძელებლებად ქვეყანას აღუზარდეს ორი შვილი – თამილა (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი; მეუღლე გივი ჯამელაშვილი; შვილები ანტონი, ანა, გიორგი ჯამელაშვილები) და ლეილა (მშენებელ-ინჟინერი, მეუღლე ზურაბ მაკრახიძე; შვილები – ნიკოლოზი და შოთა).

ქალბატონ თამარის (კუკურის) და ბატონი შოთას შვილიშვილები, რომლებიც ჩაბმულნი არიან კერძო თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების საქმიანობაში და ღირსეული წვლილი შეაქვთ საზოგადოების განვითარების საშვილიშვილო საქმეში (ანტონი და გიორგი ჯამელაშვილები – კერძო ბიზნესი; ანა ჯამელაშვილი ექიმ-სტომატოლოგი, „ვაითდენტის“ დირექტორი; ნიკოლოზ მაკრახიძე – „თეგეტა მოტორსის“ მენეჯერი; შოთა მაკრახიძე – ექიმ-სტომატოლოგი).

ქალბატონი თამარის და ბატონი შოთას მონაგარს სიამაყით შეუძლია თქვას, რომ მათმა ძვირფასმა ადამიანებმა, სანუკვარმა წინაპრებმა, პირნათლად მოიხადეს ვალი საკუთარი ოჯახის, ხალხისა და ქვეყნის წინაშე თავისი კეთილსინდისიერი და დაუღალავი მოღვაწეობით.

სამწუხაროდ, ორი ბრწყინვალე ინტელიგენტი აღარ დააბიჯებს ქალაქის ქუჩებში. საზოგადოებამ ისინი სამუდამო სასუფევლისკენ გააცილა თვალზე ცრემლმომდგარმა.

ბატონი შოთა გარდაიცვალა 1997 წ. 1 მარტს, ხოლო ქალბატონი თამარი (კუკური) 2015 წ. 6 ნოემბერს. დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

„...დრო ჰქრის თავის გზით, როგორც ისარი,
არაფრად გითვლის ნაფიქრ-ნააზრებს,
წარმატებული გვჯერა ის არის,
თავის ნაღვაწით დროს ვინც გაასწრებს...“

სამადალაშვილი ელენე

„...რომელია დიდებული?..
როგორც ხშირად ვაკვირდები –
ეს ის არის, ვისაც ძალუძს
იყოს მართლა დიდებული...“
(იოჰან გოეთე)

გორის საზოგადოების და კერძოდ კი განათლების სფეროს ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, ქალბატონ ელენე სამადალაშვილის შინაგან ნიშან-თვისებათა შორის გამორჩეულად ხაზს უსვამენ მის სწრაფვას და ლტოლვას მაღალი დონის განათლებულობისაკენ. ამაზე მეტყველებს ი. ნადირაძის წერილიდან ამონარიდიც (გაზეთი „სოციალისტური სოფელი“ №765. 1955 წ.): „...პედაგოგის უდიდესი სახელმწიფოებრივი როლი თავიდანვე კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ქალბატონ ელენეს. ამიტომაც ორწლიან ინ-

სტიტუტში მიღებული ცოდნა არ აკმაყოფილებდა და მის გაღრმავებას ესწრაფვოდა. ამ მიზნით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც და დაეუფლა ფილოლოგის სპეციალობას...“

ელენე სამადალაშვილი დაიბადა სოფიო და ვასილ სამადალაშვილების ოჯახში 1919 წლის 10 აპრილს.

ელენეს მამა ბატონი ვასილი დაკავებული იყო ვაჭრობის სფეორში, ხოლო დედა სოფიო წარმატებით უძღვებოდა ოთხშვილიან ოჯახს და ითვლებოდა მზრუნველ მეოჯახედ და კარგ დიასახლისად. აღსანიშნავია, რომ ქალბატონ სოფიოს მიღებული ჰქონდა საგიმნაზიო განათლება.

ქალბატონ ელენეს მხარს უმშვენებდნენ ორი და (პედაგოგები) და ერთი ძმა (სამწუხაროდ დაიღუპა ავტოკატასტროფაში).

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიიღო ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლება და მუშაობა დაიწყო ბორჯომის რაიონის ახალდაბის სკოლაში პედაგოგად, შემდეგ კი შრომითი კარიერა გააგრძელა გორის №2 საშუალო სკოლაში ჯერ პედაგოგად, მერე კი დირექტორად.

1941 წელს ქალბატონმა ელენემ საკუთარი ოჯახი შექმნა ტექნიკური სფეროს წარმომადგენელთან, ნიკოლოზ გიგაიასთან ერთად და სამშობლოს აღუზარდა სამი შვილი.

აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ქალბატონი ელენე ღირსეულად ართმევდა თავს საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ მხრივაც იგი მისაბაძი პიროვნება გახლდათ ყველასთვის.

საამაყოა და სასახელო ის, რომ ქალბატონი ელენე გახლდათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი. მრავალი წლის განმავლობაში იყო პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრი.

ახლობელ-ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები თუ ყოფილი კოლეგები ქალბატონ ელენეს ახასიათებენ როგორც საუკეთესო პედაგოგს და დაუღალავ, პრინციპულ და უანგარო პიროვნებას, რომელმაც არ დაიშურა ძალები მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და ათასობით ახალგაზრდას გაუკაფა გზა ცხოვრების რთულ ლაბირინთებში.

ქალბატონი ელენე გახლდათ იმ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული წარმომადგენელი, რომელიც მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და მთელი არსებით ჩართული იყო ახალი საზოგადოებრივი წყობის აქტიური მშენებლობის ისტორიულ საქმეში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში კვლავაც აღიზრდებიან ქალბატონ ელენეს მსგავსნი, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს საქმიანობას და არც წარსულს მისცემენ დავიწყებას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი – „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...“ მაშ, გვახსოვდეს წარსული, გვახსოვდეს უმშვენიერესი ქალბატონი ელენე სამადალაშვილი, რომელიც მუდმივ სასუფევლისკენ გააცილა მადლიერმა საზოგადოებამ 1982 წლის თებერვალში.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მთის მიწა.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

„...გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს, ეძიეთ მასში არა ოდენ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც, ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც...“

(ჯუზეპე მაძინი)

სირანაშვილი ნიკოლოზი (ნუკრი)

„...ღორსეული კაცია ის, ვინც კეთილი საქმეებით თავის სახელს უკვდავჰყოფს...“

(პერიკლე. პერიფრაზი)

ქართველები, გამორჩეულნი ურთიერთშექებით, ხშირად ვიყენებთ ხოლმე გამოთქმას „კაცური კაციაო“, „კაცური კაცი იყოო“ და ა.შ. ეს ეპითეტი თავისი არსით გულისხმობს ადამიანებს, რომლებსაც ღმერთისგან ჰქონდათ უხვად ბოძებული: სიკეთე, კომუნიკაბელურობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, პატრიოტიზმი, შრომის სიყვარული, ოჯახის ერთგულება და სხვა.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, აღნიშნული ნიშან-თვისებების მატარებელი გახლდათ ნიკოლოზ (ნუკრი) სირანაშვილი, რომელსაც ახლობელ-მეგობრები სიყვარულით „სერიკასაც“ ეძახდსნენ.

ნიკოლოზ (ნუკრი) სირანაშვილი დაიბადა ქ. გორში 1959 წ. 21 ნოემბერს. მისი მშობლები: ნორა სირანაშვილი (მოსამსახურე) და ზაქარია სირანაშვილი (მოსამსახურე). სახელმწიფო მოხელეების ოჯახში აღიზარდნენ ასევე ნიკოლოზის დები ციცინო და ლალი.

ნიკოლოზმა დაამთავრა გორის მე-2 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ქ. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნიკოლოზი (ნუკრი) ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული იყო. სწავლა-განათებასთან ერთად გზადაგზა ეუფლებოდა სხვადასხვა პროფესიებს, რაც მას პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგებოდა, რის წყალობით მან აქტიურად იმუშავა ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიც იყო საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო სფერო, ავტოსატრანსპორტო გაერთიანება (სამგზავრო); პროფესიონალის დონეზე ფლობდა მანქანის მართვის ტექნოლოგიას, იყო წლების განმავლობაში ტაქსისტი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იგი ბეჯითად ვარჯიშობდა ფიზიკური კონდიციების განსამტკიცებლად და დაკავებული იყო ძიუდოთი.

ბატონმა ნიკოლოზმა (ნუკრიმ) მტკიცე და მოსიყვარულე ოჯახი შექმნა მისი გულის სწორთან, ბრწყინვალე პიროვნებასთან ლია გოგინაშვილთან (პედაგოგი) ერთად.

ახლობელ-ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრების დიდი წრისათვის საყვარელ ოჯახში იშვა და აღიზარდა ოთხი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი: „ნინო (ფინანსისტი), ნონა (პედაგოგი), ნათია (მედიცინის მუშაკი) და გიორგი (მომავალი ექიმი).

ვინც ნიკოლოზს (ნუკრის) იცნობდა, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ იგი იყო შესანიშნავი მეოჯახე კაცი, მისაბაძი მეუღლე და მზრუნველი მამა.

ნიკოლოზს ჰყავდა ძალიან ბევრი ახლობელი ადამიანი. ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და სულ იმის ცდაში იყო, რომ მათთვის რაიმე ესიამოვნებინა.

ნიკოლოზი მზად იყო ყველას დახმარებოდა, ვისაც კი ეს ესაჭიროებოდა.

ხაზგასასმელია ის გამორებაც, რომ იგი უანგაროდ სისტემატურად გადასცემდა თავის გამოცდილებას ახალგაზრდებს.

მეუღლესთან (ლია გოგინაშვილთან) ერთად

ნიკოლოზს ძალიან უყვარდა მშობლიური ქვეყანა, რისი დასტურიცაა ის გარემოება, რომ შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო და დეტალურად სწავლობდა ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

ნიკოლოზის ცხოვრების ისტორიიდან იხსენებენ ასეთ ფაქტს: ერთხელ სავალი გზის ნაპირზე დავარდნილი, უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი შენიშნა. მიატოვა სამუშაო და ხელში აყვანილი საავადმყოფოში ექიმებს მიჰგვარა. თავს დასტრიალებდა, ცქმუტავდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ცოტა დამშვიდდა, როცა უთხრეს, რომ ქალი შაქრიანი დიაბეტის კრიზში იყო და რომ არა იგი, შეიძლება მოხუცი ვერ გადარჩენილიყო. გაიხარა ნიკოლოზმა, გულზე მოეშვა.

სამწუხაროდ, მას საკუთარმა გულმა არ მისცა საშუალება დიდხანს ეხარა თავის შვილებში, შვილიშვილებში (კობალაძე მარიამი, ლუკა, კახნიაშვილი გიორგი, ანა და ტეტუნაშვილი ნიკოლოზი). ნიკოლოზ (ნუკრი, „სერიკა“) გარდაიცვალა 2018 წ. 18 ივლისს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ყოფილიყოს კარგი კაცის სული.

„...მოკვდა ვაჟკაცი ვალმოხდილი,
ხალხს ექცა ნაღვლად,
მაგრამ ამაყი თავით დადგა
სიკვდილზე მაღლა...“

ტლაშაძე გენო

„...მას თავის ბედი და სივრცე ჰქონდა,
იცნობდა ბევრი, ბევრს თავად სცნობდა,
„იცოდა ქიციც და ქიცმაცურიც“,
ვერ მოხიბლავდით საქმით მაცდურით...“

გენო ტლაშაძე დაიბადა ქ. გორში, ირაკლი ტლაშაძისა და თინათინ ქარუმიძის ოჯახში 1936 წლის 9 ივლისს.

სულ პატარა იყო გენო, როდესაც მამით დაობლდა. ბედმა ინება, რომ იგი გაზრდილიყო მშობელი მამის ზედამხედველობის გარეშე (ბატონი ირაკლი, სხვა გორელებთან ერთად, მედგრად იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, იგი ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს – დაიღუპა კარგად ცნობილ „კურსკის რკალის“ საბრძოლო ოპერაციების დროს).

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ასევე სამშობლოს დამოუკიდებლობას შეწირა გენოს პაპა (დედის მხრიდან) ბატონი გენო ქარუმიძე 1921 წლის ისტორიულად ცნობილ კოჯორ-ტაბახმელას საბრძოლო ოპერაციის დროს რუსული არმიის ნაწილების წინააღმდეგ. რაც შეეხება პაპას (მამის მხრიდან), ალექსანდრე ტლაშაძეს – იგი იყო საეკლესიო მოღვაწე (მღვდელი, ოქონის ეკლესიაში, ციხისძირი).

ირაკლი ტლაშაძისა და თინათინ ქარუმიძის ოჯახში აღიზარდა ასევე გენოს ძმა თამაზი, რომელიც, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დაიღუპა (1956 წ.) ავტოავარიის დროს.

გენო ტლაშაძემ დაამთავრა გორის №2 ვაჟთა სკოლა და შემდეგ კი გორის, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი სწავლების სფეროს პროფილით.

მარჯვნიდან პირველი გენო მეუღლის (ირა დვალის) გვერდით.

საინტერესოა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ გენომ ადრეულ ასაკში გადაწყვიტა საკუთარი ოჯახის შექმნა და აკი აისრულა კიდეც ჩანაფიქრი ირა (ირინა) დვალთან ერთად. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დიდი რუდუნებით შეუდგა ისტორიული მისიის აღსრულებას. მალე ოჯახში იშვა და აღიზარდა ორი ვაჟიშვილი, რომელთაც ქართული, დაუწერელი ტრადიციის შესაბამისად დაარქვეს ძვირფასი წინაპრების სახელები – ირაკლი (გენოს მამა) და თამაზი (გენოს ძმა).

გენო ტლაძაძემ გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური უკრაინაში, კერძოდ, ქ. ხარკოვში.

გენო ტლაშაძე (მარცხნიდან პირველი).

გენო ტლაშაძეს ძალიან დიდი სამეგობრო წრე ჰქონდა. მათგან დღეს ბევრი აღარ არის ცოცხალთა რიგებში, მაგრამ ვინც კვლავ გამობრძმედილი ნაბიჯებით დაიარება ისტორიულ ქ. გორში – სიამოვნებით იხსენებს გენოს და ყვება საინტერესო ცხოვრების ეპიზოდებს.

გენო ტლაშაძე გარდაიცვალა 2020 წლის 1 მარტს. დაკრძალულია გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.

„...აჰ, რა ანაზდად, რა ჩქარა ქრება
ბედნიერება, შვება და ლხენა...“
(ვილჰელმ ჰაუფი)

ღვინიაშვილი ზამირა

**„...ადამიანი თავისი საქმიანობით
არის დიდი ან პატარა...“
(სამუელ სმაილსი)**

პედაგოგობა, ანუ სხვათა სწავლება და აღზრდა რომ უმნიშვნელოვანესი პროფესიაა და საქმიანობაა, ეს ოდითგანვე აღიარებულია კაცობრიობის მიერ, რამეთუ განათლებულობის გარეშე წარმოუდგენელია ვისაუბროთ რაიმე სერიოზულ და მნიშვნელოვან წარმატებებზე.

სწორედ ამ უნიკალურ და უძველეს პროფესიას მიუძღვნა თავისი ცხოვრება ზამირა ღვინიაშვილმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იღწვოდა დაუღლელად და ათასობით ბავშვს გაუკვალა წარმატებებისაკენ მიმავალი გზები.

ზამირა ვასილის ასული ღვინიაშვილი დაიბადა 1938 წლის 27 ივლისს ქ. გორში.

ზამირას დედა, ეკატერინე სომხიშვილი ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო დიასახლისი და მზრუნველი დედა.

ზამირას მამა, ბატონი ვასილი იყო მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსანი და დახვეწილი ინტელიგენტი, რომელიც შეეწირა გასული საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს ისე, რომ არ მიეცა საშუალება ენახა თავისი მესამე შვილი.

ვასილისა და ეკატერინეს ოჯახში აღიზარდა სამი შვილი: ზამირა, ცისანა და ნოდარი. ქვრივად დარჩენილმა ქალბატონმა ეკატერინემ დედისა და დების დახმარებით ობლობა არ აგრძნობინა ბავშვებს და დიდი მონდომებისა და გარჯის წყალობით გამოზარდა ღირსეულ ადამიანებად – ზამირა ჩამოყალიბდა პედაგოგად, ცისანა დაეუფლა ქიმიურ მეცნიერებას, ხოლო ნოდარიმ მოიპოვა ინჟინრის სტატუსი.

ქალბატონ ზამირას უყვარდა ხოლმე თქმა: „...ლომის ზოდიაქოს ნიშნით ვარ დაბადებული, რომელთაც რომანტიკოსებს უწოდებენ და რომელთაც უყვართ მეფურად განდიდება, არიან გულითადნი და თავდაჯერებულნი. ასეთებს მართლაც ბუნების ადამიანებს უწოდებენო...“

ცხოვრებამ განკარგა ისე, რომ ზამირა ღვინიაშვილს არ ჰქონია საკუთარი ოჯახი და არც საკუთარი შვილები ჰყოლია, მაგრამ როგორც ცნობილმა ქართველმა პოეტმა (ი. ნონეშვილმა) თქვა – „...მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი...“

ზაირამ და მისმა დამ ცისანამ დიდი ამაგი დასდეს ძმის, ნოდარის შვილების აღზრდას, არ იშურებდნენ არც ძალ-ღონეს და არც თავიანთ არცთუ დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს: მარინე ჩამოყალიბდა ექიმად; ვასილი კვალიფიციურ ეკონომისტად; ხოლო ნონა ღვინიაშვილი – პედაგოგად (მამიდის პროფესია).

ზამირა ღვინიაშვილი გორის №3 საშუალო სკოლაში აღიარებულ მასწავლებლად იყო ცნობილი. მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის წოდება. წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა ორდენები და მედლები და არაერთი სიგელი, დიპლომი, მადლობა.

სამწუხაროა, რომ ძმისშვილებზე მზრუნველი დები ზამირა და ცისანა დღეს უკვე ვეღარ გვაცებენ თავისი პროფესიონალიზმით და კაცთმოყვარეობით. მათ სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრეს ადგილი (ცისანა გარდ. 2009 წ. 16 სექტემბერს, ხოლო ზამირა 2010 წ. 4 ივლისს). დაკრძალულნი არიან გორის, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მათი სულები.

„...მომავლისთვის უცოცხლია მხოლოდ იმ მაშვრალს,
თავისი დროის ხალხისათვის ვინც შექმნა ბევრი...“
(ფრიდრიხ შილერი)

ციხისთავი დალი

როდესაც ქ. გორში საყოველთაოდ ცნობილმა პიროვნებამ ბატონმა პაპუნა კობერიძემ წინამდებარე წიგნისათვის მომიტანა მასალა თავისი გარდაცვლილი დედის შესახებ, იქ ერთმა ფრაზამ – „... ჩემს ხელში დალია სულიო“ – შემძრა. გამახსენდა ჩემი ერთ-ერთი ლექსის ფინალი, სადაც მამლის ყივილზე, დიდი პურმარილიდან სახლში მისულ ახალგაზრდა უცოლო კაცს დედა უღებს კარებს:

„გთხოვ მაპატიო ამჯერადაც, ძვირფასო დედავ...
კარგიო შვილო – დაივიწყა უძილო ღამე,
მერე ალერსით ჩავუკოცნე თვალებში სევდა –
დედაზე ტკბილი ქვეყანაზე არსებობს რამე?!“

დალი (25 წლის)

დიახ, ბატონო პაპუნა, – რამდენად ბანალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს – დედაზე ძვირფასი არაფერი ყოფილა, არაფერია და არც არასოდეს იქნება; ეს ჭეშმარიტებაა და მწამს, რომ ამ იდეით, ამ არსით და ამ მიზნით უნდა ვზრდიდეთ მომავალ თაობებს და ვაშენებდეთ სამომავლო საზოგადოებას. დღევანდელი ქართველი დედები კი არიან ჭეშმარიტი გმირები.

ქალბატინი დალი ციხისთავი დაიბადა 1938 წ. 11 მარტს კასპის რ-ის სოფ. ქვემოჭალაში.

მამა – სოლომონი გახლდათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სკოლის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მუშაკი, პედაგოგი, როგორც იტყვიან – თავისი დროისთვის უგანათლებულესი კოლორიტული პიროვნება.

დედა – მარინე სოზიაშვილი გახლდათ ულამაზესი და უსათნოესი ქალბატონი, პროფესიით პედაგოგი.

დიდებულ ოჯახში დალის გარდა აღიზარდნენ კიდევ მისი: და თამარი (ლალა) პედაგოგი (გერმანისტი), ძმები ემარი (სოფლის მეურნეობის სპეციალისტი (გარდ. 1999 წ.) და გია (ბაცო) – პედაგოგი, პოლიტიკოსი, კასპის რაიონის ყოფილი გამგებელი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონმა დალიმ საშუალო სკოლის შემდეგ სწავლა გააგრძელა გორის ბ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და კურსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოირგო ისტორიკოსის სტატუსი. ამავე პერიოდში და აღნიშნულ სფეროში გადაიკვეთა დალი ციხისთავისა და აფენდი კობერიძის საცხოვრისო გზები. მათ შექმნეს თითითსაჩვენებელი ოჯახი, სადაც იშვა და აღიზარდა ორი წარმატებული მამულიშვილი – მარიკა (ფილოლოგი. დაამთავრა ლიტერატურის ინსტიტუტი მოსკოვში. იყო პირველი ქართული, კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი; პოეტი; მთარგმნელი. ცხოვრობს მოსკოვში) და პაპუნა (ეკონომისტი, გორის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად საკრებულოს წევრი).

ქალბატონი დალი გახლდათ ღრმადგანათლებული და ერუდირებული პიროვნება გამორჩეული კეთილშობილებით, პატრიოტული სულისკვეთებით, ჰუმანურობით. დალი გახლდათ მართლაც რომ მისაბაძი დიასახლისიც. მის ოჯახში სტუმრობას ყველა ელტვოდა. ნატრულობდნენ მოესმინათ მისი სიმღერისათვის. ჰქონდა საოცარი ხავერდოვანი ტემბრის ხმა. იგი გახლდათ რუსული რომანსების ბრწყინვალე შემსრულებელი.

ქალბატონი დალი და ბატონი აფენდი შვილიშვილებთან (რატი, სალომე) ერთად.

ქალბატონი დალის ვაჟიშვილი პაპუნა იგონებს: „...ჩვენთან სტუმრობა ყველას უყვარდა. ენატრებოდა დედის და მამის ხელგაშლილობა, მოლხენა. მამის გარ-

დაცვალების შემდეგ თანდათან მოტყდა. მძიმე სენმა შეუტია და ლოგინს მიაჯაჭვა.

სტუმრად მყავდა ჩემი თანაკურსელი თბილისელი მეგობრები, საუკეთესო მომღერლები. უყვარდათ დედაჩემთან ერთად სიმღერა, მაგრამ ერიდებოდათ, რადგან იცოდნენ მისი მძიმე ავადმყოფობის შესახებ.

მოულოდნელად გამოჩნდა სუფრასთან სპეციალური გადასაადგილებელი მოწყობილობის საშუალებით. გვთხოვა, ერთად ვიმღეროთო. ყველა აღტაცებაში მოვიდა; მოეფერნენ და ხელზე ეამბორნენ...“

ქალბატონი დალი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 2017 წლის 12 ივლისს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე უსაყვარლესი მეუღლის აფენდი კობერიძის გვერდით.

მეზობელი ქალბატონის **მარინე ბეთლემიძის** მოგონებიდან მცირე ამონარიდი: „...ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო; გარეგნულად დიდებული ციხისთავი; შინაგანად თბილი, რბილი, მოსიყვარულე; არ დამავიწყდება მისი ხმა, სიცილი, სიმღერა; მეამაყება, რომ ჩემი მხოლო მეზობელი კი არა – მეგობარიც იყო...“

ქალბატონ დალის ჰყავს ოთხი შვილიშვილი: რატი (ხელოვნებათმცოდნე) და სალომე (იურისტი) კობერიძეები, ასევე გიორგი და სანდრო ვასილიევები (ცხოვრობენ მოსკოვში).

გვწამს, რომ მონაგარი არასოდეს დაივიწყებს უმშვენიერეს და უძვირფასეს წინაპარს.

ნათელში იყოს მისი ხსოვნა.

„...ოჰ ფრთხილად დადგი მიწაზე ფეხი,
რომ არ შელახო ბუნების კალთა,
რომ არ გათელო ლამაზის ნეშტი,
მშვენება მისთა გონიერ თვალთა...“
(ომარ ხაიამი)

ჭიღლაძე ილია (ცაცო)

„...დაე, თუნდ მოვკვე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი...“
(ილია ჭავჭავაძე)

დიახ, პატივცემულო მკითხველო, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონმა ილიამ ბრწყინვალე მეუღლესთან (ანასტასია ცქიფურიშვილი) ერთად სრულად მოიხადეს ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავ გამოდებით შრომობდნენ რა იმისთვის, რომ არა მხოლოდ მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ტყის მასივების არსებული სივრცეები, არამედ გაეშენებინათ კიდეც ახალი ფართობები, მათ შორის მართლაც რომ უნიკალური კაკლის ტყე გორის რაიონის სოფ. სიქალეთის ალპურ ზონაში, რაც დენდროლოგებმა შეაფასეს საოცარ მოვლენად, რამეთუ კაკლის ტყის გაშენება და ისიც ალპურ ზონაში ითვლებოდა უძნელეს პრობლემად.

ილია ჭიღლაძე დაიბადა გორის რაიონის სოფ. ატენში 1924 წლის 1 იანვარს. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში. განათლების შემდგომი ეტაპი გახლდათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი.

ილია ბუნებამ შვა მკვლევარად.

იგი განუწყვეტლივ ძიებაში იყო და მეცნიერული სიახლეებისაკ-

ენ მისი ლტოლვა საყოველთაოდ იყო ცნობილი.

სატყეო საქმიანობის უკვე ჩამოყალიბებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა განიზრახა კაკლის ტყის გაშენება და საამისოდ შეარჩია კიდეც სადისერტაციო ნაშრომი.

ანასტასია ცქიფურიშვილი

საოცარი ენერგიით გამორჩეულმა ილიამ სად აღარ დატოვა თავისი ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობის კვალი: გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა (ჯერ მეტყევე-ინჟინრად, შემდეგ ხელმძღვანელად); სოფ. ღრომის სატყეო არეალის მეტყევე-ინჟინერი; ქარელის რაიონის სატყეო მეურნეობის უფროსი; კითხულობდა ლექციებს გორის ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე და სხვა.

1949 წელს ბატონმა ილიამ ოჯახი შექმნა თავის კოლეგასთან (პირველი დამსახურებული მეტყევე-ინჟინერი ქალი გორის რაიონში) ანასტასია ცქიფურიშვილთან ერთად. სიკეთითა და სიყვარულით გამთბარ ოჯახში გაიზარდა ორი შვილი. შეიქმნა ტყეზე მზრუნველთა შეხმატკბილებული და უმალესი განათლებულობის მატარებელი საოცარი ტანდემი.

დღესაც საამოდ შრიალებს მათ მიერ გაშენებულ-გახარებული კაკლის ტყე ატენის ხეობის სივრცეში, ალპურ ზონაში.

როგორც ახლობლები იხსენებენ, ქალბატონი ანასტასია (მეტყევე-ინჟინრად მუშაობის პროცესში) განუწყვეტლივ ზრუნავდა ახალგაზრდა მეტყევეების აღზრდა-ჩამოყალიბებაზე და არაერთს ჩაუნერგა ტყის სიყვარული.

ქალბატონი ანასტასია გახლდათ დინჯად და დაბეჯითებით მოსაუბრე პიროვნება, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა საზოგადოების დიდი ყურადღება და პატივისცემა. ქალბატონ ანასტასია ცქიფურიშვილის შრომით ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ის გახლავთ, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში,

ტყეებში ლაფნიჭამიის „წყალობით“ ხეების მასიური ხმობის პროცესის შესაჩერებლად, მისი ხელმძღვანელობით გორის სატყეო მეურნეობის ბიოლოგიურ ლაბორატორიაში შეიქმნა ე.წ. რიზიფაგუსის ხოჭო, რომლის ოპერატიულმა და მასშტაბურმა გამოყენებამაც შეაჩერა ხეების ხმობა. ატენის ხეობა, ბოშურის ტყეები კვლავ მწვანედ შეიმოსა და ჩადგა ხალხის სამსახურში.

ახლობელ-მეგობრები და ნათესავები თუ კოლეგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ილია ჭიღლაძის დევიზი იყო: „...მე თუ ვერ მოვესწრები, ჩემი შვილები, შვილიშვილები, სრულიად მომავალი თაობა ხომ იხილავს წინაპრის მიერ გაშენებულ ტყეს, ჩვენს მიერ გაკეთებულ სიკეთესო“

ანასტასია ცქიფურიშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 27 სექტემბერს. ილია (ცაცო) ჭიღლაძე გარდაიცვალა 2001 წლის 11 სექტემბერს. დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მათი სულები.

მადლიან ქართულ მიწაზე ამაყად შეუძლიათ იარონ ბატონი ილიას (ცაცოს) და ქალბატონ ანასტასიას შვილებმა – გივი ჭიღლაძემ (მშენებელ-ინჟინერი), მარინე ჭიღლაძემ (ინჟინერ-ტექნოლოგი, იურისტი), ხუთმა შვილიშვილმა და ექვსმა შვილთაშვილმა.

ისინი არასოდეს დაივიწყებენ ღვაწლმოსილ და საყვარელ ადამიანებს.

გაზეთ გორის მოამბეში“ (2001 წ. დეკემბერი) ქალბატონი თამარ მაჩაბელი (სულხანიშვილისა) წერს: „...შემოდგომის ფერმკრთალი ფოთლებივით გვშორდებიან ძვირფასი ადამიანები, რაღა გვრჩება? მოგონებები, რომელსაც მარად გულით ვატარებთ. წავიდნენ ჩვენგან უახლოესი ადამიანები: ანასტასია ცქიფურიშვილი და ილია (ცაცო) ჭიღლაძე. ჩემს მეხსიერებაში დარჩა მათი მომღიმარი და კეთილი სახეები. კურთხეულ იყოს სახელი მათი...“

ილია (მარცხნივ) ოჯახის წევრებთან

ხითარიშვილი ვასილი

შენ ვაჟკაცურად უძლებდი ტკივილს,
ბედისწერამ რომ გარგუნა წილად
მუდამ მისდევდი სიკეთის ბილიკს,
იყო ყინვა თუ უწყვეტად წვიმდა.

დიდებულ გორელზე, ყველასათვის საყვარელ ადამიანზე მოკლე ჩანახატს დავიწყებთ რამდენიმე ამონარიდით გაზეთებიდან.

„...მოყვასის მოყვარული, გაჭირვებულთა შემწე... უხვად შეეძლო სითბოს გაცემა, რწმენით აღევსო სასოწარკვეთილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ისევ შემოებრუნებინა... იუმორით სავსეს, იქნებ ბევრ რამეზე სტკიოდა გული, მაგრამ არ იმჩნევდა, მაინც შემართული იყო („გორი“, 1993 წ. №105);

„...კიდეც დატოვე, შენს მიერ განვლილ გზაზე, იმაზე მეტი სითბო, სიკეთე და სიყვარული, ვიდრე ამას ერთი ადამიანის სიცოცხლე დაიტევდა...“ (გაზეთი „გორი“, 1993 წ. №118).

ვასილ (ვასიკო – ასე მოიხსენიებდა მას გორელების უმრავლესობა) ხითარიშვილი დაიბადა 1934 წლის 23 მარტს ქ. გორში პავლე და ეთერ ხითარიშვილების ოჯახში.

ვასილის მამა ბატონი პავლე გახლდათ გორსა და გორის რაიონში ცნობილი ხაბაზი; ვასილის დედა ქალბატონი ეთერი გახლდათ ოჯახზე უზომოდ შეყვარებული დიასახლისი, რომელმაც ოთხი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი აღუზარდა ქვეყანას (ორი ქალიშვილი, ორი ვაჟიშვილი).

ვასილის ბავშვობიდანვე ეტყობოდა, რომ იყო ხალისიანი, აქტიური, სწრაფადმოაზროვნე და ღიმილიანი ყმაწვილი. მოზრდილიც ასეთი ახსოვთ მადლიერ გორელებს.

ვასილ ხითარიშვილმა დაამთავრა ქ. გორის ვაჟთა №1 საშუალო სკოლა და უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სამშენებლო ფაკულტეტი).

1958 წლიდან (ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ) იწყება ვასილ ხითარიშვილის შრომითი ბიოგრაფია, რომელიც შესაბამისი სამინისტროებისა და სპეციალისტების შეფასებით იყო საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი.

პროფესიონალ მშენებლ-ინჟინერის რანგში, ვასილ ხითარიშვილის ფიქრი და მარჯვენა გადასწვდა მთელი შიდა ქართლის სამშენებლო ინდუსტრიას და მშენებარე ობიექტების უდიდეს ნაწილს და შეიძლება ითქვას – წარმატებითაც. მოსწონდათ მისი საქმიანობა, უქებდნენ მარჯვენას, უცხადებდნენ მადლობას, აჯილდოებდნენ და ა.შ.

გადიოდა წლები და იგი მტკიცედ იმკვიდრებდა ადგილს მშენებლთა იმდროინდელ წარმატებულთა კოჰორტაში.

ამასობაში დადგა საკუთარი ოჯახის შექმნისა და ღვთითბოძებული მოვალეობის, მონაგარზე ზრუნვისა და სამომავლო ცხოვრებისეული ბილიკების კეთილმოწყობის დრო.

1963 წელს, უკვე „დაღვინებულმა“ მშენებელმა სამომავლო ცხოვრება მჭიდროდ და სიყვარულით დაუკავშირა მომხიბვლელ ნათელა მღებრიშვილს და მშვენიერი წყვილის ცხოვრებაში დაიწყო ახალი, ერთობლივი გარჯა-ზრუნვის ეტაპი.

ახლობელ-ნათესავებმა, მეგობარ-ნაცნობებმა, კოლეგებმა და მეზობლებმა იზეიმეს ახალი ოჯახის შექმნა და გულით უსურვეს მომავალი ბედნიერება. ახალაგზრდა ოჯახმა ცხრა შვილი აჩუქა ქვეყანას (ერთი ვაჟი, რვა ქალიშვილი), მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. საწუთრო ჩასაფრებული იყო და განსაცდელს უმზადებდა ახალაგზრდა ოჯახს.

მეუღლესთან (ნათელა მღებრიშვილი) ერთად. 1977 წ.

გაზეთებიდან: „...პირველი დიდი დარტყმა ყრმა ვაჟის სიკვდილმა აგემა... მეორე უმძიმესი დარტყმა და ძნელად გადასატანი სადარდებელი მათი 18 წლის სტუდენტი ქალიშვილის მაიას ანგელოზთა ქვეყანაში გაფრენა იყო...“

იმავე გაზეთებიდან მკითხველი ამოიკითხავს შემდეგს: „...რამდენჯერ სცადეს მისი გატეხვა – არ გატყდა. ყოველ თავსდატეხილ უბედურებას ვაჟკაცურად ებრძოდა. მის სათნო მეუღლეს, ნათელა მღებრიშვილს, თვალის ერთი შევლებითაც შეეძლო მისი გაგება, თანაგრძნობა, დარდის გაზიარება...“

უამრავი ადამიანი იცნობდა ვასილ ხითარიშვილს და თვითონაც ათასობით ადამიანს სცემდა პატივს. სულ იმის ცდაში იყო, რომ სიკეთით დაემკვიდრებინა ადგილი, სირთულეებით სავსე ცხოვრებაში.

ვასიკო (ვასილი) იყო საოცრად კომუნიკაბელური პიროვნება. მისთვის ძირითადი დამახასიათებელი შტრიხები გახლდათ – ღიმილი, სწრაფი საუბარი და მოძრაობა, ორიგინალური იუმორი და ყოველივეს მიმართ დიდი ყურადღება და ყველაფერში დეტალებამდე ჩაწვდომა.

იგი ისეთი პიროვნება იყო, რომ მასთან ყოფნა ყველას სიამოვნებდა: „...მას უხვად შეეძლო სითბოსა და სიყვარულის გაცემა. თვითმყოფადი იუმორით ყველას ხიბლავდა. მას შეეძლო გაჭირვებულების უანგარო დახმარება...“ (გაზეთებიდან).

მძიმე ხვედრი არგუნა განგებამ მოსიყვარულე მეუღლეებს. ადრეულ ასაკში ორი შვილის დაკარგვა – ეს დიდი ტრაგედიაა. ასეთ მძიმე დარტყმებს ვედარ გაუძლო ვაჟკაცის გულმა და... გაჩერდა. ეს უბედურება ოჯახს თავს დაატყდა 1993 წლის 2 ოქტომბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყოს მისი სული.

ვასილ (ვასიკო) ხითარიშვილის მონაგარს კი ვუსურვებთ სათუთად შეენახოთ ბრწყინვალე წინაპრის ხსოვნა.

„...მხოლოდ ჭეშმარიტ სიკეთისთვის შეწირულ დღეთა ჯამით მიღებულ დროს ვეძახით სიცოცხლეს ნამდვილს...“
(ქამალ-ედ-დინ ისფაჰანი. პერიფრაზი)

ხინჩიკაშვილი თენგიზი

მასთან პირველივე შეხვედრისას, დაკვირვებული ადამიანი, აუცილებლად გამოიტანდა დასკვნას, რომ საქმეჰქონდა უაღრესად კეთილშობილ პიროვნებასთან, რომლის მუდამ ოდნავმომღიმარი თვალები და სახე მეტყველებდა მის მაღალ შინაგან კულტურაზე, უდიდეს სითბოზე ადამიანების მიმართ, კეთილსინდისიერებასა და საქმისადმი უაღრესად დიდ სიყვარულზე.

ღიმილიან სახეს და თვალებს მხარს უბამდა თბილი, ალერსით გაჟღენთილი საუბარი, რაც საბოლოოდ აჯადოვებდა დიდსა თუ პატარას.

დიახ, ასეთი გახლდათ ბატონი თენგიზ ხინჩიკაშვილი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოების მეხსიერებაში. იგი უყვარდა ყველას, იგი ახოსვს ყველას... მან, როგორც პროფესიონალმა მედიკოსმა მრავალ ადამიანს მოუშუშა ტკივილები, უანგაროდ გასცა საკუთარი სიცოცხლის ყოველი წუთი სხვათა სიცოცხლის გამოსაჯანმრთელებლად და გასახანგრძლივებლად. ბატონ თენგიზს არასდროს დაივიწყებს მადლიერების დამფასებელი ადამიანი. იგი სამუდამოდ დარჩა ოჯახის წევრების, მეგობრების, მეზობლების, კოლეგებისა და ათასობით ყოფილი პაციენტის გულში.

თენგიზ ვლადიმერის ძე ხინჩიკაშვილი დაიბადა 1927 წლის 19 იანვარს ქ. გორში. მამა – ხელოსანი; დედა, ნინა პავლეს ასული გიკაშვილი – დიასახლისი.

ბატონ თენგიზს ჰყავდა უფროსი ძმა ვახტანგი (წარმატებული პარტიულ-სამეურნეო მუშაკი. გარდ. 2010 წელს).

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბატონმა თენგიზმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და სამსახურებრივი კარიერა დაიწყო ქ. ტულაში. შემდეგიყო ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი (სწავლაც, შრომაც). შემდეგ კი მისი

შრომითი კარიერა გაგრძელდა მშობლიურ კუთხეში: ჯერ როგორც ყელ-ყურ-ცხვირის (ოტორინოლარინგოლოგი) სპეციალისტი, შემდეგ რაიონული საავამდყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ქ. გორის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, შემდეგ გორის რაიონული პოლიკლინიკის მთავარი ექიმი და ა.შ.

როგორც წარმატებულ მედიკოსს მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო – საპატიო ნიშნის ორდენი, მედიცინის მუშაკის საპატიო წოდება, მრავალი სიგელი და დიპლომი.

წლების განმავლობაში იყო მედიცინის მუშაკთა პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე (ქ. გორში).

1950 წელს ბატონმა თენგიზმა შექმნა საკუთარი ოჯახი და მთელი თავისი სიცოცხლე დაუკავშირა ულამაზეს ადამიანს – ნათელა (ციცნა) ქალიაშვილს (1927-1976 წ. პროფესიით პედიატრი. მუშაობდა ბავშვთა პოლიკლინიკაში. ციცნა იყო ყველასთვის საყვარელი ადამიანი. გარდაიცვალა ადრე. მას უკანასკნელ გზაზე აცილებდა ათასობით თვალცრემლიანი გორელი).

ბატონმა თენგიზმა და ქალბატონმა ნათელამ (ციცნამ) აღზარდეს სამი შვილი: რევაზი (1952-2007. ექიმი, გორის ტუბდისპანსერის მთ. ექიმი. დაჯილდოებული იყო ასევე მუსიკალური ნიჭით – პიანინო, გიტარა, წერდა სიმღერებს, მღეროდა, კარგად თამაშობდა ჭადრაკს და ა.შ.); მედეა (დაბ. 1954 წ. ექიმი, მუშაობდა ყვარელის ცენტრა-

მეუღლესთან, ნათელა (ცისანა) ქალიაშვილთან ერთად.

ლური საავადმყოფოს მთ. ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში) და თამარი (დაბ. 1964 წ. ექიმი-პედიატრი. მუშაობს შპს „გორმედში“ (ქ. გორი) ფთიზიოპედიატრად).

ცისანა შვილებთან

ბატონი თენგიზი იყო უნივერსალური და უნიკალური მონაცემების მქონე პიროვნება. უყვარდა ფეხბურთი. უკრავდა საყვირზე, იცნობდა კომპოზიტორების ბიოგრაფიებს და მათ მუსიკალურ შედევრებს, ოჯახთან ერთად ესწრებოდა თეატრალურ პრემიერებს, მღეროდა სასიამოვნო ხმით, იყო საუცხოო თამადა და მასპინძელი, რომელსაც ტოლს არ უდებდა საყვარელი მეუღლე და დიასახლისი ქალბატონი ნათელა. მათი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო სტუმრების მისაღებად.

ასეთივე ნიშან-თვისებებითა და ხასიათის შეფერილობით დაჯილდოებულმა მათმა შვილებმა მშობლებს აჩუქეს შვილიშვილები: თეონა, ნათია, სოსო, ლაშა (კუპრაშვილები), თინათინ, მარიამ, მიხეილი (ფირანიშვილები) და შვილთაშვილები: ანა, რევაზი, იოანე, მედეა, კესარია, თათია, ლიზი, ნინი, ელენე და გიორგი.

ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იწერებოდა მადლიერი პაციენტების საქებარი სიტყვებით დახუნძლული წერილები ბატონი თენგიზის შესახებ.

თავად თენგიზი კი გახლდათ საოცრად მორიდებული და თავმდაბალი ადამიანი.

1976 წელს, ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბატონ თენგიზს შეერყა ჯანმრთელობა, მაგრამ ვაჟკაცურად იტანდა პრობლემებს (ორჯერ გადაიტანა ინსულტი) და ბოლომდე იღვწოდა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

1993 წელს გადაწყვიტა წასულიყო ყვარელში და იქ შვილიშ-

ვილებთან გაეტარებინა გარკვეული დრო, მაგრამ მისმა სიკეთით სავსე გულმა ვეღარ გაუძლო მესამე შემოტევას და გაჩერდა. იდგა 4 მაისი.

თენგიზ ხინჩიკაშვილი დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე მეუღლესთან, მშობლებთან და ძმასთან ერთად.

ნათელში იყოს მისი სული.

„...მე გავლიე ჩემი ცხოვრების
ჟამი და მოვიხადე მოვალეობა,
რაც ბედმა დამაკისრა...“
(კარლო ფონ ლინეი)

ხირსელები – ამბროსი და ვიქტორი (ვიკა)

„...მწამს რომ უკვდავთა საქმეს ვერ წაშლის,
უწყვეტი ქროლა საუკუნეთა...“
(ჯორჯ გორდონ ბაირონი)

ამბროსი

ძვირფასო მკითხველო, სიამაყის შეგრძნებით მინდა განვაცხადო, რომ ვიცნობდი (განსაკუთრებით ახლოს შვილს, ვიქტორს) იმ ორ პიროვნებას, რომელთა შესახებაც ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ წინამდებარე წერილში. ვიტყვი მოკლედ – მამა-შვილი ამბროსი და ვიქტორი (ვიკა) იყვნენ უაღრესად კეთილშობილი, მაღალი განათლებულობისა და შინაგანი კულტურის მატარებელი და პატრიოტიზმის სულისკვეთებით შემკობილი პიროვნებები, რომლებმაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს საზოგადოების სრულყოფის ისტორიულ საქმეში.

ბატონი ამბროსი და ბატონი ვიქტორი (ვიკა) წარმოადგენდნენ მაშინდელი გორის ინტელექტუალური ელიტის ე.წ. ნაღებს, მათ კოლორიტებად მოიხსენიებდნენ.

არ დავიწყებთ აქ ჩამოთვლას თუ სად ისწავლეს, რა ისწავლეს, რამდენი ისწავლეს და ასე შემდეგ, ვიტყვით მოკლედ: ამბროსი და ვიქტორი გახლდნენ ქვეყნის ღირსეული და აღმატებული მამულიშვილები.

პროფესიით ექიმი-გინეკოლოგი ამბროს ხირსელი გახლდათ თავისი საქმის დიდოსტატი. ძნელია ჩამოთვალო თუ რამდენ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე (რამდენს შვილი და რამდენს დედა).

ცნობილია, რომ ამბროსის ოჯახში ინახება მადლიერი პაციენტებისა და მათი მშობლების სიყვარულითა და სითბოთი სავსე წერილები.

როცა ბატონმა ამბროს ხირსელმა ქ. გორში დაიწყო მოღვაწეობა – არსებობდა მხოლოდ ერთი გინეკოლოგიური განყოფილება, სადაც მხოლოდ ერთი ექიმი და ოთხი ბებიაქალი მუშაობდა.

ბატონი ამბროსის შვილი, ქალბატონი ვიოლა აღნიშნავს: „...მამა, თითქმის, სულ სამსახურში იყო. დღედაღამ მუშაობდა; მისთვის უქმე დღე არ არსებობდა; სახლში ფეხის შემოდგმას ვერ ასწრებდა, რომ ისევ სამსახურში ეძახდნენ... მთასა და ბარში, დარში თუ ავდარში დადიოდა ექიმი თავისი განუყრელი ჩანთით და ამრავლებდა სიცოცხლეს, ახარებდა მრავალ ჭერს; მამამ, მთელი სიცოცხლე, ენერგია და ჯანმრთელობა შეალია საყვარელ საქმიანობას და მშობლიურ ხალხს...“

ბატონი ამბროსის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით გორში გაიხსნა 30-საწოლიანი სამშობიარო სახლი.

მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ბატონი ამბროსი საკუთარ ოჯახს (მეუღლე ლენა, შვილები – ვიქტორი და ვიოლა). ვიქტორი გახლდათ პროფესიით იურისტი, ხოლო ქალბატონმა ვიოლამ მთელი თავისი უნარი უძღვნა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ამბობენ – კახური სიდინჯე და იუმორი ახასიათებდაო ბატონ ამბროსი ხირსელს.

როგორც პროფესიონალს, ბატონ ამბროსი ხირსელს მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო ასევე საპატიო ნიშნის ორდენით და მრავალი მედლით. პარალელურად ძირითადი საქმიანობისა ბატონი ამბროსი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის სამედიცინო სასწავლებელში.

ამბროსი ხირსელი გარდაიცვალა 1972 წელს.

დიდად პოპულარული გახლდათ ბატონი ამბროსის ვაჟიშვილი, პროფესიით იურისტი ვიქტორი (ვიკა), რომელმაც შექმნა სამართალდამცველის სრულიად ახლებური სახე: მრავალმხრივ განათლებული (მას მეგობრები „ცოცხალ ენციკლოპედიას“ უწოდებდნენ. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია. ხუმრობით ამბობდნენ ხოლმე – მასთან ერთად ყოფნისას მუზეუმებში გიდის საჭიროება აღარ იდგაო); გატაცებული იყო სპორტით (ცურვა), ფოტოგრაფიით, ხატვით, მუსიკით (უნივერსიტეტში სწავლისას იყო მუსიკალური კოლექტივის წევრი); გამოდიოდა ორკესტრთან ერთად. მონაწილეობდა რადიოს მუსიკალურ რუბრიკებში და ა.შ.

ვიქტორი

ყოველივე ამასთან ერთად, ვიქტორი (ვიკა) გახლდათ საოცრად ჰუმანური, კეთილსინდისიერი, მშვიდი და გაწონასწორებული.

ასეთად დარჩა იგი ჩვენი საზოგადოების მეხსიერებაში.

ბატონმა ვიქტორმა მოსიყვარულე და მყუდრო ოჯახი შექმნა მომხიბვლელ და ერთგულ ადამიანთან ლამარა ბალიაშვილთან ერთად, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა გორის საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად. ქალბატონი ლამარა ყველას უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურებოდა. საზოგადოებაში ერთხმად აღნიშნავდნენ მის კეთილშობილებას და სიალალეს.

ბატონი ვიქტორი (ვიკა) შრომითი კარიერის საწყის ეტაპზე მუშაობდა გორის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად. შემდეგ პროკურორის მოადგილედ და ასევე სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა წარმოჩინდა მისი ქ. გორის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობისას.

სამწუხაროდ, 1993 წელს სამუდამოდ გაჩერდა დიდი პროფესიონალისა და მამულიშვილის ვიქტორ ხირსელის მგზნებარე გული.

მამა-შვილი ხირსელები (ამბროსი, ვიქტორი) დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ძვირფასი ადამიანების მომგონებლები არიან: შვილი ქეთევანი, შვილიშვილები: ვიქტორი, ლაშა, მარიამი; შვილთაშვილები ელენე და ანდრია.

უმცროსმა ვიქტორმა, ბაბუის მსგავსად, იურისტობა შეარჩია პროფესიად. ლაშამ ექიმობას (ქირურგი) მიჰყო ხელი; მარიამი სწავლობს სამხატვრო აკადემიაში.

ამბროსი ხირსელს ჰყავს ასევე შვილიშვილი ელენე (ჟურნალისტი) და შვილთაშვილები დაჩი და დინა.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და წარმატებით ამყოფოს მამა-შვილი ხირსელების (ამბროსი, ვიქტორი) მონაგარი.

„...მათ თავის ირგვლივ შექმნეს სამყარო,
ერთობ სპეტაკი, გარჯით ქებული
და მონაგარი ხარობს, ამაყობს
შრომისმოყვარე და დიდებული...“

ალექსანდრე (სანდრო)

გიორგი

რევაზი

სამი მუშაკური

ისინი „ამინდს ქმნიდნენ“ XX საუკუნის 30-70 წლების თელავში.

...კარგად გესმოდათ ეოფის რაობა,
პატივსა სცემდით წმინდა ღვთის ნებას,
განეკუთვნებით თქვენ იმ თაობას,
ვისთვისაც შრომა იყო ღირსება.
ძნელია ვიგრძნოთ სიცოცხლის „სიგრძე“,
სამყაროს კიდეს შევავლოთ თვალი...
გზას გიკვალავდათ ილიას სიბრძნე
და უქარქაშო ერეკლეს ხმალი.
კოლორიტებად მოგნათლათ ხალხმა...
დღეს თქვენს მონაგარს ამაყად გვეთქმის,
ყინვა იყო თუ უწყვეტი თავსხმა
სადარაჯოზე იდექით ქვეყნის.

ჩხუბიანიშვილი ალექსანდრე (სანდრო)



ალექსანდრე (სანდრო) ზაქარიას ძე ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1901 წლის 19 იანვარს ქ. თელავში. მამა – ზაქარია დიმიტრის ძე ჩხუბიანიშვილი, დედა – მაგდანა გიორგის ასული მარკოზაშვილი. დიმიტრი ჩხუბიანაშვილის მეუღლე იყო მართა პაატაშვილი, მოამაგე ბებია.

მეუღლე ელენე ზაქარიას ასული ქაჩლიშვილი, ბიოლოგი, წარმოშობით გურჯაანიდან, სახელგანთქმული მევენახის რეპრესირებული ოჯახიდან.

შვილები – ცისია ჩხუბიანიშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ლ. ყანჩაველის სახ. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის, ბიოლოგიური კონტროლის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიო 100 პედაგოგს შორის არჩეული (დიდი ბრიტანეთი, 2011), ქ. თელავის საპატიო მოქალაქე: მათიკო (მართა), ექიმი სტომატოლოგი, ამჟამად პენსიონერი.

შვილიშვილები – დავით თამაზის ძე და მაკა (მარიამ) თამაზის ასული ანდრონიკაშვილები. შვილთაშვილები – მარიამ და ეკატერინე ანდრონიკაშვილები, ელენე, დავით, ნიკოლოზ ლომსაძეები.

სანდრო ჩხუბიანიშვილი ქ. თელავის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა შეუდგა სამეურნეო საქმიანობას სოფლის მეურნეობის დარგში – მემინდვრეობა. პარალელურად, მან დაასრულა არაერთი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები მინდვრის კულტურების მოყვანისა და მათი მავნე ორგანიზმებისაგან დაცვაზე. მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, ს. ჩხუბიანიშვილი,

საქართველოდან როგორც დელეგატი, წარგზავნილი იყო ქ. მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.

სამამულო ომის დროს და შემდგომ 1950 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა გურჯაანის რაიონის „საქსოფლმომარაგების“ დაწესებულებას, ხოლო 1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1981) სხვადასხვა თანამდებობაზე (დირექტორი, მოადგილე და სხვა), მუშაობდა თელავის რაიონის „საქსოფლტექნიკის“ სამსახურში. მას ბაღნარად ჰქონდა გადაქცეული დაწესებულების კარ-მიდამო, ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა ადგილობრივ პრესაში.

სანდრო ჩხუბიანიშვილი წიგნიერი პიროვნება იყო. იგი ხშირად სტუმრობდა თელავის წიგნის მაღაზია – „სახელგამს“. აქტიურად მონაწილეობდა ქ. ლენინგრადის (ნევის პრ.28) „წიგნი-ფოსტით“ სისტემაში. ამ გზით შექმნილი ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით დიდ სამამულო ომზე. ს. ჩხუბიანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ეს ბიბლიოთეკა გადაეცა ქ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ს. ჩხუბიანიშვილი „ნადირობის ტრფიალი“ იყო. პირველი მასწავლებელი იყო მისი მამიდაშვილი სოსო ლომიძე (ინჟინერ-ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ვასილ პეტრიაშვილის მოწაფე, 1937 წლის მსხვერპლი), შემდგომში კი – სახელგანთქმული თელაველი, ღვაწლმოსილი მონადირე – აკაკი მაჭავარიანი (ახალგაზრდა მონადირე მოწაფეები აკაკი მაჭავარიანს ხოხბის ბუმბულებისაგან შეკრულ გვირგვინით გამოემშვიდობნენ).

მეუღლესთან (ელენე) ერთად.

ს. ჩხუბიანიშვილს ხელეწიფებოდა ხატვა, განსაკუთრებით – ნახშირით. გიმნაზიაში მისი ხატვის მასწავლებელი იყო გამოჩენილი მხატვარი, სცენოგრაფი ვალერიან სიდამონ-ერისთავი.

ს. ჩხუბიანიშვილი ქართული, ტრადიციული სტუმართმოყვა-

რე ოჯახიდან იყო, განთქმული იყო მათი ზვრები, ქვევრ-მარანი და რთველი სოფელ რუისპირში (თელავის რ-ნი), რაც აღბეჭდილია გამოჩენილი ფოტოხელოვანის, ვასილ როინაშვილის სურათში „ჩხუბიაანთ რთველი“. დღესაც ეს ადგილი ჩხუბიაანთ უბნად არის ცნობილი, სადაც სანთლად შერჩენილია „ჩხუბიაანთ ეკლესია“, იქ იმართება სოფლის დღეობა – დავითობა.

ს. ჩხუბიანიშვილი მასპინძლობის მადლით იყო ცხებული. ის გამორჩეული თამადა იყო შინ თუ გარეთ. შინ – დიდი სანათესაო ჰყავდა თელავში – პაატაშვილები, ყაზახაშვილები, როსტომაშვილები, ედილაშვილები, გარეთ კი ახალგაზრდობის მეგობრები – ძმები ვახტანგ და რევაზ ჭანკოტაძეები, ალექსი ყარალაშვილი, ვანიკო კოზმოვი-გულისაშვილი და სამსახურებრივად დაახლოებული პიროვნებები. მათთვის მუდამ ღია იყო მისი მამა-პაპური სახლის კარი. თელავის ამაგდარი, ქ-ნი მედეა მეზვრიშვილი რაიმე ღონისძიებასთან დაკავშირებით, საპურმარილო თავყრილობაზე, სუფრის თამადად ს. ჩხუბიანიშვილს იწვევდა. ასეთი იყო თელავში ბუნებრივი აირის ქსელის გაშვებასთან დაკავშირებით პურმარილიანი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საქართველის გაზის სისტემის თავკაცი, თავდადებული თელაველი, გიორგი ბარძიმოვი (ს. ჩხუბიანიშვილის გიმნაზიის ამხანაგი).

1961 წ. სრულიად ახალგაზრდა, უკვე სახელმოხვეჭილი ნოდარ დუმბაძე ესტუმრა თელავს. მასთან შესახვედრად მიიყვანეს ქალაქის კოლორიტი ბესო მწყერაძე და სანდრო ჩხუბიანიშვილი. ორივე მხარე ფრიად კმაყოფილი დარჩა.

ს. ჩხუბიანიშვილი წლების მანძილზე დაკავებული იყო რა საპასუხისმგებლო თანამდებობებით, გარემოება მოითხოვდა, რომ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი. სათანადო განცხადებას მან დაურთო ავტობიოგრაფია – მე დავიბადე 1901

წლის 19 იანვარს, ქრისტეს ნათლობის დღეს... ამის შემდეგ მისთვის კომუნისტური პარტიის კარი სამუდამოდ დაიკეტა.

ს. ჩხუბიანიშვილი უყვარდა თელავის საზოგადოებას. მას უკანასკნელ გზაზე აცილებდა უამრავი ხალხი, ყველა ასაკის ადამიანი. განსაკუთრებით თვალცრემლიანები ეთხოვებოდნენ მისი ნადირობის ბიჭები-მოწაფეები და სხვა.

ს. ჩხუბიანიშვილი გარდაიცვალა 1981 წლის 1 აპრილს. დაკრძალულია ქ. თელავის სასაფლაოზე, ე.წ. „სევდის ბაღში“, მშობლების გვერდით.

ნათელში იყოს მისი სული.

„...კაცური კაცის სიკვდილით მოკვდა,
ვაჟკაცურობის აურის მქონე,
ვერაგობას და სიცრუეს მტრობდა
(არ იშურებდა ძალსა და ღონეს),
მისი იმედი სუყველას ჰქონდა,
ასაკით მცირეს, თუ ბევრის მცოდნეს...“

ჩხუბიანაშვილი გიორგი

გიორგი ზაქარიას ძე ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1903 წლის 12 იანვარს ქ. თელავში. მამა – ზაქარია დიმიტრის ძე ჩხუბიანიშვილი, დედა – მაგდანა გიორგის ასული მარკოზაშვილი. დიმიტრი ჩხუბიანაშვილის დედა იყო – მართა პაატაშვილი, ამაგდარი ბებია.

მეუღლე – მარია მიხეილის ასული იამშჩიკოვა.

შვილები – მაგდა ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1931; ნოდარ ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1934; ლილი ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1939.

შვილიშვილები – დავით ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1958; თინა-

თინ ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1961; რუსუდან ჩხუბიანიშვილი – დაბ. 1970; სერგი კარსანიძე – დაბ. 1963; გიორგი კარსანიძე – დაბ. 1964; სერგი ჯანდიერი – დაბ. 1977.

შვილთაშვილები – ირაკლი და ნინო ჩხუბიანიშვილები (ტყუპები) – დაბ. 1984; ნათია შენგელია – დაბ. 1981; მიხეილ ნადარეიშვილი – დაბ. 2004; თამარ ნადარეიშვილი – დაბ. 2011; მაგდა კარსანიძე – დაბ. 1988; თამარ კარსანიძე – დაბ. 1988; გიორგი კარსანიძე – დაბ. 1989; ევგენია ჯანდიერი – დაბ. 2020.

გ. ჩხუბიანიშვილი 1923 წელს ამთავრებს ქ. თელავის ვაჟთა გიმნაზიას და სწავლას აგრძელებს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და ასრულებს 1928 წ. მებაღეობა-მევენახეობის განხრით. იმავე წელს მუშაობას იწყებს სოფ. ურიათუბანში (დღევანდელი ვაზისუბანი), მეტეოროლოგ-ფენოლოგის თანამდებობაზე, საცდელ სადგურში.

1929 წ. გ. ჩხუბიანიშვილი სწავლას აგრძელებს მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში (ქ. ლენინგრადი), 1931 წ. დაინიშნა საკავშირო მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიურ განყოფილებაში, უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. 1937 წ. 50 წლის განმავლობაში მუშაობდა განყოფილების გამგედ. ამასთან, 1931-1953 წ.წ. გ. ჩხუბიანიშვილი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს თელავის მეტეოროლოგიური, შემდეგ აგრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად. ამ პერიოდში იგი ხსნის კახეთის ტერიტორიაზე მეტეოროლოგიურ სადგურებს, რომლებიც დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ.

1946 წლიდან გ. ჩხუბიანიშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის მფლობელია.

გ. ჩხუბიანიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა აგროკლიმატოლოგიაში გადაცემულია მევენახეობის ინსტიტუტის სათანადო განყოფილებაში.

გ. ჩხუბიანიშვილი გატაცებული იყო ფეხბურთით, განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის – გივი ჩოხელის მიმართ (შეიძლება ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გ. ჩოხელი წარმოშობით თელაველი იყო). ყოველი მატჩის შემდეგ მასთან ჰქონდა მიმოწერა, უგზავნიდა დარიგებებს.

გ. ჩხუბიანიშვილი იყო გამორჩეული მეოჯახე – სტუმართმოყვარე პიროვნება. მასპინძლობისთვის მხარში ედგა მეუღლე მარია მიხეილის ასული. ვინ არ ყოფილა მის სახლში სტუმრად – მისი გიმნაზიის მეგობრები, ძმები გრიშა (გრიგოლ) და ელიზბარ ჩხიკვაძეები, პეტო (პეტრე) ცისკარიშვილი, იჩო აბაშიძე, ნათესავი და ამასთან მეგობარი ვანია (ივანე) ხიზანიშვილი (მსახიობ ირაკლი ხიზანიშვილის მამა) და სხვა. იმ დროს, როდესაც მევენახეობის ინსტიტუტი თელავში იყო განთავსებული, გ. ჩხუბიანიშვილის ხშირი სტუმრები იყვნენ – ინსტიტუტის დირექტორი აკად. სერგი დურმიშძე, ნიკოლოზ ახვლედიანი, დიმიტრი (ტიტე) ტაბიძე, ნიკო (ბაბრა) ალექსიძე, გრიგოლ (ბიჭიკა) მაყაშვილი, პეტრე ბიბილაშვილი და სხვა. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო პეტრე ბიბილაშვილი, რომლის საშუალებითაც ავრცელებდა ხოლმე მოსაწვევ ბარათებს. როგორც შემდგომში პ. ბიბილაშვილი იხსენებდა – თუ გ. ჩხუბიანიშვილი პურმარილს დააგვიანებდა – პეტრე შეახსენებდა – ბ-ნი გიორგი თქვენი „პოჩერკი“ მოგვენატრაო.

გ. ჩხუბიანიშვილი, როგორც ღვაწლმოსილი მეცნიერი, დაჯილდოებულია 5 მედლით, წარჩინების ნიშნებითა და საკავშირო მიღწევათა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სიგელით, ოქროს მედლით.

„მეცნიერის კვალი ნათელი“, ასეთი სათაურით გამოქვეყნდა მოგონება გ. ჩხუბიანიშვილზე 1983 წელს გაზეთში „სოფლის ცხოვრება“, მისი კოლეგების – ოთარ კანდელაკის (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი) და მევენახეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვაჟა გოცირიძის მიერ.

გ. ჩხუბიანიშვილი გარდაიცვალა 1980 წ. ქ. თბილისში. დაკრძალულია ქ. თელავში.

ჭანკოტაძე რევაზი

„რაინდის მკერდში რაინდის გული ფეთქავდა, რეკდა ძლიერი ხმებით, ბედმა არგუნა ცხოვრება რთული... კლდესავით იდგა ამაყი ნებით...“

რევაზ ჭანკოტაძე

ყვარლის რაიონის სოფელი შილდის ზემო (ჩრდ.) ნაწილში, წისქვილის წყლის ნაპირზე მდებარე ერთ მომცრო მწვანე გორაკზე უკვე ას წელზე მეტია ამაყად დგას სამი ცაცხვი სამი საკუთარი ვაჟიშვილის სახელზე რომ დაურგავს და გაუხარებია სოფლის საკმაოდ მდიდარ გლეხს ნიკოლოზ დავითის (დათიკას) ძე ჭანკოტაძეს. ვაჟიშვილების სახელებია გიორგი, ვახტანგი და რევაზი.

თქვენს მონა-მორჩილს, არდადეგების პერიოდში, ხშირად დაუსვენია, უცელქია და უნებივრია წისქვილის წყლის ნაპირზე, ცაცხვების ჩრდილში და ცაცხვების ტოტებში.

გვარის (ჭანკოტაძის) წარმომავლობის საწყისები ზემო იმერეთის მაღალმთიან სოფ. ილემში მოიაზრება („კარიბჭე“, №14, 2009, ალ. ნაზღაიძე).

ამონარიდი: „...წმინდა გიორგის ბაზილიკურ ეკლესიაში, ერთ-ერთი სვეტის თავზე ასომთავრული წარწერა იკითხება – ჭაკოტაძე გიორგი. ჭაკოტაძე სოფ. ძირულაში დღესაც მცხოვრები ჭანკოტაძეების წინაპარი იყო. XVIII-IX საუკუნეებში ჭანკოტაძეები ჩასახლებულან შიდა ქართლში, კახეთსა და ჰერეთში... სავარაუდოდ ნიკოლოზ ჭანკოტაძის მამა (რევაზის პაპა) დავითი (დათიკა) ერთ-ერთი ჩამოსახლებული უნდა იყოს ყვარლის რ-ის სოფ. შილდაში...“

მაშ, ასე – რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძე დაბადებულა შილდაში ეკონომიკურად ძლიერი გლეხის ნიკოლოზის ოჯახში. ამავე ოჯახში მოევლინნენ ქვეყანას რევაზის ძმები გიორგი (მომავალში განსწავლული იურისტი) და ვახტანგი (მომავალში თბილისის სა-

ტყეო მეურნეობის სტრუქტურის წამყვანი მეტყევე-ინჟინერი (დენდროლოგი).

საწყისი საშუალო განათლების სტადიის გავლის შემდეგ იყო რამდენიმეწლიანი შრომითი ეტაპი, რასაც მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლა და მეტყევე-ინჟინრის პროფესიის დაუფლება.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ძმები ერთდროულად სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და ცხოვრობდნენ დაქირავებულ ბინაში თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე, რუსთაველის გამზირის მხრიდან მარცხენა მხარეს მე-5 თუ მე-6 სახლში.

1950-იან წლებში ხსენებული ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე განლაგებული იყო ქსოვილებისა და ტანსაცმლის მაღაზია.

ისიც ცნობილია, რომ ნიკოლოზი თვეში ერთხელ მაინც ესტუმრებოდა ხოლმე შვილებს სოფლის სანოვაგით დატვირთული ურმით. დღესასწაულის ტოლფასი იყო ის დღეები სტუდენტებისათვის.

წარმატებით სწავლობდნენ ძმები და წარმატებითაც დაამთავრეს უმაღლესი განათლების მიღების პროცესი. იწყებოდა შრომითი ბიოგრავია.

მარიამ ჯავრიშვილი

რევაზ ჭანკოტაძე სამუშაოდ განაწესეს შიდა ქართლში (ქ. გორის სატყეო მეურნეობაში).

ნიჭიერმა და განსწავლულმა ახალგაზრდამ სულ მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება თავისი ენერგიულობით, ცოდნით, პრინციპულობით, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და რაც არანაკლებ საყურადღებოა – საუბრის კახური კილოთი.

გორში მუშაობის დროს გულში ჩაუვარდა ულამაზესი გოგონა მარიამ ჯავრიშვილი და შეუდგა საკუთარი კერის მშენებლობას. სამწუხაროდ, გასული საუკუნის

ოციანი წლების ბოლოს, რომ იტყვიან – „შავმა კატამ“ გაირბინა ცოლ-ქმარს შორის და ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. ვაჟიშვილი ნიკო იზრდებოდა დედასთან, ქალბატონ მარიამთან ქ. თბილისში.

გორიდან რევაზ ჭანკოტაძე გადაიყვანეს სამუშაოდ ქ. თელავის სატყეო მეურნეობაში წამყვან სპეციალისტად.

1932 წელს რევაზ ჭანკოტაძის გული მოიგო მისმა ერთ-ერთმა ტექნიკურმა თანამშრომელმა, უმშვენიერესმა ქალიშვილმა თამარ გოცირიძემ, რომელიც 27-ე (ნაბოლარა) შვილი იყო თავისი მშობლების (დავით გოცირიძე, მარიამ დათიაშვილი). შეიქმნა ახალი ოჯახი. რევაზ ჭანკოტაძეს ახალი ძალები შეჰმატა საყვარელმა მეუღლემ, თითქოს ახლიდან დაიბადაო. მოუმატა შრომას და ოჯახზე ზრუნვას. ბატონმა რევაზმა და ქალბატონმა თამარმა აღზარდეს ორი შვილი ვახტანგი (თქვენი მონა-მორჩილი) და დარეჯანი (ლიტერატორი, პედაგოგი, თელავის ცნობილი პირველი სკოლის დირექტორი წლების განმავლობაში, მრავალი ლექსისა და ლიტერატურული ჩანახატის და რამდენიმე დრამატურგიული ქმნილების ავტორი. საპატიო მოქალაქე. ამჟამად პენსიონერი).

რამდენიმე წლით ბატონი რევაზი გადაიყვანეს სამუშაოდ ქ. გურჯაანში (სატყეო მეურნეობის დირექტორად). ამ ქალაქში დაიწყო სწავლა ვაჟიშვილმა ვახტანგმა.

თამარ გოცირიძე

სამწუხაროდ, გურჯაანში ტუბერკულოზით დაავადდა ქალბატონი თამარი. მაშინ ჯერ არ არსებობდა ეფექტური სამკურნალო პრეპარატები (პენიცილინი, სტრეპტომიცინი და ა.შ.) და მიუხედავად დიდი მცდელობისა და გაათმაგებული მზრუნველობისა მეუღლისა და ახლობელ-ნათესავების მხრიდან, ქალბატონი თამარი გარდაიცვალა 29 წლის ასაკში. დაკრძალულია გურჯაანში. ობლად დარჩნენ შვილები – ვახტანგი 7 წლის, დარეჯანი 2 წლის.

ცხოვრებამ შემდეგი ბარიერი აღმართა რევაზ ჭანკოტაძის წინ.

მოემზადა შემდგომი სიძნელეების გადასალახად. ადვილი არ იყო ორი შვილის აღზრდა უდედოდ და თანაც იმ პირობებში, როცა პროფესიიდან გამომდინარე, ოჯახის უფროსს ტყე-ღრეში უწევდა ყოფნა ხანგრძლივი დროის მონაკვეთებით. ორიოდე წლის შემდეგ, ბატონი რევაზი გადაიყვანეს სამუშაოდ ისევ თელავში, ამჯერად სატყეო მეურნეობის დირექტორად.

მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ბატონი რევაზი არ წაიყვანეს ფრონტზე ბავშვობიდანვე დაზიანებული ფეხის ტერფის (ყურძნით სავსე ურემმა გადაუარა ფეხზე და ტერფი დაუმახინჯა. სტანდარტული ფეხსაცმელი არ ერგებოდა) გამო. სამაგიეროდ, კვირაობით იყო ტყეში და ხელმძღვანელობდა შეშის დამზადებას, რაც ფრიად აუცილებელი იყო ფრონტისთვის (ორთქმავალები მუშაობდნენ მხოლოდ ნახშირით და შეშით).

გაიარა ომის ოთხმა დაძაბულმა და სისხლიანმა წელმა. რევაზის შვილები, მეზობელ-მეგობრებისა თუ ნათესავების წყალობით გადაურჩნენ ტოტალურ შიმშილს და სახიფათო დაავადებებს. უფრო მეტიც – წარმატებით სწავლობდნენ.

დღეს ერთხელ კიდევ ვუხდი უღრემეს მადლობას რევაზ ჭანკოტაძის საძმოს წარმომადგენლებს, რომლებიც უმძიმეს წლებში მხარში უდგნენ მას და უადვილებდნენ ბავშვების აღზრდას და ზოგადად ცხოვრებას. აი ისინიც: ალექსანდრე (სანდრო) და გიორგი ჩხუბიანიშვილები, დავით ბოგველაძე, საშა ეგანოვი, სერგო შიოშვილი, ირაკლი ესიტაშვილი, ვახტანგ როსტომაშვილი, მიშა ქიტიაშვილი („ლოპოტის დათვი“), ვანო კოზმოვი, ირაკლი ბუსურაშვილი, ვანო ჩიხაშვილი, ალექსი ყარალაშვილი, შალვა ციციშვილი და ბევრი სხვა.

დადგა ფაშიზმზე გამარჯვების დღეც და რევაზ ნიკოლოზის ძემ გადაწყვიტა (მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით), რომ კიდევ ერთხელ შეექმნა ოჯახი.

ახლობელმა ადამიანებმა და კოლეგებმა შედარებით მცირე მასშტაბის ლხინით აღნიშნეს რევაზის ახალი ქორწინება, თუმცა ყურადღება ძირითადად ეთმობოდა იმ გარემოებას, რომ ბავშვებს გამოუჩნდათ პატრონი.

ქალბატონი სიდონია ბოჭორიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ყველა საოჯახო პრობლემას, ყურადღება არ მოუკლია არც თამარის შვილებისთვის და არც უკვე მთელ კახეთში ცნობილი პიროვნებისათვის, როგორადაც იმ

სიდონია (სარა) ბოჭორიძე

დროისთვის ჩამოყალიბდა რევაზ ჭანკოტაძე. ოჯახს შეემატა ვაჟიშვილი გივი (სავაჭრო სტრუქტურის გამოცდილი მუშაკი. ამჟამად პენსიონერი).

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, რევაზ ჭანკოტაძე გადაიყვანეს დირექტორად ახმეტის სატყეო მეურნეობაში.

წარმატებული მოღვაწეობისათვის რევაზ ჭანკოტაძეს მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო თუ მადლობა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქ. თელავში ცნობილი „ნადიკვარის“ (დასასვენებელი პარკი) ახლომდებარე ე.წ. გიგოს გორის გამწვანება წიწვოვანი ჯიშის ხეებით. ასევე ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ თელავიდან ყვარლისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს კაკლის ხეების დარგვა-გახარებას (უმრავლესობა დღესაც იძლევა ნაყოფს) და მრავალი სხვა.

რევაზ ჭანკოტაძე გამოირჩეოდა რაინდული თვისებებით. ბევრს კითხულობდა. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია. იყო პრინციპული, მომთხოვნი, ობიექტური. ძალიან უყვარდა მეგობრების ვიწრო წრეში კახურ სუფრასთან დროსტარება. ასეულობით ანდაზა და აფორიზმი იცოდა ზეპირად, რასაც მჭევრმეტყველურად იყენებდა სადღეგრძელოში.

რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძე დაიღუპა ტრაგიკულად, ავტოავარიის შემთხვევისას (1953 წ.).

დაკრძალულია თელავის ძველ სასაფლაოზე მეუღლესთან (სიდონია) ერთად.

ნათელში იყოს მათი სულები.

ღირსეული შვილეული

გიორგი სუხიშვილი

რევაზ ბზიშვილი

რევაზ ჯავახიშვილი

კოწო ნადირაძე

ნუგზარ ონიაშვილი

რამზეს მაზმიშვილი

ალექსი გოხელაშვილი

თქვენ საზრუნავი იტვირთეთ
ერთი,
ქვეყნის შენება, კეთება
საქმის,
კეთილ ზრახვებში გმართავდათ
ღმერთი
და სადაველს გაძლევდათ
მართვის.

და შეგიუვარეს „შვიდკაცა“
ღმერთის,
უსაზღვრო გქონდათ ხალხისგან
ნდობა,
შორით ხმა ისმის, ჩვენს გულებს
ერთვის,
თქვენი განცდები და თქვენი
ბჟობა.

დაგვიდგა ჟამი, ხმალს ვეღარ
ვიქნევთ,
მთავარი ნატვრა აწუხებს
ჩვენს გულს —
თქვენისთანებმა იმრავლონ
იქნებ,
თქვენისთანები სჭირდება
მამულს.

წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი მხარში დგომისათვის, ზოგადად, ქველმოქმედების ნიშნით უხვად გამორჩეულ ადამიანს, ლექსს უძღვნის პოეტი აკაკი ბიძინაშვილი.

თვალით მიხილავს

აკადემიკოს ვალერი სუხიშვილს

ზოგი კაცია ნული,
გინდა იცოცხლოს ას წელს.
დავლურს სხვის კართან უვლის,
კენჭს არავისთვის ასწევს.
სხვისი გაძრცვით როკავს,
მადლის გაცემა არ სურს,
ხელს არ გაუწვდის მოუვასს,
არ გაიხსენებს წარსულს.
მე თვით ვარ იმის მოწმე,
სხვის ბედით როგორ ღელავ,
ძალზე გადარდებს მოძმე,
თავზე ევლები ეველას.
წესს მოუვები ქართულს
(თვალით მიხილავს რაც მე).
ტანიდან იხდი „კოსტიუმს“
და შეჭირვებულს აცმევ.

სუხიშვილი გიორგი (ჟორა)

**„...როცა სიყვარულს ვადიადებ, არ ჩამითვალო,
მარტო მიჯნურთან ნებივრობა მარგუნა ბედმა...
მე შენი მიყვარს: კენჭიც, კვირტიც, ნამიც და მიწაც,
რადგან მეც შენი უჯრედი ვარ, მიწაო, დედავ...“**

1955 წ.

ამ სიტყვებით მიმართავს მშობლიურ მიწას სუხიშვილების ისტორიული გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გიორგი (ჟორა) სუხიშვილი, რომლის ლიტერატურულ ნაწარმოებთა (პატრიოტული ლექსები, პოემები, სხარტულები და სხვა) კრებულის გამოცემის პასუხისმგებლობა და პრაქტიკული აღსრულება (გიორგის გარდაცვალების შემდეგ) თავის თავზე აიღო გიორგის (ჟორას) ძმამ, ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა, აღიარებულმა სამეურნეო მუშაკმა და პატრიოტობით გამორჩეულმა ვალერი სუხიშვილმა.

2010 წელს მკითხველმა საჩუქრად მიიღო საინტერესო და კითხვადი წიგნი, რომლის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„...ჩემო ძმაო გიორგი, შენი 70 წლის იუბილის შემდეგ ვფიქრობდი შენთან ერთად შევხვდებოდი 80 წლის იუბილეს, მაგრამ განგებამ არ ინება... შენი ხელი აკლია მამა-პაპურ კარ-მიდამოს... მიიღე ჩემგან ეს მცირედი საჩუქარი...“

შენი საფიცარი ძმა – ვალერი
8 მაისი, 2010 წ.

გიორგი (ჟორა) სუხიშვილი დაიბადა 1930 წლის 7 მაისს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში – ზაქარია და ეკატერინე სუხიშვილების ოჯახში, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატიოსანი შრომით, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, სტუმართმოყვარეობით და გან-

საკუთრებული მზრუნველობით ყველა კეთილისა და სასიკეთოს მიმართ.

მეუღლესთან (მერი სალამაძე) ერთად.

გიორგიმ დაამთავრა მეჯ-ვრისხევის რვაწლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო კულაშის ზოოვეტ-ტექნიკუმში ვეტერინარულ სპეციალობაზე, ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ზოოვეტ-ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1955 წელს ვეტერინარი ექიმის სტატუსით. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში ვეტერინარ ექიმად და მრავალი წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას პირუტყვის მკურნალობის საქმეში. მან თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტმა და სოფელმა აირჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 12 წელი ედგა სათავეში მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას. ამ პერიოდში სოფელში აშენდა კულტურის სახლი, ადმინისტრაციული შენობა, საბავშვო ბაღი, ამბულატორია. გიორგის სახელთან დაკავშირებულია სოფლის წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზის შეყვანა სოფელში, გამწვანების ღონისძიებების ჩატარება და მდინარე მეჯუდის, რომელიც ადიდების დროს დიდ ზიანს აყენებდა სოფლის მოსახლეობას, ჩარჩოში (კალაპოტში) მოქცევა.

გიორგი სუხიშვილი გულისხმიერებით ეკიდებოდა მშრომელ ადამიანებს, ახალგაზრდობას და ვეტერანებს. მისი ინიციატივით სოფლის ცენტრში გაშენდა შინმოუსვლელთა პარკი დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, სადაც თითოეული მათგანის სახელზე დაირგო ცაცხვის ხე მათი სახელობითი წარწერით და ობელისკი. აქვე ააშენა და მოაწყო შინმოუსვლელთა

და ომის ვეტერანთა მუზეუმი, რომლის საზეიმო გახსნაში მონაწილეობა მიიღებინა მათ შთამომავალ ახალგაზრდებს.

გიორგი სუხიშვილი გულანთებული ქომაგი გახლდათ ახალგაზრდობისა და სპორტის. მის მიერ სოფელში მოეწყო სპორტული მოედანი (სტადიონი), საჭიდაო არენა და სხვა. მისი ყურადღების ქვეშ იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, გასართობი ღონისძიებები და საზეიმო რიტუალები. შესაბამის ყურადღებას იჩენდა პედაგოგებისა და კულტურის მუშაკების მიმართ. იყო მზრუნველი დედმამიშვილებისა და მეგობრების მიმართ.

გიორგი სუხიშვილი, როგორც უკვე გამობრძმედილი სამეურნეო მუშაკი და საქმის გაძღოლის ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული სპეციალისტი, სამუშაოდ გადაყავთ მეჯვრისხევის ახლადაშენებული მეფრინველეობის ფაბრიკაში მთავარ ვეტერინარ ექიმად. ბატონ გიორგის ამ ფაბრიკის მშენებლობის საქმეშიც დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი. ფაბრიკა თავისი მოცულობით ერთ-ერთი უდიდესი წარმოება იყო რესპუბლიკაში.

გიორგი (ჟორა) სუხიშვილი ცნობილი იყო ასევე დახვეწილი მჭერმეტყველებით და მშვენიერი სადღეგრძელოებით და თამადობით. წერდა პატრიოტულ ლექსებს და პოემებს, ხოლო მის მიერ შექმნილი ნაკვესები ზუსტად ესადაგებოდა ცხოვრებისეულ პერიპეტიებს. აღნიშნული შემოქმედებითი ნაწარმოებები გამოცემულია სამ წიგნად.



ყოველივე ამასთან ერთად, გიორგის ჰქონდა გამორჩეული სამაგალითო ქართული ოჯახი, რომელიც შექმნა შესანიშნავ პიროვნებასთან – მერი სალამაძესთან ერთად. მეუღლე – მერი სალამაძე იყო ინგლისური ენის წარჩინებული პედაგოგი, საუკეთესო, ღირსეული ადამიანი და გამორჩეული დიასახლისი, რომელმაც ხუთი შვილი შობა და აღზარდა – ციური, ცისანა, თამილა, მურაზი, გულნაზი. შვილებმაც შექმნეს კარგი ოჯახები,

გიორგის მშობლები – ეკატერინე აბალაკი და ზაქარია სუხიშვილი.

შთამომავლობას მისცეს ათი შვილიშვილი და ოცზე მეტი შვილთაშვილი.

გიორგი და მისი მეუღლე მერი სალამაძე დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდნენ სოფელში და მთელს გორის რაიონში, იყვნენ ოჯახის, ნათესავების, მეგობრების და სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულნი. ორივე ერთგულად ემსახურა თავის სამშობლოს და ვალმოხდილი წავიდნენ იმ ქვეყნის მარადიულ სასუფეველში, სადაც სუხიშვილების საგვარეულო სასაფლაოზე აგრძელებენ სულიერ ამაოებას.

სამწუხაროდ, გიორგის (ჟორას) სახით (გარდაიცვალა 2003 წ.) ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი ნიჭიერი და ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უანგაროდ შეალია მშ- ბლიური ხალხისა და მამულის კეთილდღეობისთვის შრომასა და ბრძოლას.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

მოკლე მოგონებას ვამთავრებთ პატარა ამონარიდით გიორგი (ჟორა) სუხიშვილის ლექსიდან:

„...მე მიზანსწრაფვა (ბავშვობიდანვე) იოლი გზებით არ მომიგვარდა, სიძნელის დრეკვა მარგუნა ბედმა და ამ ჭიდილში გამომიღამდა...“

შინმოუსვლელთა მემორიალთან (დგას მარცხნიდან მესამე).

ბზიშვილი რევაზი

ცის ტატნობზე ძლიერი ფრთების რხევითა და ფხიზელი მზერით არწივივით აკონტროლებდა „მის სამოქმედო არეალზე“ მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო სიტუაციებს და თავისი ნიჭისა და მრავალმხრივი გამოცდილების წყალობით სწრაფად ღებულობდა და პრაქტიკულად ახორციელებდა საოცრად ეფექტურ და მასშტაბურ ღონისძიებებს მშობლიური ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რევაზ ბზიშვილი გახლდათ თავისი დროის პოლიტ-სამეურნეო სფეროს ლიდერთა კოჰორტის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელმაც გორისა და გორის რაიონის ისტორიაში ჩაწერა ოქროს ფურცლები.

რევაზ ალექსანდრეს ძე ბზიშვილი დაიბადა 1923 წლის 21 დეკემბერს სოფელ ატენში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედასთან (ნინო მიხანაშვილი) ერთად ბავშვობიდანვე ეწეოდა შრომით საქმიანობას. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგოგად მუშაობის შემდეგ, როგორც აქტიური და წარმატებული პიროვნება გადაყვანილი იქნა კომკავშირის გორის რაიკომის პირველ მდივნად, რომლის შემდეგ გადაიყვანეს პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივნად. პარალელურად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომიის სპეციალობით. შემდეგ გაგზავნილი იქნა ქ. მოსკოვში უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელად, რომლის დამთავრების შემდეგ არჩეული იქნა ქ. გორის პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად.

1962 წელს შეიქმნა გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო მართვის პარტიული ორგანო, რომლის პირველ მდივნად არჩეულ იქნა რევაზ ბზიშვილი, 1965 წელს ამ ორგანოს რეორგანიზაციის შემდეგ ირჩევენ გორის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც თავი გამოიჩინა მაღალი ორგანიზატორული თვისებებით და ყველა სფეროში დიდი წარმატებებით.

რეზო ბზიშვილი გამორჩეული იყო მშრომელი ხალხის მიმართ დიდი მზრუნველობით და ყურადღებით, დაჯილდოებული იყო გამჭრიახობით და ორგანიზატორული თვისებებით. მის სახელს უკავშირდება გორის რაიონში სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურის კერების მშენებლობა და ამ დაწესებულებების მუშაობის ხელის შეწყობა. მისი ხელმძღვანელობით მთიანი სოფელი საყავრე იქცა მთის სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, სადაც აშენდა სკოლა-ინტერნატი, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, ქალაქის (გორის) ცენტრიდან საყავრემდე მოეწყო მოასფალტებული გზა; რევაზ ბზიშვილის მოღვაწეობის სახელთანაა დაკავშირებული მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკისა და საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობები. მის სახელს უკავშირდება საკოლმეურნეო სასათბურე კომპლექსის ამოქმედება, ტინისხიდის მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა, ევროპის ქვეყნებიდან ჯიშიანი პირუტყვის შემოყვანა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასამმაგება გორის რაიონში. რევაზ ბზიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ორმაგად გაიზარდა ხეხილისა და ვენახის ფართობები და მოსავლიანობა.

რეზო ბზიშვილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული გორის რაიონში გზების მშენებლობა, სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სოციალური პირობების გაუმჯობესება, სამედიცინო მომსახურების ამბულატორიების მოწყობა სოფლებში და სხვა.

მისი მოღვაწეობის პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა კადრების დაწინაურების საქმეს. სოფლებში სისტემატიურად ესწრებოდა მოსახლეობის ღონისძიებებს, აქტიურ ახალგაზრდებს არჩევდა და აწინაურებდა შესაფერის სამუშაოზე. დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის აქტიურობას სპორტში.

შეიქმნა რაიონში ფეხბურთის გუნდი „ქართლი“, რომლის სახელზეც ქალაქის გარეუბანში აშენდა „ქართლის“ სტადიონი. კოლმეურნეობებისა და ს/მეურნეობების ხელმძღვანელებს ევალებოდათ ყველა სოფელში მოეწყოთ სპორტული მოედნები.

ყოველივე ამის შედეგად გორის რაიონი საქართველოში და მთელ კავშირში იქცა ყველაზე წარმატებულ რეგიონად, რომელიც აღიარებული იქნა იმით, რომ სოფლის მეურნეობაში მაღალი მაჩვენებლებისა და ყველა სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, რევაზ ბზიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო გორის რაიონის მრავალი მშრომელი დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

1972 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეცვლის შედეგად, რევაზ ბზიშვილი გადაყვანილ იქნა მეხილეობის ტრესტის მმართველად.

ღვაწლმოსილი პოლიტიკურ-სამეურნეო მოღვაწე, ჭეშმარიტი მმართველის ნიჭით დაჯილდოებული და თავდადებული შრომასა და ხალხისადმი დიდი სიკეთით გამსჭვალული პიროვნება, რევაზ ალექსანდრეს ძე ბზიშვილი გარდაიცვალა 1996 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

რევაზმა და მისმა მშვენიერმა მეუღლემ თამარ თავართქილაძემ ქვეყანას აღუზარდეს სამი ქალიშვილი, რომლებიც თავიანთ ბრწყინვალე ოჯახებთან ერთად არასოდეს დაივიწყებენ ძვირფას წინაპარს.

ნათელში ყოფილიყოს რევაზ ბზიშვილის სული.

„...ტანას ნაპირზე აღარ თრთის სიო,
ქვებს შეეფარა კალმახთა ჯიში,
ბრძენი კაცისდარ ფესვმაგარ სიონს,
შემოაღამდა მამულზე ფიქრში...“

ნადირაძე კონსტანტინე (კოწო)

„...ბედი ტრაგიკულ ფორმებში ახვევს სწორედ დიდ ადამიანებს...“
(სტეფან ცვაიგი)

კონსტანტინე რევაზის ძე ნადირაძე დაიბადა 1938 წლის 20 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ფხვენისში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება შრომით საქმიანობაში კოლმეურნეობის რიგით წევრად, პარალელურად სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. შრომისმოყვარეობის წყალობით დაინიშნა ჯერ ბრიგადირად, შემდეგ კი მეურნეობის დირექტორის მოადგილედ და მთავარ აგრონომად. ამ თანამდებობებზე წარმატებული მუშაობის შედეგად გადაყვანილ იქნა გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ და რაიონის მთავარ აგრონომად. მისი თავგამოდებული მუშაობის და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით, იმ პერიოდში გორის რაიონში მკვეთრად გაიზარდა მოსავლიანობა და ეკონომიკა. თავისი მდიდარი გამოცდილებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და ს/მეურნეობებში სიახლეთა დანერგვისა და მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. იგი იყო უაღრესად მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და საქმის მაღალი დონის ორგანიზატორი. ჩვეული წარმატებული მუშაობის შედეგად კონსტანტინე ნადირაძე გადაყვანილი იქნა გორის წისქვილკომბინატის დირექტორად, სადაც ხდებოდა რესპუბლიკაში წარმოებული ათასობით ტონა მარცვლეული კულტურების გადამუშავება. აღნიშნულ კომბინატში იგი ნაყოფიერად მუშაობდა 15 წლის განმავლობაში. მისი მოღვაწეობა დაემთხვა XX ს. 90-იანი წლების კრიზისულ მოვლენებს, რომლის დროსაც შეიქმნა საკვები პროდუქტების დეფიციტი და რაც მთავარია, ხორბლის ფქვილის უკმარისობა. ამ პერიოდში კიდევ უფრო გამოჩნდა კონსტანტინეს ორგანიზატორული ნიჭი. იმ დროს ფქვილის მარაგის შევსების მიზნით

საზღვარგარეთიდან, უმეტესად ყაზახეთიდან შემოჰქონდათ ხორბალი. ამ პერიოდში იგი ეწეოდა ქველმოქმედებას. უმწეოდ მყოფ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს უანგაროდ ეხმარებოდა. იყო გულისხმიერი, ყურადღებიანი, კაცთმოყვარე პიროვნება. უზომოდ უყვარდა ადამიანებთან ურთიერთობა. გამორჩეული იყო თავისი საოცარი ერთგულებით ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

საქმეზე თავდადებულ ადამიანს ყოველთვის გვერდით ჰყავდა მისი მეუღლე ლუიზა ნადირაძე, რომელიც გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით და კარგი დიასახლისობით, რომელმაც სამი შვილი აჩუქა ქვეყანას და მის ოჯახს: რამაზი, ზაზა და დალი. მაგრამ, გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები ტრაგიკული აღმოჩნდა მათი ოჯახისათვის. 1991 წელს გარდაიცვალა უფროსი ვაჟი რამაზი, რომელსაც დარჩა ერთი ქალიშვილი ანა ნადირაძე-ტატიშვილისა. ამ ტრაგედიას დაემატა მეორე უბედური შემთხვევა, როცა 2 წლის შემდეგ, 1993 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა მეორე ვაჟი – ზაზა ნადირაძე, რომელსაც დარჩა ერთი ვაჟი (კოტე) კონსტანტინე) ნადირაძე.

ვეღარ გაუძლო მამის გულმა ოჯახის თავზე დატრიალებულ უმძიმეს ტრაგედიას და ყველასათვის საყვარელი და თვალსაჩინო სამეურნეო მოღვაწე ბედის სიმკაცრემ გაუყენა სამუდამო სასუფევლისაკენ მიმავალ გზას.

ვაჟკაცი პიროვნების სიცოცხლე შეწყდა 63 წლის ასაკში, მაგრამ გვწამს, მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩა მადლიერი ადამიანების გულებში.

კონსტანტინე (კოწო) ნადირაძე დაკრძალულია გორში.

მისი სახით ქართულმა ინტელიგენციამ დაკარგა პროფესიონალი, ერთგული, პრინციპული, შრომისმოყვარე პატრიოტი.

ნათელში იყოს მისი ხსოვნა.

„...თუმცა ღრუბელი შემოევლო შავი და ქუფრი,
არ შეუხრია, სიკვდილის წინ, ამაყი შუბლი...“
(რაბინდრანათ თაგორი. პერიფრაზი)

მაზმიშვილი რამზესი

**„...დაე, მიმატოვოს სხვამ ყველაფერმა,
ოღონდ ვაჟკაცობა დარჩეს ჩემთან...“
(იოჰან ფიხტე)**

რამზეს მაზმიშვილი დაიბადა 1944 წლის 24 იანვარს გორის რაიონის სოფელ შინდისში. მამამისი – ვახტანგ მაზმიშვილი, სპეციალობით ისტორიკოსი, წლების განმავლობაში მუშაობდა შინდისის საშუალო სკოლაში პედაგოგად, შემდეგ კი ამავე სკოლის დირექტორად, წლების განმავლობაში სათავეში ედგა შინდისის კოლმეურნეობას. დედა – ანა გივიაშვილი იყო ოჯახის საუკეთესო დიასახლისი. აღზარდა ოთხი შვილი, მათ შორის რამზესი.

რამზეს მაზმიშვილმა 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა შინდისის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სელექცია-მეთესლეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. რაიონის ხელმძღვანელობას კარგად ახსოვდა რამზესის აქტიურობა სკოლაში, სადაც გამოირჩეოდა როგორც ლიდერი პიონერულ და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთანავე იგი ინიშნება კომკავშირის გორის რაიკომის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი ამავე ორგანიზაციის მეორე მდივნად და პირველ მდივნად, საიდანაც, წარმატებული მუშაობის შემდეგ, გადაყვანილი იქნა პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივნად. რამზეს მაზმიშვილი ორი წლის განმავლობაში სწავლობდა მოსკოვის პარტიულ უმა-

ღლეს სკოლაში; დამთავრებული აქვს ბაქოს უმაღლესი კომკავშირული სკოლა. როგორც ყოველთვის, ამ სასწავლებლებშიც რამზესი გამოირჩეოდა წარმატებული სწავლით და ყოველგვარ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით.

რამზეს მაზმიშვილი 1983 წლიდან 9 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გორის რაიონის ხვითის მეთესლეობის მეურნეობას, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა. აღნიშნული მეურნეობა იყო ე.წ. საკავშირო დაქვემდებარების და ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ითვლებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მეურნეობას უხვად ჰქონდა მიღებული მაღალი ჯილდოები და საუკეთესო შეფასებები.

რამზეს მაზმიშვილი ბოლო წლებში მუშაობდა ქართლის რეგიონის გუბერნატორის მრჩევლად. მაღალი კვალიფიკაციისა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ყველგან, სადაც კი იგი მოღვაწეობდა, გამოირჩეოდა წარმატებული შედეგებით, კოლეგებთან და მეგობრებთან სამაგალითო ურთიერთობით და ერთგულებით.

სამწუხაროდ, 2002 წელს მძიმე უკურნებელი სენით დაავადდა და სამუდამო სასუფევლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.

რამზესმა, თავისი ოჯახის, ახლობელ-ნათესავებისა და საზოგადოების მეხსიერებაში დატოვა მისდამი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა.

რამზეს მაზმიშვილმა შექმნა სიყვარულითა და სიკეთით ცნობილი, სტუმართმოყვარე ოჯახი ყველასათვის საყვარელ და პატივსაცემ ქალბატონ ლია კახნიაშვილთან ერთად, რომელიც ყველგან და ყოველთვის აქტიურად ედგა მხარში მის პარტიულ-სამეურნეო, თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ქალბატონი ლია ყოველთვის გამოირჩეოდა ოჯახისა და ქვეყნის ერთგულებით. ამის მკაფიო დასტურია საუკეთესო შვილების აღზრდა, თამარისა და გიორგი მაზმიშვილების სახით, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ თავისი ქვეყნის სამსახურში. თამარი, როგორც კარგი პედაგოგი, მომავალი თაობის აღმზრდელი და გიორგი, როგორც წარმატებული იურისტი. რამზესის შვილიშვილების სახით ანა ნადირაძე-ტატიშვილი, მარიამ მაზმიშვილი და რამზეს მაზმიშვილი იზრდებიან ოჯახის და ქვეყნის ტრადიციების გასაგრძელებლად.

ქალბატონმა ლიამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს არ მიატოვა სოფელი შინდისი, სადაც ფრონტის ხაზი გადიოდა და სიცოცხლის რისკის ფასად პატრონობდა დაჭრილებს. თავის ბინაში მასპინძლობა გაუწია გენერალ დევი ჭანკოტაძეს და მის მეომრებს. სწორედ იმ მძიმე პირობებშიც კი არ მიატოვა კერია, რომელშიც წლების განმავლობაში სიყვარულით ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად.

შვილების, შვილიშვილების, მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში რამზეს მაზმიშვილი დარჩა შრომისმოყვარე, პატიოსან, ერთგულ და ერუდირებულ პიროვნებად.

„...აჰ, რა ანაზდად, რა ჩქარა ქრება
ბედნიერება, ლხენა და შვება!..“
(ვილჰელმ ჰაუფი)

ჯავახიშვილი რევაზი

რევაზ ჯავახიშვილი დაიბადა 1935 წლის 10 დეკემბერს ქ. გორში. მამა – დიმიტრი ჯავახიშვილი იყო სამხედრო მოსამსახურე. დაამთავრა კიევის სამხედრო აკადემია. იქვე იქორწინა მარიამ ოლეინიკზე, რის შემდეგაც დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქ გორს. მათ შეეძინათ ქალიშვილი – სვეტლანა და ვაჟიშვილი – რევაზი. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ბატონ დიმიტრის მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო. ომის დროს მარიამმა შეიკედლა ორი ლტოლვილი ოჯახი და მათ თავის მცირე ლუკმას უნაწილებდა.

ომის დამთავრების შემდეგ დიმიტრი დაინიშნა თიანეთის სამხედრო კომისრად და ოჯახით დროებით იქ დასახლდა. რევაზმა იქვე წარჩინებით დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა და ოჯახის გორში დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის პუშკინის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე ფრიადზე დაამთავრა

უძვირფასესთა გარემოცვაში

და მუშაობა დაიწყო გორის რაიონის სოფ. ქვახვრელის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლად. როგორც წარმატებული პედაგოგი, გადაიყვანეს ძევერის საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ კომკავშირის გორის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგედ, შემდეგ კი მეორე მდივნად. 1964 წლიდან გადაყავთ გორის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ კი ამავე აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც დიდი წარმატებით მოღვაწეობდა 1990 წლამდე.

მის სახელს უკავშირდება გორის რაიონში სკოლებისა და საბავშვო ბაღების, სპორტული ნაგებობების, კულტურის სახლების მშენებლობები. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი გორიჯვრის მონასტრის აღდგენა-რესტავრაციისა; რევაზ ჯავახიშვილის მოღვაწეობა უკავშირდება გორის რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავლიანობას, რაიონში სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობას, რაც აღინიშნა საკავშირო მთავრობის ჯილდოებით და გამარჯვების გარდამავალი დროშებით.

რევაზ ჯავახიშვილმა იქორწინა მანანა შალვას ასულ ქევხიშვილზე, რომელიც ინგლისური ენის საუკეთესო სპეციალისტი და პედაგოგია. ჰყავთ სამი ქალიშვილი – ნათია, თამარი და მარიამი, რომლებსაც აქვთ საუკეთესო ოჯახები და ემსახურებიან თავიანთ ქვეყანას.

რევაზ ჯავახიშვილი გამორჩეული იყო თავისი პატიოსნებით, ერთგულებით, საქმის სიყვარულით, ოჯახისა და მეგობრების

მიმართ მზრუნველობით. თიანეთში ცხოვრების პერიოდში კარგად დაეუფლა ცხენით ჯირითობას, ამასთან ერთად იყო ზღვაში კარგი მოცურავე.

მეგობრები იხსენებენ ასეთ ამბავს – გაგრაში ყოფნის დროს, როდესაც ზღვაში ორი გოგონა იხრჩობოდა და ითხოვდნენ შველას, ვერავინ ბედავდა ზღვაში შესვლას. რეზო კი დაუფიქრებლად გადაეშვა ზღვაში, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად ჯერ ერთი გამოიყვანა, მერე კი მეორე, რომლებიც ექიმის ჩარევით ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს. აი, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ნებისმიერი ადამიანის მიმართ, რაც გამომდინარეობდა მისი უანგარო ბუნებრივი ხასიათიდან.

2012 წელს რეზო ჯავახიშვილი წავიდა ამქვეყნიდან სამუდამო სასუფეველში, მაგრამ აქ დარჩა მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები, გაწეული შრომის და მოღვაწეობის საუკეთესო ნიმუშები.

დაკრძალულია გორში.

მის ახლობლებს, მეგობრებს და კოლეგებს ყოველთვის ემახსოვრებათ მასთან შესანიშნავი ურთიერთობების ეპიზოდები.

რევაზი მეგობრულ წრეში შვილიშვილებით კალთაში.

ონიაშვილი ნუგზარი



„...სთესეთ სიკეთე სულიერი, თუ მატერიალური და ეს აკეთეთ იმიტომ კი არა, რომ სხვა გყავდეთ კმაყოფილი...

აკეთეთ პირველ რიგში თქვენივე სიამაყისა და სინდისისათვის; იყავით მიმტევებლები, გიხაროდეთ და აღიარებდეთ ადამიანური მოპყრობის თითოეულ გამოვლინებას.

სიკეთის სანაცვლოდ ნუ დაელოდებით სიკეთითვე გადახდას. ჩათვალეთ, რომ იგი თქვენი უწმინდესი მოვალეობაა, რასაც სათანადოდ დაგიფასებთ უზენაესი...“

ამონარიდი ამოღებულია გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს განსაკუთრებულად წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა წრის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელის, ბატონ ნუგზარ ონიაშვილის წიგნიდან „ჩემი ცხოვრების გზა“. ეს სიტყვები გახლდათ მისი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისი დევიზი და კრედო.

ბატონი ნუგზარ ონიაშვილი გახლდათ საოცრად ერუდირებული, ორგანიზატორული, დაუღალავი და კრეატიული აზროვნებით შემკული პიროვნება, რომ აღარაფერი ვთქვათ მის კომუნიკაბელურობაზე, პასუხისმგებლობის მაღალ დონეზე და პრინციპულობაზე.

და მაინც, საიდან მოევლინა ასეთი ნუგზარი ჩვენს საზოგადოებას?! საიდან და შიდა ქართლის ულამაზესი ატენის ხეობიდან. იგი დაიბადა 1937 წელს ატენის ძირძველ, ე.წ. დიდი ატენის სახელით ცნობილ უბანში ლადო ონიაშვილისა (1905-1946) და სონია მარღიშვილის (1917-1969) ოჯახში.

მძიმე ბავშვობა ჰქონდა ნუგზარს. ის და მისი ძმა ჯემალი ძალიან ადრე დაობლდნენ მამით. ბატონი ლადო ომიდან დაბრუნდა თითქმის უვნებელი (1946 წ.) და სამოქალაქო ცხოვრების უკუღმართობით შექმნილ ტრაგიკულ სიტუაციაში დაიღუპა იმავე წელს.

მეუღლის გარეშე დარჩენილი ქალბატონი სონია და 9 და 7 წლის უმამოდ დარჩენილი ბავშვები აღმოჩნდნენ საშინელი სიძნელეების

წინაშე. არავითარი საარსებო წყარო. გადარჩენა დამოკიდებული იყო მათ მონდომებასა და შრომაზე. და ისინი იღწვოდნენ ოფლისღვრით... და მათ ხშირად სციოდათ და შიოდათ... და მათ სტანჯავდათ კომუნალური დისკომფორტი და ა.შ.



აი, ასეთ პირობებში გამოიჭედა მომავალი ფრიად წარმატებული მოღვაწის, ბატონ ნუგზარ ონიაშვილის ხასიათი და მსოფლმხედველობა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მეტალურგიულ ფაკულტეტზე, მაგრამ როცა დედამისმა გაიგო, რომ სამუშაოდ უნდა გაეგზავნათ კრივოიროგის ქარხანაში, გადაათქმევინა სწავლის გაგრძელება მე-4 დამამთავრებელი კურსიდან, ისე, რომ ნუგზარს დიპლომიც კი არ აუღია.

საოცარი სიბეჯითით გამორჩეულმა ნუგზარმა თავისი გაიტანა – სად აღარ ისწავლა, სად აღარ იმუშავა და სულ მოკლე ხანში კოლმეურნეობის თავმჯდომარეც გახდა. იყო ბუღალტერიც, იყო კულტურის ძეგლების რესტავრატორიც, მუშაობდა საამშენებლო ობიექტებზე, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ა.შ.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის სამუშაო ადგილი და თანამდებობა, რაც ბატონ ნუგზარს დაამადლა ცხოვრებამ: გაერთიანებული (გორი, ხაშური, ქარელი, კასპი) პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი; საორგანიზაციო განყოფილების გამგე; გორის რაიონული კომიტეტის მე-3 მდივანი; აგრონომ-ეკონომისტი; გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; ნაჭარმაგევის სასათბურე კომბინატი; პარტიული სკოლა (მოსკოვი); ვარიანის, შავშვებისა და კარალეთის საბჭოთა მეურნეობების დირექტორი (სხვადასხვა წლებში); ტინისხიდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე მეურნეობის დირექტორი; „რაიაბრეშუმის“ დირექტორი და სხვა.

როგორც ვხედავთ, ბატონი ნუგზარი გახლდათ უნიკალურ-უნივერსალური შესაძლებლობების მფლობელი, რასაც მთელი თავისი

სიცოცხლის განმავლობაში უშურველად ახმარდა ოჯახს, ახლობლობას, ქვეყანას, რაზეც მეტყველებს მის მიერ ინიცირებულ-განხორციელებული გრანდიოზული პროექტები, რომელთა ჩამოთვლა ამ წიგნის ფორმატში შეუძლებელია. მოკლედ ვიტყვით – ნუგზარი გახლდათ დახვეწილი ცხოვრების საძირკვლისა და ზედნაშენის ჩაყრისა და აშენების სწორუპოვარი დიდოსტატი.

ბატონ ნუგზარს ჰყავდა ნაცნობ-მეგობრების ძალიან ფართო წრე. მათ შორის იყვნენ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებიც, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში (მაგალითად, გენერალ-პოლკოვნიკი ხალიპოვი, ი. სტალინის შთამომავლები), ლატვიელი მინისტრები, პოკრიშკინი, ვ. მჟავანაძე და ბევრი სხვა.

მას ძალიან დიდ პატივს სცემდნენ, რაც ნუგზარის კომუნიკაბელურობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ბატონმა ნუგზარმა მეუღლესთან (თანაკურსელთან) როზა კაკაშვილთან (ბიოლოგიის პედაგოგი) ერთად ქვეყანას აღუზარდა სამი შვილი (ნინო, თამარი და ზურაბი), რომლებიც დღეს წარმატებით განაგრძობენ მოღვაწეობას (ოჯახებთან ერთად) საზოგადოების სხვადასხვა სფეროში.

სამწუხაროდ, ნუგზარის მეუღლე გარდაიცვალა ნაადრევად (1984 წ.) და ოჯახის დიასახლისობა 1990 წლიდან ბატონმა ნუგზარმა წილად არგუნა მშვენიერ ქალბატონს ნანა კალანდაძეს, რომელმაც სითბო და ყურადღება არ მოაკლო ბავშვებს და საყვარელ მეუღლეს.

ნუგზარ ონიაშვილს ჰყავს რვა შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ღმერთმა კარგად ამყოფოთ და წარმატებით გაეგრძელებინოთ ძვირფასი წინაპრის პატრიოტიზმით დამშვენებული მოღვაწეობა.

ნუგზარ ონიაშვილი (სანიმუშო და მისაბაძი: სახელმწიფო მოღვაწე, მეუღლე, მამა, პაპა, დიდი პაპა, მეგობარი, მეზობელი, კოლეგა...) გარდაიცვალა 2018 წ. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ატენში.

წერილს ვამთავრებთ ბატონი ნუგზარის სიტყვებით:

„...მიუხედავად ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ერთეული ტრაგიკული მოვლენებისა, მაინც ბედნიერი კაცი წავალ ამქვეყნიდან და იქაც ვილოცებ ჩემი საყვარელი შვილების, შვილიშვილებისა და მათი შთამომავლებისათვის; ვილოცებ ჩემი ქვეყნის ბედნიერებისათვის, რომელი თხოვნაც რამდენიმე წლის წინ იერუსალიმში მყოფმა სიტყვა-სიტყვით (წერილობით) ჩავდე გოდების კედელში...“

ნათელში ყოფილიყოს ბრწყინვალე მოამაგის სული.

გოხელაშვილი ალექსი

**„...კაცის ღირსება იმას ესმის
და მას აღელვებს,
ვისაც ცხოვრების ჭირ-ვარამი
უზიდავს თავად...“
(იოჰან გოეთე)**

რომ უზიდავს ჭირ-ვარამი და რომ უზიდავს ბევრი, ეს ალექსი გოხელაშვილის სიძნელეებითა და უკუღმართობებით დახუნძლული 87-წლიანი ცხოვრების იმ სულ მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიდანაც ჩანს, რის შესახებაც ქვემოთ გვსურს მოგახსენოთ.

ამაყად და მრავალისმეტყველი მზერით გადმოჰყურებს დამთვალიერებლებს გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის კედლებზე განთავსებული სტენდებიდან სასტიკ ბრძოლებგამოვლილი და ხანგრძლივ და ნაყოფიერი შრომით სახელგანთქმული ალექსი გოხელაშვილი. ყურადღებით დააკვირდით ფოტოსურათს და დარწმუნებით ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რასაც დაგიდასტურებთ მისი თვალთახედვა და ორდენ-მედლებით მოფენილი მკერდი.

ალექსი სოლომონის ძე გოხელაშვილი დაიბადა 1906 წელს გორის რაიონის სოფელ შერთულში. იგი ბავშვობიდანვე ეწეოდა შრომით საქმიანობას მშობლიურ სოფელში. სოფელ შერთულში მცხოვრებ ვარვარა დადიანიძესთან ერთად შექმნა ოჯახი, რომელიც გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, ახლობლებისა და მთელი მოსახლეობის მიმართ დიდი სიყვარულით. მათ შეეძინათ და აღზარდეს ოთხი შვილი – მაყვალა, მერაბი, რუსუდანი და მირიანი, რომლებიც შემდგომ გამოირჩეოდნენ სახელოვანი მიღწევებით და საზოგადოებაში წარმატებული ურთიერთობებით.

ალექსი გამორჩეული იყო სოფელში გამჭრიახი აზროვნებით და სწორი გადაწყვეტილებებით. სოფელში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, რისთვისაც იგი ყოველთვის იყო სოფლის თავკაცი.

მისი მეუღლე ვარვარა დადიანიძე კი იყო ყველას გამკითხავი და ქველმოქმედი, რისთვისაც მას ყველა მამიდას ეძახდა. შვილებიც ასეთივე კეთილშობილებით აღზარდეს და მათაც სახელოვნად გააგრძელეს ოჯახისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტრადიციები.

ალექსი გოხელაშვილი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაწვეულ იქნა ფრონტზე. ბრძოლებით განვლო გზა კავკასიის დაცვის ბრძოლებიდან ბერლინის აღებამდე. იგი კავკასიის ბრძოლების შემდეგ მონაწილეობს სტალინგრადის, კურსკის, კიევის განთავისუფლების ოპერაციებში, შემდეგ, ბრძოლებით განვლო გზა ჩეხოსლოვაკიიდან ბერლინამდე. ეს მოკლე ჩამონათვალი მისი საომარი ბრძოლების შესახებ თითქოს მოსაყოლად ადვილია, მაგრამ ამ პერიოდში ალექსიმ ბევრჯერ ჩახედა თვალებში სიკვდილს, რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც, მაგრამ უშიშარმა და მებრძოლმა კაცმა თავისი თვალით ნახა ბერლინში, რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშის ატანის პროცესი, რამაც დიდი სიხარული მოჰგვარა და აღავსო სიამაყის შეგრძნებით.

განვლილი ბრძოლების პერიდში, ომში მიღწეული მრავალი მამაცობის გამოჩენისათვის ალექსი გოხელაშვილი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. იგი ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, სადაც თანასოფლელებმა თავკაცობა ანდეს და მუშაობდა ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდეგ კი სოფლის საბჭოს (საკრებულოს) თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მისი მოღვაწეობა აღინიშნა მრავალი მნიშვნელოვანი წარმატებით, როგორც სამეურნეო, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში.

ბატონი ალექსი გამოირჩეოდა საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით; სარგებლობდა დიდი პატივისცემით. იგი უყვარდათ, მისი სჯეროდათ და მიჰყვებოდნენ მხარდამხარ, როგორც ბრძოლაში ისე შრომაში. ერთსაც დავამატებთ – იგი იყო სროწუპოვარი და უცვლელი თამადა, როგორც სანათესაო, ისე სტუმრების საპატივსაცემოდ გაშლილ სუფრაზე.

ბატონი ალექსი გოხელაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ ღონისძიებაში: ომის ვეტერანთა შეხვედრებზე, ყრილობებსა თუ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე. მისი სურათი თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული ომის ვეტერანთა მუზეუმში, როგორც მეორე მსოფლიო ომში გამორჩეული და თავდადებული მებრძოლისა.

ალექსი გოხელაშვილს იცნობდნენ როგორც კარგ მეურნეს. მის პირად საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი სანიმუშოდ ჰქონდა მოვლილი, საუკეთესო ხეხილის ბაღით და ვენახით. მისი ეზოს ვაზის ხეივანი საქვეყნოდ იყო ცნობილი. გორული ჯიშის ერთ ძირს მთელი ეზო ჰქონდა დაკავებული, საიდანაც ყოველ წელიწადს ერთ ტონამდე ყურძენს კრეფდა. ამ ვაზის ძირის გარშემოწერილობა ერთ მეტრს აღწევდა და საოცარ სანახაობას წარმოადგენდა. ამ ფაქტის შესახებ საგაზეთო სტატიაც იუწყებოდა – „ერთი ვაზიც ვენახია“, რომელზედაც მრავალმა მეცნიერ-მუშაკმა ჩაატარა კვლევა-ძიების სამუშაოები.

ალექსი მეუღლესთან (ვარვარა) ერთად.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ალექსი გოხელაშვილი ხშირად ყვებოდა ხელჩართული ბრძოლის ეპიზოდებზე. გამარჯვების რწმენაზე. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო გამარჯვების დღე – 9 მაისი და თავისი დაბადების დღის ნაცვლად ყოველთვის აღნიშნავდა 9 მაისის დღესასწაულს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვარვარა დადიანიძესთან ერთად ბატონმა ალექსიმ შექმნა საკუთარი ოჯახი, რომელშიც აღიზარდა ოთხი, ერთიმეორეზე უკეთესი შვილი.

ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულმა მეუღლეებმა, სულ მოკლე დროში, რომ იტყვიან – მოხატეს და ამოქარგეს მართლაც რომ სანაქებო და სანიმუშო ოჯახი, გამორჩეული: შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილით, სტუმართმოყვარეობით და რაც ყველაზე მთავარია, განათლებულობისკენ სწრაფვით. გადიოდა წლები, ძლიერდებოდა ოჯახი, იზრდებოდნენ შვილები. გასათხოვარ გოგოებს თავს დასტრიალებდნენ საქორწილო ვაჟები არამარტო სოფ. შერთულიდან, არამედ მეზობელი სოფლებიდან და ქ. გორიდანაც. არც ოჯახის ვაჟიშვილები ისხდნენ უქმად და გაფაციცებული მზერით არჩევდნენ სამომავლოდ ცხოვ-

რების მუდმივ თანამგზავრს.

ამ უხილავი „ბრძოლის“ პერიპეტიებში ერთ-ერთი გამარჯვებული გახლავთ დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი, მეცნიერი, აკადემიკოსი ვალერი სუხიშვილი, რომელმაც მოინადირა ალექსისა და ვარვარას ქალიშვილის, რუსუდანის გული და მოიპოვა სახელგანთქმული გოხელაშვილების ოჯახის „ოქროს სიძის“ სტატუსი და დღესაც წარმატებით უძღვება როგორც ოჯახურ საქმიანობას, ისე მეცნიერულ მოღვაწეობას და ახალაგზრდა თაობების სწავლებისა და აღზრდის უკეთილშობილეს და ისტორიულ საქმეს. ვალერის მხარდამხარ იღწვის ბატონი ალექსის ქალიშვილი, აწ უკვე გამობრძმედილი მოღვაწე ქალბატონი რუსუდანი.

ღმერთმა დიდხანს ამყოფოს ისინი და წარმატება იყოს მათი თანამგზავრი, რამეთუ ისინი გახლავან ერთ-ერთი იმათაგანნი, რომლებიც სათუთად ინახავენ ქალბატონი ვარვარას და ბატონი ალექსის ხსოვნას.

ღვაწლმოსილი, მოსიყვარულე და სანიმუშო ოჯახის მეპატრონენი განისვენებენ მშობლიური სოფ. შერთულის სასაფლაოზე.

ბატონმა ალექსიმ და ქალბატონმა ვარვარამ 1993 წელს ერთხელ კიდევ „მონახეს“ ერთმანეთი, ამჯერად სამუდამო სასუფეველში.

ნათელში იყოს მათი სულები.

„...არის იოლი დაფნისაგან
გვირგვინის დაწვნა,
ძნელია მისი ღირსი თავი
მონახოს კაცმა...“

და მოწნეს გვირგვინი დაფნის და შეამკეს იგი ბრწყინვალე ბრილიანტებით და მოარგეს იგი ღირსეულ კაცს, ალექსი გოხელაშვილს...

ეს გვირგვინია – მადლიერი ხალხის მხრიდან მისი უკვდავი ხსოვნა.

სარჩევი

ავტორისაგან 3

წინათქმა 4

აბუაშვილი მედეა 6

ბერიშვილი თამარი და კიტოვანი შალვა 9

გრძელიშვილი თენგიზი 14

ელანდიშვილი რამაზი 16

კარიჭაშვილი იზაბელა (იზო) 20

კბილაშვილი თამარი 26

კეჩხუაშვილი გაბრიელი 28

კილჩაუსკაიტე ნიოლე (ნინო) მაჭავარიანისა 31

ლაბაძე ოთარი 35

მახარაშვილი გიორგი 37

მებადური ანზორი 39

მწითურიძე ნიკოლოზი 42

ოდოსაშვილი ნათელა და კვიწინაძე გრიშა 45

რატიშვილი თამარი და ავაზნელი შოთა 47

სამადალაშვილი ელენე 50

სირანაშვილი ნიკოლოზი (ნუკრი) 52

ტლაშაძე გენო 55

ღვინიაშვილი ზამირა 57

ციხისთავი დალი ---------- 59
ჭიღლაძე ილია (ცაცო) ---------- 62
ხითარიშვილი ვასილი ---------- 65
ხინჩიკაშვილი თენგიზი ---------- 68
ხირსელები – ამბროსი და ვიქტორი (ვიკა) ---------- 71
სამი მუშკეტერი ---------- 75
ჩხუბიანიშვილი ალექსანდრე (სანდრო) ---------- 76
ჩხუბიანიშვილი გიორგი ---------- 79
ჭანკოტაძე რევაზი ---------- 82
ღირსეული შვიდეული ---------- 87
სუხიშვილი გიორგი (ჟორა) ---------- 89
ბზიშვილი რევაზი ---------- 93
ნადირაძე კონსტანტინე (კოწო) ---------- 96
მაზმიშვილი რამზესი ---------- 98
ჯავახიშვილი რევაზი ---------- 100
ონიაშვილი ნუგზარი ---------- 103
გოხელაშვილი ალექსი ---------- 106

წიგნის წინა სამი ნაწილი გამოვიდა სახელწოდებით:
„...და ვანთებ სანთელს...“

წიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბაზანდარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბექაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე ბეჟანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდწითელი თეიმურაზი, გუდაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გრუამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი კობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალებაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მაისურაძე გივი, მერებაშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშკა), მუკნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჯემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ღონღაძე თემური, ყეინოშვილი ოთარი, შაფთოშვილი მიხეილი, შერმადინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიაძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადეიშვილი რომანი, არშაკუნი მათე, ბიჩინაშვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი, გიორგაძე ანზორი, გოცირიძე ბაგრატი, გოცირიძე როლანდი, თავაქალოვი კარლო, კარაპეტიანი ზავენი, კიკაბიძე თეოფილე, კიკნაძე ვლადიმერი, კლიმიაშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მემანიშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოქროპირიძე სოფიო, პატარიძე გიორგი (ბონდრო), გიგაური თამარი, სომხიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი

ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიკვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი, ჭელიძე ოთარი (გუჩურა), ხუბულური ირაკლი, დედა-შვილი ჯულიეტა ხაჩიძე ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

წიგნის მესამე ნაწილში შეტანილია:

არსენიძე შოთა, ბერუაშვილი დურმიშხანი, ელბაქიძე ლევანი (ლეო), ელუაშვილი თენგო, ზარნაძე ანზორი, ზაუტაშვილი ზურაბი, თეთრუაშვილები, მაჭარაშვილი თამარი, მეცხვარიშვილი შამილი, ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობეჯიშვილი-ონიაშვილი, რატიშვილი ვასიკო, რუბაშვილი დალი, სოსანიძე გივი, ქამუშაძე ანზორი, ჩალაური ვლადიმერი, ჭელიძე ვაჟა, ხარშილაძე დავითი, ჯავახიშვილი შოთა, ჯაფარიძე შალვა, იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი.

წიგნის მეოთხე ნაწილში შეტანილია:

გალუსტაშვილი სოკრატი, თეთრუაშვილი ნუნუ, თოთლაძე შალვა, კახნიაშვილი ვასო, მახარობლიძე შოთა, მცურავიშვილი პავლე, ნაყოფია ჯემალი, ნოზაძე გიორგი, ჟიჟიაშვილი ლევანი, ქარელი კობა, ქარელი მიხეილი, ცერცვაძე გიორგი, ჯამბრიშვილი ივანე.

წიგნის მეხუთე ნაწილში შეტანილია:

ათუნაშვილი ნიკო, ანანიაშვილი მიხეილი, ანთაძე ლიანა, ანთაძე მიხეილი, ასპანაძე სოსო, ბაინდურაშვილი თენგიზი, ბერუაშვილი ლალი, გერმანიშვილი ანზორი, ზვადიშვილი ქეთევანი, ქრისტესიაშვილი ლუარსაბი, ირა და იდა, კავლელაშვილი მარიამი, კარიჭაშვილი ნიკოლოზი, კეჩხუაშვილი ლილი, ლეკიშვილი შალვა, მაისურაძე ემილი, მჭედლიშვილი ირროდიონი (ირაკლი), სახვაძე სოგრატი, სრესელი

რუსუდანი, ტატულაშვილი გურამი, ტატულაშვილი თინათინი, ტატულაშვილი ისაკი, ტატულაშვილი ომარი, ფუტკარაძე ოლია, ქორქაძე რუსუდანი, ქუთათელაძე ოთარი, ყანჩაველი ნუგზარი, ჩიტაძე ალექსანდრე, ძველაია ვასილი, ჯამბრიშვილი ამირანი (გივი).

წიგნის მეექვსე ნაწილში შეტანილია

აბრამიშვილი ვაჟა, აბულაძე ლეონიდე (ლენო), აივაზოვი გივი, ბეგლარიშვილი გიორგი, გაბაშვილი ზაალი, გოგოლაძე სულიკო, გოდერძიშვილი შალვა, დონგუზაშვილი ჯამლეთი, დონღუზაშვილი ზურაბი, დონღუზაშვილი გურამი, ზუმბულიძე ნოდარი (ბიჭიკო), კაკაურიძე შოთა, კოვალენკო გივი, კოპინაშვილი გიორგი, მაკრახიძე ასლანი, მაკრახიძე სოლომონი, მახარაშვილი თამარი, მახარაძე ამირინდო, მჭედლიშვილი არჩილი, ნამორაძე მარიამი, ნინიაშვილი გურამი, სირიბეგოვი ანა, ტატიშვილი ნარგიზა და ნადირაშვილი ავთანდილი, ფოცხვერაშვილი ვასილი, ქილიტაური გიორგი (გია), ქილიტაური მარიამი (მარიკა), ყანჩაველი ლუიზა და ცერაძე გივი, ჩიკოიძე ვერიკო, ნაოჭაშვილი რუსუდანი, ჩიხლაძე ნაისი, ცოხნიაშვილი ანზორი, ხორგუაშვილი იოსები, ხუციშვილი გიორგი, ხუციშვილი თეიმურაზი.

წიგნის მეშვიდე ნაწილში შეტანილია

ანანიაშვილი ნოდარი, ბიჩინაშვილი (მაკრახიძე) ოლღა, გაბუნია ნინა, გოლოშვილი მარგალიტა, გუდაძე ნოდარი, ეფრემიძე მირიანი, ზედგინიძე პანტელი, იუფეროვები – ნიკოლოზი და იორამი, კანდელაკი თარაში, კაჭკაჭიშვილი დავითი, ჩოხელი ქსენია, კოვზიაშვილი ალბერტი, მამუკაშვილი ნადია, შოშიაშვილი შალვა , მანძულაშვილი ანო, მართაშვილი ლეილა, მეზვრიშვილი გიორგი (გია), მთვარელიძე ეთერი, რატიშვილი ალბერტი, ტატიშვილი ალექსან-

დრე, ურჯუმელაშვილი ტარიელი, ფერშანგიშვილი ოთარი, ქარუმიძე ოთარი, ქობლიანიძე გურამი, ღვინიაშვილი ნოდარი, ჩიტაშვილი პეტრე, ჩიხლაძე დიმიტრი, ჩოჩიშვილი შოთა, ჭიღლაძე მერი, ჭიღლაძე ომარი, ხადური იულონი, ხადური ჯიმშერი, ხარაიშვილი ალექსანდრე (საშა), ხაჩირაშვილები – ანზორ და ზაზა, ხუციშვილი შალვა, ჯაფარიძე ომარი.

წიგნის მერვე ნაწილში შეტანილია

აბულაძე როლანდი, ალავერდაშვილი თეიმურაზი (ბიჭიკო), აღდგომელაშვილი მიხეილი, ახობაძე ელგუჯა (გუჯა), ბეჟანიშვილი ზაური, ბიძინაშვილი ამირანი, ბრეგვაძე ომარი, გელდიაშვილი ვახტანგი, გელდიაშვილი ნადია (ნადეჟდა), გიუაშვილი შალვა, დათიაშვილი თენგიზი (ჭოლა), დეკანოსიძე ეთერი (ნატალია), დიდებელი ნაირა, ელიზბარაშვილი ფრიდონი, ვანიშვილი თემური, ზაუტაშვილი ზინა, ზაუტაშვილი ციური, თოროზაშვილი გურამი, კიკნაძე ზაური, მეზვრიშვილი არტემი, პაპელიშვილი გიორგი, რუსიშვილი კარლო, სახვაძე ვალერიანი (ვალიკო), ტლაშაძე ვახტანგი, ქალიაშვილი ნიკოლოზი, ქიტიაშვილი მარინე, ყანჩაველი დარეჯანი, ჩიკვაიძე მიხეილი, ჭიღლაძე ავთანდილი, ხიზანიშვილი სერგო, ხიზანიშვილი შალვა (ციცა), ჯვარიძე შოთა.

წიგნის მეცხე ნაწილში შეტანილია

აბუაშვილი ლეილა, ავაზნელი შოთა, ასანიძე შოთა, აწკარუნაშვილი მარიამი, ბიძინაშვილი დავითი და ცოტნიაშვილი ნაზი, გიგაია ვლადიმერი, გიგაია ნიკოლოზი, გოგიაშვილი ივანე (ოთარი), გრიქუროვი ვაროლია და მერაბიშვილი ბესარიონი, დავარაშვილი ისაკი, დარჯანია ბორისი, ზაუტაშვილი ანა და ბიძინაშვილი ივანე, ზაუტაშვილი მარგალიტა და როსტომოვი გაბრიელი, თავაძე გიორგი, იასამნიძე

თეიმურაზი, იასამნიძე იური და დალაქიშვილი სირანა, ნასყიდაშ-ვილები – თეიმურაზი და ნიკოლოზი, საყვარელიძე დარიკო, სუხიშ-ვილი ზაქარია, ტერტეროვი გივი, ქარუმიძეები, ქობლიანიძე მიხეილი (მიშა), შიუკაშვილი მორისი, შუღლიაშვილი გურამი, შუღლიაშვილი როლანდი, ცერცვაძე ლილი და რაზმაძე თენგიზი, წკრიალაშვილი გიორგი და ბიბილაშვილი ნაზო, ხოდელი შალვა და მაისურაძე რუ-სუდანი, ხორგუაშვილი პავლე, ხოჯევანიშვილი ნუგზარი, ჯავახიშ-ვილი ვახტანგი, ჯავახიშვილი როზა (როზალია).

ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 30-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში